# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 22 ივნისი, 2007 წელი.

№ 116 (5717)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

## 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს





6

ი. ბ. სტალინის უდიდესი და უშრეტი ენერგიით წინ წასული ტექნიკური აზროვნება, სულ უფრო მზარდი სამხედრო საავიაციო მრეწველობა საბჭოთა ავიაკონსტრუქტორებს და მეცნიერებს ფართოდ უხსნიდა გზას კიდევ უფრო დამაჯერებელი წინსვლისთვის

## გამარჯვების ფრთები

## თურქი [illegible]

11

## მთავრობა ყველაფერს თავის სასარგებლოდ აკეთებს, ხალხი კი დაავიწყდა...

## ირანი მზად არის ამიერკავკასიის შესასყიდად

10

## მართალნი გამოდგნენო სოლჟენიცინი, სახაროვი, ბონერი...

3

აბა, ახლა აჩხრიალდება სეპარატისტთა ბამბა!




## ქალები ნატვრისთვალები უნდა იყვნენ

3



№ 116. პარასკევი, 22 ივნისი, 2007 წელი.

# სახელმწიფო

● ირანის ისლამური რესპუბლიკა მეოთხეა მსოფლიოში ნავთობის მარაგის და მეორე ადგილზე — ბუნებრივი გაზის მოპოვების მხრივ. შეგვიძლია, საქართველოს მოთხოვნა ენერგეტიკაზე დავაკმაყოფილოთ. ესეც სამომავლო თანამშრომლობის ერთ-ერთი პერსპექტივაა



◎ ყველაფერი იყიდება

## „თბილისის წყალს“ არაბი შეიხები ეპატრონებიან?

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ „თბილისის წყლის“, სავარაუდოდ, არაბებისთვის მიყიდვის თაობაზე პრესკონფერენცია გამართა.

მისი განმარტებით, უახლოეს პერიოდში „თბილისის წყლის“ მესაკუთრე ქუვეითის მხარე გახდება და ბულაჩაურის წყალს, რომელითაც თბილისი მარაგდება, ჭურჭელში ჩამოასხამენ და თავის ქვეყანაში გაყიდიან, სადაც წყალს ოქროს ფასი აქვს. თბილისი კი თბილისის ზღვის წყლით მომარაგდება.

„კათოლიკოს-პატრიარქის შეგონების მიუხედავად, ხელისუფლებამ სავაჭრო დახლზე ქვეყნის მორიგი სიმდიდრე — სასმელი წყალი გამოიტანა. ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღეს, როცა ზურაბ ნოღაიდელი ქუვეითში არაბ შეიხებთან შეხვედრაზე იმყოფებოდა. მალე „თბილისის წყალს“ არაბები დაეპატრონებიან. აღებული თანხა იმ ვალში გაიქვითება, ხელისუფლებას ქუვეითისა რომ მართებს. წყლის ტარიფის მატება ისევე პერმანენტულად მოხდება, როგორც — ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე. ამითვეა განპირობებული წყლის კოლექტიური მრიცხველების დაყენება“, — განაცხადა მან.

მისივე თქმით, „თბილისის წყლის“ რეკლამისთვის ნახევარი მილიონი ლარია გამოყოფილი.

„ამ რეკლამით მყინვარწვერზე თოვლი რომ დნება, ეს თურმე, გიგი უგულავას დამსახურებაა; არაგვი რომ მოედინება, ამას ქელბაქიანი მიიწერს, წყალი რომ მინერალების შემცველია, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ დამსახურებაა და, ზოგადად, წყალი და სხვა ბუნებრივი სიმდიდრე რომ აქვს ქვეყანას, ეს თურმე, უშუალოდ პრეზიდენტის დამსახურება ყოფილა“, — აღნიშნა გუგავამ.

იყიდება ყველაფერი. წიაღისეული, მიწა, ტყე, მდინარე... ახლა კი — სასმელი წყალიც! თბილისე-



ლები კი თბილისის ზღვის არცთუ ისე სუფთა წყლით მომარაგდებიან. სამაგიეროდ, თუ „ლეიბორისტთა“ პროგნოზი გამართლდა, ქუვეითში საქართველოს კამკამა წყალს დაეწაფებიან.

**მაია ხორგუაშვილი**

◎ გადასადები აღარ არის!

## რელიგიურ უმცირესობათა ინტერესებს საქართველოში 140 ორგანიზაცია იცავს; ვინ დაიცავს მართლმადიდებლობას?!

**მკვლელობების სერიები — სხვას რას უწოდებ საქართველოში ბოლო თვეებში ერთიმეორის მოყოლებით მომხდარ მკვლელობებს? ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ერთმანეთს მოზარდები, მოსწავლეები ხოცავენ. რატომ არის ჩვენი მომავალი თაობა აგრესიული, რატომ არ ინდობენ ჩვენი შვილები ერთმანეთს? — ეს კითხვა კარგა ხანია აფორიაქებს ყველას, ვისაც ქვეყნის მომავალზე გული შესტკივა.**

საქართველოს კონსერვატორულმა პარტიამ ძალზე საინტერესო კანონ-პროექტი შეიმუშავა: „დაფუძნდეს სკოლებში მოძღვრის ინსტიტუტი და მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდა ქართულმა ეკლესიამ იკისროს,“ — ასეთია კანონ-პროექტის არსი.

21 ივნისს, კონსერვატორული პარტიის ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ქაშუეთის ეკლესიის წინ საგანგებო აქცია გამართეს. მათ მოსახლეობას სპეციალური მიმართვის ტექსტი დაურიგეს, რომელიც სკოლებში „მოძღვრის ინსტიტუტის“ შემოღების აუცილებლობას ადასტურებდა. „ვასწავლოთ ჩვენს შვილებს მოყვასის სიყვარული! ყველა ბავშვი ზნეობრივად ეკლესიის წიაღში უნდა აღიზარდოს, რათა მომავალს შეუნარჩუნდეს ერის სიმბოლო: „ენა, მამული, სარწმუნოება!“ — ნათქვამია მასში.

კონსერვატორ ქალთა ორგანიზაციის კოორდინატორს ქეთევან ენუქიძეს ვთხოვეთ კომენტარი.

„ეს ჩვენი ბრძოლის საწყისი ეტაპია, ერთია პოპულიზმი, რაც

**მომავალი თაობა ქართულმა ეკლესიამ უნდა აღზარდოს!**

ასე აქტუალურია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, მეორე კი — შედეგი, აუცილებლად რომ უნდა მივიღოთ. განსახორციელებელია კონკრეტული ღონისძიებები, რათა მომავალი გადავარჩინოთ, ვიხსნათ შვილები ჩაგვრისა და ძალადობისაგან!

უამრავ შეკითხვას შორის, ჩვენ რომ გვისვამენ, ასეთიცაა: „რა მოვუხერხოთ რელიგიურ უმცირესობებს, ქართულ სკოლებში ხომ მხოლოდ მართლმადიდებელი ბავშვები არ სწავლობენ?“ — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მარტივია: მოძღვარს მიაკითხავს მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც მართლმადიდებლურ მრწამსს იზიარებს, ეს ხომ ნებაყოფილობითია. რელიგიურ უმცირესობათა ინტერესებს საქართველოში 140 ორგანიზაცია იცავს. საინტერესოა, ვინ უნდა დაიცვას მართლმადიდებელთა ინტერესები? ეს ისევ ქართველმა ხალხმა უნდა შეძლოს. სწორედ ხალხის მხარდაჭერის იმედი გვაქვს. ნამდვილად ვერ გავიმეტებთ შვილებს რაღაც გაურკვეველი სპეცსკოლებისათვის, სადაც პისტოლეტიანი და ფულიანი ხალხის შვილები კი არ მოხვდებიან, არამედ ისინი, ვისი მშობლებიც, მთელი დღე საშოვარზე არიან გასულნი“, — განაცხადა ქალბატონმა ქეთევანმა.

აქციაზე ითქვა, რომ კანონპროექტს უკვე განიხილავენ პარლამენტში. ალბათ, ნებისმიერი მართლმადიდებელი ქრისტიანი იფიქრებს, რომ ამ საკითხს დიდი განხილვა და სჯა-ბაასი ნამდვილად არ სჭირდება. ახლა ჯერი ჩვენს კანონმდებლებზეა, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ ისინი — ქვეყნისათვის სასარგებლოს, თუ პირიქით — საზიანოს?

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ ვიზიტი

## მანუჩეჰრ მოჰამადი: ირანი ნაბიჯს არ გადადგამს ბირთვული იარაღის შესაქმნელად

### საქართველოსთან კეთილმეზობლური თანამშრომლობა გვწადია



**ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე განათლებისა და მეცნიერების საკითხებში დოქტორი მანუჩეჰრ მოჰამადი საქართველოს სამუშაო ვიზიტით ესტუმრა. იგი მონაწილეობდა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური კვლევის ცენტრისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევის ფონდის მიერ ორგანიზებულ „მრგვალ მაგიდაში“.**

მანუჩეჰრ მოჰამადის განმარტებით, პირველი ასეთი კონფერენცია 10 წლის წინათ თეირანში გაიმართა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უკვე თბილისმა უმასპინძლა საქართველო-ირანის ურთიერთობებისადმი მიძღვნილ მეორე კონფერენციას.

— კონფერენციაზე, ძალზე მეგობრულ ვითარებაში განვიხილეთ ორი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობები. დავასკვენით, რომ საამისოდ დიდი შესაძლებლობები და პერსპექტივები გვაქვს.

პირველად ვარ საქართველოში და სასიხარულოა, რომ დავინახე ეს დიდი პერსპექტივები. ბუნებრივია, სამომავლო თანამშრომლობის მრავალი საკითხი განვიხილეთ.

კონფერენციის მიმდინარეობისას, შევხვდით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. განვიხილეთ მრავალი საკითხი ორმხრივი ურთიერთობის შესახებ.

ეკონომიკური თვალსაზრისით, თუ ჩვენი ქვეყნების ტერიტორიულ სიახლოვეს გავითვალისწინებთ, ძალზე ნაყოფიერი და ორივე მხარისთვის სასარგებლო თანამშრომლობის განვითარება შეგვიძლია.

ასევე, ვაცნობიერებთ რეალობას: ჩვენი ქვეყნისა და, მეზობელი ქვეყნების უსაფრთხოება გადაჯაჭვულია, თანაც, ისე, რომ ერთის უსაფრთხოება მეორის უსაფრთხოების გარეშე არ იქნება. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისითაც შეგვიძლია საინტერესოდ ვითანამშრომლოთ და ვიფიქროთ ჩვენს ქვეყნებში სტაბილურობაზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე.

ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ ისლამური რევოლუციის შემდეგ უდიდეს წარმატებებს მიაღწია ეკონომიკაში, კულტურაში, მედიცინაში, ენერგეტიკაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ამ მხრივ შეგვიძლია გამოცდილება გავუზიაროთ მეზობელ ქვეყნებს, შეძლებისდაგვარად, მხარში ამოვუდგეთ საქართველოს და დავეხმაროთ პრობლემების მოგვარებაში.

ირანის ისლამური რესპუბლიკა მეოთხეა მსოფლიოში ნავთობის მარაგის და მეორე ადგილზე — ბუნებრივი გაზის მოპოვების მხრივ. შეგვიძლია, საქართველოს მოთხოვნა ენერგეტიკაზე დავაკმაყოფილოთ. ესეც სამომავლო თანამშრომლობის ერთ-ერთი პერსპექტივაა.

**— როგორია ირანის დამოკიდებულება კავკასიის რეგიონის მიმართ?**



— ირანის დამოკიდებულება მთლიანად რეგიონისადმი გამოკვეთილია. ჩვენ კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს რეგიონის სახელმწიფოებთან. ზემოთ ვახსენე, რომ ჩვენი ქვეყნების უსაფრთხოება ურთიერთგადაჯაჭვულია. მშვიდობა და სტაბილურობა აუცილებელია კეთილდღეობის მისაღწევად, მათ არ უნდა ემუქრებოდეთ საფრთხე. ეს მიიღწევა ჩვენი მტკიცე ისტორიული და კულტურული კავშირებით რეგიონში მცხოვრებ ხალხებთან.

ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ვიშუამდგომლეთ. დიდია სურვილი იმისა, რომ კონფლიქტები საქართველოშიც მოწესრიგდეს და რეგიონში მშვიდობამ და სტაბილურობამ დაისადგუროს. ეს ჩვენს თანამშრომლობას ხელს შეუწყობს.

**— დასავლეთი ირანს ბირთვული იარაღის წარმოებაში ადანაშაულებს. თქვენ კი აცხადებთ, რომ თქვენი ბირთვული პროგრამა მშვიდობიანია...**

— ირანის ისლამური რესპუბლიკა ორი მიზეზის გამო არ გადადგამს ნაბიჯს ბირთვული იარაღის შესაქმნელად. პირველი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანას არანაირად არ სურს სხვა ქვეყნების მიმართ აგრესიული ზრახვა და მტრული დამოკიდებულება ჰქონდეს, მეორე — ჩვენი ქვეყნის თვალთახედვით, ჰიროსიმასა და ნაგასაკის მაგალითმა მსოფლიოს დაანახა, რომ მსგავსი რამის გამეორება არამც და არამც არ შეიძლება, არც ერთი ქვეყნის საღად მოაზროვნე ადამიანები ამის გამოსაყენების უფლებას თავს არ მისცემენ.

დღეს უკვე ბირთვული იარაღით საქმის კეთება რომ არ შეიძლება, ისრაელ-ლიბანის დაპირისპირებამ ცხადყო. იმის მიუხედავად, რომ ისრაელს 200-მდე ბირთვული ქობინა აქვს, ის, ფაქტობრივად, დამარცხდა იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც შეუიარაღებლად ებრძვიან ამ ქვეყანას საკუთარი უფლებების დასაცავად.

იხ. 3 გვ.

# ქვეყანა

● ერთ დღეში ტერმინები „თურქი მესხები“ და „მესხეთელი თურქები“ გამოთქმა „მაჰმადიანმა ქართველებმა“ შეცვალა. მერე კიდევ, ყველა ტელეკომპანიამ, თითქოს ამას ელოდა და მოესწროო, სრულიად უკრიტიკოდ, მყისვე ვაშად აიტაცა ეს შემოგდებული, ერთობ სახიფათო ტერმინი, მთლიანად რომ ცვლის რეპატრირებულთა ჩამოსახლების პრობლემის არსს, უფრო მეტიც — ფაქტობრივად, საერთოდაც აქარწყლებს ამ პრობლემას



№ 116. პარასკევი. 22 ივნისი. 2007 წელი.

◉ ვიზიტი

## მანუჩეჰრ მოჰამადი:

# ირანი ნაბიჯს არ გადადგამს ბირთვული იარაღის შესაქმნელად

(მეორე გვერდიდან)

ამიტომ დასკვნა ერთია — ქვეყანა, რომელსაც აქვს ატომური, ბირთვული პოტენციალი და იარაღი, ვერაფერს ახერხებს თუნდაც ამ ადამიანების წინააღმდეგ.

მოგეხსენებათ, დასავლეთის ქვეყნები საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ ტექნოლოგიურ წინსვლას, სხვა უფრო ჩამორჩენილ და სუსტ ქვეყნებზე ჰეგემონისა და დიქტატის მოსაპოვებლად.

ჩვენი ამჟამინდელი მიდგომა კი აბსოლუტურად განსხვავებულია, ვფიქრობთ, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ტექნოლოგიები და ცოდნა ყველა ერის უფლებაა და ყველა ერს აქვს უფლება თანაბრად განვითარდეს იმ პირობებში, რომელშიც დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა ახერხებდა ამას.

დღევანდელ მსოფლიოში ენერგომატარებლების მარაგი (ნავთობს და გაზს ვგულისხმობ) ამოუწურავი არ არის. ხვალ შეიძლება ეს მარაგი გათავდეს. მისი მოპოვებისთვის გაღებული თანხა და შემდგომ ამის გამო გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა დიდ თანხებს მოითხოვს. ეკოლოგიური თვალსაზრისით, კაცობრიობა ცდილობს, უფრო უხიფათო ფორმა ეძიოს და, ასეთ ვითარებაში, ჩვენ რატომ არ უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი?

30 წელია ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ატომური სააგენტოს წევრია და ამ სააგენტოს დებულებებს იზიარებს. ჩვენ ვართ, ასევე, მსოფლიოში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების წევრი, ამ სააგენტოს წევრობა გვაძლევს უფლებას, რომ განვავითაროთ მშვიდობიანი ბირთვული ტექნოლოგიები. მაგრამ დასავლეთი ამას რატომღაც სხვანაირად აფასებს და არ სურს, რომ ეს მშვიდობიანი ტექნოლოგია გვქონდეს.

ცნობისათვის, მინდა მოგახსენოთ, რომ ისლამურ რევოლუციამდე გავაფორმეთ ათამდე სხვადასხვა ხელშეკრულება მსოფლიოს ისეთ დიდ ქვეყნებთან, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები. ეს ხელშეკრულებები ატომური ელექტროსადგურების მშენებლობას ითვალისწინებდა, მაგრამ, ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მათ არა მხოლოდ დაივიწყეს ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულებები, არამედ ხელშეკრულებების შეჩერებით დიდი ეკონომიკური ზარალიც მოგვაყენეს.

ბუნებრივია, შემდეგ დავიწყეთ ფიქრი, დამოუკიდებლად გაგვეკეთებინა ის საქმე, რასაც სხვა ქვეყნებთან ერთად ვაპირებდით. დღეს სწორედ ეს ქვეყნები ეწინააღმდეგებიან ამას.

**— როგორია ირანის პოზიცია საქართველოს პროდასავლური კურსის მიმართ?**

— ნებისმიერ ქვეყანას, ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების გამო, შეუძლია კავშირი დაამყაროს და ითანამშრომლოს ამა თუ იმ ქვეყანასთან. ნებისმიერი ერს აქვს უფლება სუვერენიტეტის განსამტკიცებლად გადადგას ეს ნაბიჯი, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაამყაროს ურთიერთობა ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან, მაგრამ ერთი კია, უნდა ვიყოთ ფრთხილად — როგორც ნათქვამია — კაცი ორმოს გაურბოდა და უფრო ღრმა ჭაში აღმოჩნდაო.

დიდი ქვეყნები ყოველთვის ცდილობენ პატარა ქვეყნებზე გავლენის მოპოვებას. პატარა ქვეყნების ამოცანაა, ასეთ ქვეყნებთან ურთიერთობისას მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ, რადგან, შესაძლებელია, მათი დიქტატის ქვეშ მოექცნენ. დაფიქრებაა საჭირო, ანუ ისე არ გამოვიდეს, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო.

**— დაბოლოს, რა არის საჭირო ირან-საქართველოს ურთიერთდაახლოებისთვის?**

— ზემოხსენებულ კონფერენციაზე განვიხილეთ ყველა დადებითი და უარყოფითი ნიუანსი, საშუალება მოგვეცა ხელისშემშლელი ფაქტორების გამოსავლენად, ამ ურთიერთობების განვითარებას რომ აფერხებს და დადებითი ტენდენციების განვითარებაზე ვიზრუნებთ.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ მეზობელ ქვეყნებს შორის ყოველთვის არის საერთო ინტერესები, რაც შეიძლება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას ვერც კი შევადაროთ.

ირანის ისლამური რესპუბლიკა ეფუძნება ყველა ერთან, მათ შორის მეზობელ ერებთან თანაცხოვრების, მშვიდობიანი თანაარსებობის, კეთილმეზობლური დამოკიდებულების, კეთილგანწყობის, და, ბუნებრივია, ურთიერთპატივისცემის პრინციპებს.

ასე რომ, ჩვენი კარები ღიაა ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის, მზად ვართ, ნებისმიერ სფეროში ძალიან აქტიურად ვითანამშრომლოთ. საამისოდ, საჭიროა ორ ქვეყანას შორის მიმოსვლის ინტენსივობა, რათა კარგად შევიცნოთ ამ ქვეყნების პოტენციალი, შემდეგ კი ვითანამშრომლოთ.

დაბოლოს, დოქტორმა მანუჩეჰრ მოჰამადიმ ირანელი ხალხის კეთილგანწყობა გაგვანდო: „ირანელებს უყვართ საქართველო და ქართველები. ჩვენ განსაკუთრებულ პატივს ვცემთ ქართველებს. ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეთივე სიყვარული და პატივისცემა აქვთ ქართველებს ირანელების მიმართ“.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ შიგნიდან გატეხილი ციხე

# მართალნი გამოდგნენო სოლჟენიცინი, სახაროვი, ბონერი...

## აბა, ახლა აჩხრიალდება სეპარატისტთა ბამბა!

*კანონპროექტის ლობისტებმა გაიზიარეს, რუსეთ-თურქეთიდან ჩააწვეთეს ევროსაბჭოს და იქიდან უკარნახეს „ჩვენებს“, თუ ზემოხსენებული სახელმწიფოები „პირდაპირ ხაზზე“ გავიდნენ ბატონ ბოკერიასთან, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთ დღეში ტერმინები „თურქი მესხები“ და „მესხეთელი თურქები“ გამოთქმა „მაჰმადიანმა ქართველებმა“ შეცვალა. მერე კიდევ, ყველა ტელეკომპანიამ, თითქოს ამას ელოდა და მოესწროო, სრულიად უკრიტიკოდ, მყისვე ვაშად აიტაცა ეს შემოგდებული, ერთობ სახიფათო ტერმინი, მთლიანად რომ ცვლის რეპატრირებულთა ჩამოსახლების პრობლემის არსს, უფრო მეტიც — ფაქტობრივად, საერთოდაც აქარწყლებს ამ პრობლემას.*

ჰოდა, ახლა, ზემოთ ჩამოთვლილთა ნებით, ბუნებაში გაქრნენ „თურქი მესხები“ თუ „მესხეთელი თურქები“ და „მაჰმადიანი ქართველები“ „იშვნენ“. მერედა, ქართველებს სამშობლოში დაბრუნებას რაღა დაუდგება წინ?! უმნიშვნელო ტექნიკური საკითხებიღა იქნება მოსაგვარებელი. ეგაა და ეგ. პრობლემა კი არსობრივად გადაწყვეტილია — საქართველოს მისი უსამართლოდ გასახლებული შვილები უბრუნდებიან. თანაც, დედაწულიანად!

ასე ცდილობენ კანონპროექტის ლობისტები პირში ბურთი ჩასჩარონ ავყია ოპოზიციას, ექსპერტებსა თუ მედიას. მაგრამ პრობლემა კი არ გადაიჭრა, გაცილებით გართულდა უარესად, ავად შემოგვიბრუნდა, რადგანაც ციხე, უკვე მერამდენედ, გატყდა შიგნიდან. ახლა მთელი ე. წ. ჰუმანური კაცობრიობა ატეხავს ვაი-ვიშს, თავის სისხლისმიერებს არ იკარებენ, სხვები რაღა საკითხავიაო, მართალნი გამოდგნენ სოლჟენიცინი, სახაროვი, ბონერი საქართველოს „მცირე იმპერია“ რომ უწოდეს, სწორედ რომ პირწავარდნილი ნაციონალისტები, შოვინისტები არიან, დავრწმუნდით — აფხაზებიცა და ოსებიც ქართველებთან ცამდე მართლები ყოფილანო.

სეპარატისტებიც რა დააცხრებიან ასე ხონჩით მირთმეულს! აბა, მაშინ აჩხრიალდება თუ აჩხრიალდება მათი ბამბა!

ნუთუ, ასე ახლომხედველნი გვყავს ხელისუფლებაში? ხომ ცხადია, რომ სწორედ ასე იქნება და არა სხვაგვარად?

ან მაჰმადიანი ქართველი მხოლოდ რეპატრირებულებს ნიშნავს? აჭარლების დიდი ნაწილი ხომ მაჰმადიანია? მაშ, მაინც ზუსტად ვერ მოარგეს ტერმინი. ალბათ, მაჰმადიანი მესხები უნდა ეწოდებინათ და მაშინ სწორედ კაკალ გულში მოარტყამდნენ სამშობლოს. თუმცა, რასაც აპირებენ, რასაც ასე ჯიქურ უმზადებენ ნიადაგს, ამდენი პრობლემით ლამის სულთმობრძავი საქართველოსთვის, ეგებ, ისედაც სასიკვდილო დარტყმა აღმოჩნდეს.

**კონსტანტინე გურგენიძე**

◉ გვეხმაურებიან

# ქალები ნატვრისთვალები უნდა იყვნენ




**თქვენს გაზეთში ორიოდე დღის წინათ გამოქვეყნებული სტატია „გაიხადეთ ქართველებო“, მეტად საყურადღებოა.**

ქართველ პოეტს უთქვამს, „ქალებო, ნატვრისთვალებოო“, მეორეს არანაკლებად და ხატოვნად: „უქალოდ გაქრები უკვალოდ“. ორივე გამონათქვამში ქალისადმი უდიდესი პატივისცემაა გამოხატული და ეს ჩვენი ტრადიციაა.

ინგა გრიგოლიას ტელეგადაცემები საინტერესოა, მაგრამ ბოლო რამდენიმე გადაცემა, განსაკუთრებით ის ჟურნალ „პლეიბოის“ ქართულ ვარიანტს და მასში გამოფენილ მოდელებს (ქალებს) რომ დაეთმო, ნამდვილად არ იმსახურებდა საზოგადოების ამდენ ყურადღებას.

გამაკვირვა ცნობილი მწერლის ვახუშტი კოტეტიშვილის პოზიციამ, მიუხედავად მისი წინა გადაცემაში გამოთქმული პრეტენზიებისა წამლებისა და მკურნალობასთან დაკავშირებით, თურმე ასეთი ქალების დანახვაზე სისხლი უდუღდება.

ამბობენ, სასტუმრო „მეტეხი“ არაბ შეიხს აღმოსავლელი მდიდარი მამაკაცების ეგზოტიკურ სახლად სურს გადააქციოსო, თავის ქვეყანას ამას არ აკადრებს, ისინი ჩამოვლენ და კავკასიელ ქალებში გაერთობიან. სხვათა შორის, კადრები მზად ეყოლებათ. ეს პროფესია უძველესია პროფესიათა შორის, შემოსავლიანი და ძვირადღირებულიც, მომსახურების სფერო ხომ უნდა განვითარდეს! თუ საქართველოში არსებობს ელიტარული ხინკალი, ელიტარულ მოგულავე ქალებს წინ ვინ დაუდგება.

ერთი საინტერესო ინფორმაციაც. ამბობენ, ვერაზე, ჩაის სახლის გვერდით ღვინის ქარხანა ყაზახებმა შეიძინეს, დანგრევა უნდათ და სახლების კომპლექსი აშენდებაო, ნუთუ ასეთი რამეც შეიძლება მოხდეს? ეს ხომ ჩვენი ისტორიის წაშლა იქნება?

გამოფხიზლდი, „ბედნიერო ერო!“

**მალხაზ იაშვილი**

◉ ინფორმაცია

## პროდუქციის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს

**სოფლის** მეურნეობის მინისტრი პეტრე ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ თუ მეწარმეები საკუთარი პროდუქციის ხარისხს უფრო მეტად გააუმჯობესებენ, მაშინ მათ ახალ ბაზრებზე გასვლა არ გაუჭირდებათ.

ცისკარიშვილის განცხადებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისთვის დარგში მეტი ინვესტიციების ჩადებაც მნიშვნელოვანია.

„საქართველომ კონკურენტუნარიანი პროდუქცია უნდა შექმნას. ახალ ბაზრებზე გასვლა ყოველთვის რთული იყო, თუმცა მეწარმეები ცდილობენ, რომ ახალი ბაზრები დაიპყრონ. ამისათვის კი წარმოებაში მეტ ფულს აბანდებენ და მეტ ცოდნას იძენენ, როგორც ტექნიკური, ასევე მარკეტინგული თვალსაზრისით“, — განაცხადა პეტრე ცისკარიშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 116. პარასკევი. 22 ივნისი. 2007 წელი.

# დღევანდელობა

● დღეს მთელი მაღალგანვითარებული მსოფლიო, პირველ ყოვლისა აშშ, შეშფოთებულია სკოლებში გამეფებული ძალადობით. ამ ქვეყნებში ძალადობის მსხვერპლი მასწავლებელია, მხოლოდ საქართველოში ხდება, თურმე, პირიქით: მსხვერპლი მოსწავლე ყოფილა




◎ მკვახე შეძახილი

## ისევ მიდიხართ, ისევ გვშორდებით...

### ანუ, დედა, შიჯო, რა აიწყვიტეს!!!

ცუდი მაგალითიც კი გადამდები რომაა, კარგი რაღა იქნება! კარგი რა, ცუდზე ნაკლები რითია!

ქვეყნის პირველი პირი, ღმერთმა მშვიდობით ატაროს და, ძირს დაუშვებელი გადაფრენების მაგალითს ხშირად იძლევა და აყვნენ, აგერ, მეორე პირი, მესამე პირი, მეხუთე პირი, მერვე პირი... მე შენ გეტყვი და, რიგითობა გათვლილი არა აქვთ და არ იციან თავიანთი ნომრები!

რა ანალიტიკოსი მე ვარ, მაგრამ თუ არ მეშლება, მისივე ლოცვა-კურთხევით აყვნენ — ხალხს არ ეგონოს, თითქოს საქმეს მარტო მე ვაკეთებ, თქვენც გამოჩნდითო. ჩანან კიდევაც საზღვარგარეთის ნაირ-ნაირ რეზიდენციებში, დარბაზებში და დარბაზობებზე, კონფერენციებსა და სამიტებზე, მიღებებსა და შეხვედრებზე. თანაც მარტო კი არა — ეს როგორ ეკადრებათ — ამალებით, ტელეარხების წარმომადგენლებით... მერე მხურვალედ გვიმტკიცებენ, რომ შეხვედრები სასარგებლო, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელოვანესიც კი იყო. თურმე იქ, უცხოეთში, ყველას უკვირდა, რომ პატარა ქვეყნიდან 7 (შვიდი!) ტელეკომპანია იყო წარმოდგენილი. პატარა ჰო, მაგრამ დაქცეული ქვეყანაც როა, იქიდან რატომ იყო ამდენი არხი დელეგირებული!

ნახევარი წელიწადი გავიდა და ჩვენმა პირმშვენიერმა ქალბატონმა სპიკერმა უკვე მოიარა ნახევარი პლანეტა. ნახევარი კიდევ მოსავლელი აქვს, მაგრამ ნახევარი წელიწადიც ხომ კიდევ წინაა!

მერე რა, რომ ნახევარი საქართველო ამ დროს წყალში დგას და „ცეცხლი უკიდია", სახურავახდილი და მიმონგრეულია. მერე რა, რომ ჩვენი პარლამენტის სხდომათა დარბაზი ჯერ თავმჯდომარის იქ ყოფნისას რა „სავსეა" და უიმისოდ ხომ...

წლის ნახევარი იწურება და ერთხელ მაინც ჩამაბარეთ ანგარიში მე, რიგით მოქალაქეს, საზოგადოების რიგით წევრს, რიგით ჟურნალისტს, თუ რა უჯდება ხაზინას, თუნდაც ისე გაზრდილს, როგორც არასდროს, მათი ეს უსაშველო და გაუთავებელი გაფრენ-გამოფრენა, მათი ვიზიტები, მათი გრიალი ამალიან-ტელევიზიანა. ისეთს რა მოლაპარაკებებს ეწევიან, რომ ყოველი მათი მივლინების მერე ან გადასახადები იზრდება, ან შტატების შემცირება მიდის (მათებურად), კადრების ოპტიმიზაცია!), ან ახალი ინვესტორები ჩამოდიან — თურქები, ყაზახები, ჩინელები, არაბები — რათა ახალ-ახალ რამ ქართული შეისყიდონ — ეგენი რა, აქ ქართველებზე იზრუნებენ, ეგენი რა — აქ ქართველებს მოამრავლებენ?..

აი, პირველი ივლისი ახლოვდება და თურმე რეალური ხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ფასის გაორმაგება. თქვენ რომ ყველგან უფასოდ დასრიალებთ ტონირებულ სარკმელებიანი „მერსედესებით", თქვენ რომ ყველგან უფასოდ დაფრინავთ, მე რა ვქნა — დღეში რომ ხუთჯერ დამჭირდეს ავტობუსით მისვლა-მოსვლა, თუნდაც ჟურნალისტური „ხაზით", ეგ ორი ლარი ხომ იქნება, ორი ლარი ხომაა 4 გოგორა პური (თუ პურიც არ გაძვირდა) და თვეში 60-ლარიანი ჰონორარისა და 48-ლარიანი პენსიის მქონე ცოდო არა ვარ? თუ პლატონ სამანიშვილივით ვიძახო — ამაზედაც გმადლობ, უფალო, ამაზედაც გმადლობო?... ისე ხომ არ არის, რომ სწორედ თქვენი გრიალისათვის გჭირდებათ ეს გაძვირებები და ათასნაირი წაგლეჯ-წამოგლეჯა?..

ახლა მოდური გახდა საქართველოში ბირთვული ელექტროსადგურის აშენებაზე ლაპარაკი. იმის ამუშავებამდე თუ არაფერი მეტკინა და ვიცოცხლე, მანამდე ელექტროენერგიის საფასურმა სულ უნდა იმატოს? ან აშენების მერე ნაღდად დაუწევთ ამ საფასურს?..

... მაინც მიდიხართ, მაინც მშორდებით... ისევ და ისევ, განმეორდებით... ღმერთმა იმ სიმართლით გატაროთ, რა მართლებიც თქვენა ხართ ქვეყნის, ხალხის წინაშე!..

**თამაზ ეგანოიძე**

◎ სიმართლე ეს არის

**ყველა ჭეშმარიტი პედაგოგისა და მოქალაქის გული შეძრა ამას წინათ ტელევიზიით გადაცემულმა კადრებმა, რომელიც გაკვეთილზე გადაუღიათ მეხუთეკლასელებს მობილური ტელეფონით.**

მაინც რა იყო ისეთი, რამაც ასე ააფორიაქა საზოგადოება და რასაც საგანგებო ტელედებატები მიეძღვნა?

## „...მასწავლებლობას გმიროგად გითვლის ერი!"

რა და, ტელევიზიამ მთელ საქართველოს უჩვენა გაწიწმატებული პედაგოგი, რომელიც ყურს უწევდა და თმებს უჩეჩავდა მოსწავლეს. ყურაწეული ბავშვი განწირული ხმით კიოდა და თანაკლასელებიც მასთან სოლიდარობის ნიშნად არანაკლებ კიოდნენ, იფიქრებდი, შამილ ბასაევის ტერორისტები დაესხნენო თავს ამ საცოდავ სკოლას.

რამ გადარია ეს მასწავლებელი ასე? რამ და, თურმე, როგორც კი დაფისკენ შებრუნდებოდა საწყალი, ბავშვები ტყემლის კურკებს ესროდნენ თავში...

იმხელა ავტორიტეტი რომ არ გექნება, მეხუთეკლასელებმა ტყემლის კურკები არ დაგიშინონ, გაკვეთილზე არ უნდა შეხვიდე, მაგრამ ამ ბავშვებს რამ დაუკარგათ ზნეობა, სად გაიზარდნენ, ნეტავი? ან იმათ რა უნდა უთხრა, ვინც ამგვარი საქციელისათვის წააქეზა ისინი, ვინც ეს ამაზრზენი სპექტაკლი დადგა? ეს რომ დადგმული სპექტაკლი იყო, ამას ნებისმიერი ჭკუათამყოფელი მიხვდებოდა.

რა სურდათ ამ სპექტაკლის დამდგმელებს? რას უმტკიცებენ ისინი საზოგადოებას? იმას ხომ არა, რომ მოზარდებში გამოვლენილი არნახული აგრესიისა და დაუნდობლობის მიზეზი მოსწავლეებზე მასწავლებელთა ძალადობაა? დღეს მთელი მაღალგანვითარებული მსოფლიო, პირველ ყოვლისა აშშ, შეშფოთებულია სკოლებში გამეფებული ძალადობით. ამ ქვეყნებში ძალადობის მსხვერპლი მასწავლებელია, მხოლოდ საქართველოში ხდება, თურმე, პირიქით: მსხვერპლი მოსწავლე ყოფილა.

ვინ დაგიჯერებთ, ბატონებო, ამას? დრო მოვა და ამაზე პასუხის გაცემა მოგიწევთ!

ამ პრობლემაზე მსჯელობა, მისი ნამდვილი მიზეზების გარკვევა აუცილებელია, მაგრამ ამჯერად სხვა, უფრო სასიამოვნო და უფრო ტიპობრივ მოვლენაზე მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება...

ამას წინათ, თბილისის 172-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებმა შესანიშნავი გამოსაშვები საღამო მოაწყვეს, რასაც ტრადიციული ბანკეტი მოჰყვა. იყო ერთმანეთის მოფერება, ლექსები, სიმღერები, თეატრალიზებული ეპიზოდები სკოლის ცხოვრებიდან, მაგრამ, თურმე, მოსწავლეები (ყოფილები, ცხადია!) გულნაკლულნი დარჩენილან, ჩვენს მასწავლებლებს სათანადო მადლობა ვერ გადავუხადეთო. მერე უთხოვიათ ერთ-ერთი კურსდამთავრებულისათვის, რომელიც კარგი სწავლითა და საქციელითაც გამორჩეული ბიჭია, დაეწერა სამადლობელი სიტყვა. დაწერა იმ ბიჭმა „სიტყვა" და იგი პედაგოგებს გაუგზავნეს. ჩვენს ოჯახშიც მოვიდა „მადლობის სიტყვა". მისი წამკითხველი დამეთანხმება, რომ სწორედ ამგვარი დამოკიდებულებაა ტიპობრივი და არა ის, რის დამტკიცებასაც იმ ავადსახსენებელი შოუს რეჟისორები ცდილობენ.



აი, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

**ზურაბ ცუცქირიძე**

## უდიდესი სიყვარულითა და უსაზღვრო პატივისცემით — 172-ე სკოლის პედაგოგებს!

**ერთხელ, კოლუმბიელმა მწერალმა გაბრიელ გარსია მარკესმა მეტად საინტერესო და ბრძნული რამ თქვა: „მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს ისე არ უყვარხარ, როგორც შენ გინდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ უყვარხარ საკუთარ თავზე მეტად".**

მართალია, ჩვენ თქვენდამი სამადლობელი სიტყვა სათანადოდ ვერ წარმოვთქვით, ძვირფასო მასწავლებლებო, ვერ გამოვხატეთ თქვენდამი დიდი სიყვარული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სხვაზე ნაკლებად გაფასებთ. ალბათ, თქვენც დაგვეთანხმებით, რომ ყველაფერი სადღეგრძელოების „განსხვავებული სასმისით" სმითა და მაღალფარდოვანი სიტყვების თქმით არ ამოიწურება. მეტიც! ნაბახუსევმა კაცმა სუფრაზე შეიძლება გადამთიელი და სრულიად უცხოც კი ადღეგრძელოს და მეორე დღეს მისი არსებობაც ვერ გაიხსენოს. ჩვენ გვინდა, რომ მხოლოდ თქვენთვის ნათქვამი თქვენი სადღეგრძელოები არ ჩაგვითვალოთ სამადლობელ სიტყვებად. თქვენ განსხვავებულ სიყვარულისა და მოფერების ღირსნი ხართ, რადგან მართლაც განსხვავებულად საყვარლები ბრძანდებით ყველანი.

ჩვენო ძვირფასო მასწავლებლებო! ჩვენგან თქვენ „ვეფხისტყაოსნისოდენა„ სამადლობელი ღირსნი ხართ, ჩვენ კი რამდენიმე სიტყვით შემოვიფარგლეთ. იქნებ ეს თქვენდამი მოზღვავებული მადლიერების გრძნობის გამო მოხდა. ასეც შეიძლება! ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში" არის ასეთი ეპიზოდი: ოლღა ბებია სიკვდილის წინ ეუბნება ზურიკელას: ილიკოსა და ილარიონს იმდენი ამაგი აქვთ შენზე, რომ მის საფასურს შენ ვერც გადაუხდი და არც ეცადო, უბრალოდ გიყვარდეს ისინი ისე, როგორც მათ უყვარხარ შენო. დიახ, დიდი სიყვარული, იქნებ, ბევრის თქმით არ გამოიხატებოდეს, მაგრამ მაინც... ჩვენ ღირსეული სამადლობელი სიტყვები ვერ გითხარით.

ახლა სასწაული რომ მოხდეს და 30 მაისი უკან დაბრუნდეს, ალბათ, ძალიან ბევრს შევცვლიდით იმ საღამოს. ალბათ, უკლებლივ ყველა მასწავლებელს ხელზე კოცნით გადაგიხდიდით მადლობას, მხურვალედ ჩაგეხუტებოდით ყველას, ისე როგორც 11 წლის განმავლობაში გვიხუტებდით თქვენ.

ის საღამო რომ დააბრუნო, ალბათ წუთითაც არ მოგწყვეტდით თვალს, არც ერთ წამს არ დავკარგავდით, რათა თქვენთვის გვეთქვა: გვიყვარხართ, გმადლობთ, გვაპატიეთ, რომ თქვენი შესაფერისი სიტყვები ვერ მოვძებნეთ თქვენი სიყვარულის გამოსახატავად. ბოლოს კი გავიდოდით გარეთ და მოწოლილ ცრემლებს გზას მივცემდით, რომ სკოლასა და თქვენ გშორდებით.

მასწავლებლებო, ჩათვალეთ, რომ ეს ის სიტყვებია, რომელიც ჩვენ იმ საღამოს ვერ გითხარით.

მასწავლებლებო, წამით დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ, რომ მთელი XI-ა კლასი თქვენს წინაშე დგას ქედმოხრილი და იმ სიტყვებს გეუბნებათ.

**გვიყვარხართ, ძვირფასო მასწავლებლებო!**

172-ე საჯარო სკოლის XI-ა კლასის სახელითა და დავალებით

**დავით გორგილაძე**

# „უფროსი ძმა“

● საერთაშორისო წრეებში პრეზიდენტ პუტინის საგარეო პოლიტიკის კრიტიკას რუსეთის იდეოლოგები და პროპაგანდისტები ხსნიან ენერგორესურსებისთვის ბრძოლის გაძლიერების პირობებში მის მიერ განცხადებული მტკიცე უარით გააგრძელოს დასავლეთის მიმართ „უპირობო კაპიტულაციის“ პოლიტიკა



◎ კითხული კაცის აზრი

# პუტინის რუსეთი: „მომავალი რემონტზეა დაკეტილი...“

თავისუფლებისმოყვარეობის იმპულსი ხალხში, რა თქმა უნდა, მთლიანად არ დაკარგულა. რუსეთში ახალი თაობა მოდის, რომელმაც განათლება საზღვარგარეთ მიიღო და სამყაროს სხვა თვალით უცქერის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 2008 წელი (დიდი არჩევნების წელი საქართველოში, რუსეთსა და ამერიკაში) ბევრ რამეს უფრო ნათელს გახდის, მათ შორის საკადრის შეფასებას მისცემს პოლიტიკური ელიტების დღენიადაგ და საყოველთაოდ მოქმედ მიდრეკილებას, გადაიქცეს მემკვიდრეობით პოლიტიკურ არისტოკრატიად. უფრო პესიმისტური პროგნოზით, რუსეთში მაინც ჩამოყალიბდება მმართველთა მყარი და უცვლელი წრე, რომელიც ეკონომიკური, პოლიტიკური და ინფორმაციული თავისუფლების შელახვის და სახელმწოფო ბიუროკრატიის როლის ზრდის მეშვეობით დაეყრდნობა ერთ-ერთს (ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რომელი გაიმარჯვებს) მოპაექრე ძალებს შორის, რომლებსაც, პირობითად, შეიძლება დავარქვად „იმპერიალისტები“ და „ეთნონაციონალისტები“.

მაგრამ ამჟამად რასაც ვხედავთ, ესაა მხოლოდ მათი გაურკვეველი თანაარსებობა, სადაც პრიორიტეტი, როგორც ჩანს, მაინც „იმპერიალისტებისკენ“ იხრება. თითქოს პრინციპულად შესაძლებელი იყოს ორივე საკითხის ერთად გადაჭრა — რუსების და „ძირძველი რუსეთელების“ (თუ დასაშვებია ასეთი ნეოლოგიზმი) ახალ შემაერთებელ იდეაზე დაყრდნობით და ხელისშემშლელ უცხოტომელთა (მიგრანტების) ჩამოშორებით უფრო ძლიერი ეროვნული კონსოლიდაციის ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, და ამავდროულად, მეორე მხრივ, — რუსეთის იმპერიის აღდგენა.

„ახალი იმპერიის“ აღდგენას და „სუპერდერჟავის“ საერთაშორისო სტატუსის დაბრუნებას (თუკი საერთოდ შეიძლება, რომ ეს რაციონალურ იდეად ჩაითვალოს) თანამედროვე პირობებში სჭირდება სიღარიბის, სოციალური დაუცველობის და მოქალაქეობრივი უუფლებობის დაძლევა, მრეწველობის აღდგენა და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის აღმოფხვრა. მართალია, რუსეთის ახლო წარსულში ყოფილა ისეთი სიტუაცია, როცა ქვეყნის სიდიადის მიღწევის მიზნით ხალხი ჩაიყოლიეს საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებისადმი უპირობო უპირატესობის კომუნისტური იდეების განხორციელებაში, მაგრამ დღეს მსგავსი იდეოლოგია აღარ არსებობს. ინდივიდის ეკონომიკური მდგომარეობა განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა ნებისმიერი სოციალური ამოცანის მიღწევის დროს. დღევანდელ სამყაროში პირადი ინტერესებისადმი პატივისცემის გარეშე სახელმწიფოს ინტერესებზე თავდადებას და მათ პატივსცემას ვერავის, უკვე ვერც რუსსაც, ველარ მოთხოვ. სწორედ ამ ახალმა ინდივიდუალისტურმა გრძნობამ უნდა ჩამოაყალიბოს ახალი გამაერთიანებელი ეროვნული იდეა.

**როგორც ცნობილია, ცარიზმისა და საბჭოურ ეპოქებში რუსების, როგორც სახელმწიფოს შემქმნელი ერის როლი, ოფიციალურად იყო მიღებული. მაგრამ, ეს ფუნქცია ამჟამად რუსებს დაკარგული აქვთ, რაც ეთნო-ნაციონალისტების პროტესტებს იწვევს. რაც მთავარია, რუსებს არ აქვთ საკუთარი სახელმწიფოს შეგრძნება, რაც მომავლის ხედვის საშუალებას მისცემდათ. მართლაც, რუს ერს ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი თავისი ეროვნული სხეულის კულტურული და ინსტიტუციური სტრუქტურების და ორგანოების შესაქმნელად.**

ახლანდელი რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობა, მეზობელი ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფო და უფრო დაშორებული ქვეყნებიც, ნამდვილად უფრო მიესალმებოდა რუსეთში ნაციონალიზმის და არა იმპერიალიზმის პოლიტიკური იდეალების გამარჯვებას, რადგან ნაციონალიზმს შეუძლია, ერთი მხრივ, მართალია, შოვინიზმში გადაგვარდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, სავსებით ბუნებრივად შეიძლება ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობაშიც გამოიხატოს. იმპერიალიზმი კი მეზობლების მიმართ შოვინიზმისა და საკუთარ ხალხში ტოტალიტარიზმის გარდა ვერაფერ სხვა სასიკეთოს ვერ დაეყრდნობა.

ამ თვალსაზრისით, რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთ მართლაც „არშემდგარ სახელმწიფო“ დარჩა. დღევანდელი რუსი ნაციონალისტები მოითხოვენ „რუსეთის დაარსებას“, რაც პირველ რიგში კარზე მომდგარი ხელისუფლების და მისი მონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტას მოითხოვს. რუსეთს მოუწევს საკონსტიტუციო რეფორმის ჩატარება, ეროვნული განვითარების სტრატეგიის შემუშავება, ხელისუფლების ახალი სისტემის შექმნა, რომელიც საიმედოდ დაიცავდა მას შემდგომი შესაძლო უზურპირებისგან.

სამწუხაროდ, ამ იდეებს ჯერჯერობით „იმპერიალისტების“ მძლავრი შემოტევა ჯაბნის. ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, დაიწყო ახალი იმპერიული და მესიანური ეროვნული იდენტურობის ფორმირების პროცესი. ეროვნული თვითგამორკვევის მოძრაობა კი დაიბლოკა ვითომდა იმ საშიშროების გამო, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული ურთიერთობების „მტკივნეულ საკითხებთან“. ეს საერთოდ შეუძლებელს ხდის საშინაო პოლიტიკაში რაციონალური ეროვნული იდეისთვის მებრძოლი პოლიტიკოსების რაიმე ფორმით მონაწილეობას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასეთი ეროვნებათშორისი შეტაკებების „მტკივნეული საკითხების“ არსებობა თვითონ ხელისუფლებას აძლევს ხელს. ამის გამო, როგორც რეაქცია, ზომიერ ნაციონალიზმზე ორიენტირებული ძალებიც კი, როგორც წესი, გარდაიქმნებიან ხოლმე ალვირახსნილ, დესტრუქციულ ნაცისტურ მოძრაობებად, რაც საყოფაცხოვრებო დონეზე ვლინდება ვულგარული ქსენოფობიის ფორმით.

**გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოკრატიზმის ნაკლებობის პირობებში, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ისტაბლიშმენტს ეშინია რუსული ეროვნულობის აქტუალიზაცია, რათა იგივე არ მოხდეს ფედერაციის სხვა სუბიექტებშიც, რაც სეპარატიზმის ალმძვრელი შეიძლება გამხდარიყო. ამიტომ, რუსული ნაციონალიზმის მიმდევრები საყოველთაოდ იდევნებიან საჯარო პოლიტიკიდან და ლეგალური პარტიებიდან, მათ ფარულად ეკრძალებათ ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში გამოსვლა და ა.შ. როგორც შედეგი, მიმდინარეობს ამ პოლიტიკური მიმართულების მარგინალიზაცია, ხოლო მის მონაწილეებს დესტრუქციულ და „ექსტრემისტულ“ პირებად შერაცხავენ. პროპაგანდა ცდილობს რუსი ადამიანის ეროვნული გრძნობა დაუკავშიროს არა მის საკუთარ უნიკალურ სულიერ ნიშნებს და სივრცობრივ პარამეტრებს, არამედ „სამშობლოს მუდმივი გაფართოების“ იმპერიალისტურ იდეალებს.**

— როგორ ეპყრობა ქვეყანა თავის მეზობლებს ყველაზე უკეთ იმით ჩანს, თუ როგორ ეპყრობა ის საკუთარ ხალხს, — წერდა ადამიანის უფლებების დამცველი ნატან შარანსკი. დღევანდელი რუსეთის ოფიციალურ პროპაგანდასა და საგარეო საქმეთა გაძღოლაშიც სრულიად ირაციონალურ, „შეთქმულების თეორიაზე“ დამყარებულ სახეს იღებს საერთაშორისო ურთიერთობების და მთლიანად გეოპოლიტიკური მდგომარეობის პრობლემატიკის გაშუქება.

საერთაშორისო წრეებში პრეზიდენტ პუტინის საგარეო პოლიტიკის კრიტიკას რუსეთის იდეოლოგები და პროპაგანდისტები ხსნიან ენერგორესურსებისთვის ბრძოლის გაძლიერების პირობებში მის მიერ განცხადებული მტკიცე უარით გააგრძელოს დასავლეთის მიმართ „უპირობო კაპიტულაციის“ პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა წინა ადმინისტრაცია „ცივ ომში“ დამარცხების შემდეგ. ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეში დესტაბილიზაციის ფაქტორად ცხადდება არა ნეოიმპერიალისტური რუსეთი, არამედ „ცივი ომის“ დრომოჭმული გადმონაშთი" — ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელიც რუსეთის „სუვერენულ დემოკრატიასთან“ შედარებით ევროპული ქვეყნების სუვერენიტეტს ფიქციად აქცევს და თან ხელს უშლის რუსეთს ჩაებას ევროპის ქვეყნებთან ინტეგრაციულ პროცესებში. გრძელვადიან პერიოდში კი ალიანსი ცდილობს რუსეთის ფედერაციის დემონტაჟის ან საგრძნობლად დასუსტების მიზნით ალყა შემოარტყას მას მტრული სახელმწიფოების სალტით. და თუ ევროპა კვლავაც გააგრძელებს რუსეთის ავტორიტარულ „შანტაჟისტ“ ქვეყნად შერაცხვას, მას მოუწევს გაზის სხვა მიმწოდებლების მოძიება, რუსეთს კი შეუძლია „გონზე მოიყვანოს“ ამბიციური ევროპელი პოლიტიკოსები სწრაფად მზარდ ჩინეთის ენერგეტიკულ ბაზარზე ორიენტაციის გადანაცვლებით.

ამავენაირად ხედავენ ურთიერთობას აშშ-თან, ხაზს უსვამენ, რომ ინგრევა ერთპოლუსიანი მსოფლიო. აშშ მარცხდება ერაყსა და ავღანეთში, ხოლო მათი მოკავშირე ისრაელი უკვე დამარცხდა ლიბანში. ამერიკელებმა ვერაფერი მოუხერხეს ჩრდილო კორეის და ირანის ბირთვულ გამოწვევებს და ვენესუელელი უგო ჩავესის გამბედავ ანტიამერიკულ პოლიტიკას, იძულებულნი გახდენ შეეჩერებინათ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ექსპანსია დსთ-ს ტერიტორიაზე.

ასეთი ხედვიდან გამომდინარე, რუსეთი აძლიერებს ზეწოლას აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე. ერაყის ომის დაწყების წინა პერიოდში კი მხარს უჭერდა და აქეზებდა სადამ ხუსეინს. რუსეთის დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩრდილოეთ კორეის და ირანის ბირთვული პროგრამების არსებობა. ანალოგიურად იქცევა სამხედრო იარაღის ბაზრებზე, სადაც უპირატესობა ეძლევა ხოლმე აშშ-ს მოწინააღმდეგე ქვეყნებს. რუსეთს არ გააჩნია ამერიკასთან გლობალური კონკურენციისთვის საჭირო ეკონომიკური და იდეოლოგიური რესურსები და არც უნდა ამერიკასთან ეგზისტენციალური კამათის თავიდან წამოწყება. ამის ნაცვლად რუსეთის ახლანდელ ადმინისტრაციას მიზნად აქვს დასახული გახდეს ამერიკის მიმართ გლობალური ოპოზიციის ლიდერი. ეს ნეგატიური შინაარსის მიზანი, — მეგობრობა ამერიკის წინააღმდეგ, — რაცონალური მიზანი რომ არ არის, სულ მალე გამოაშკარავდება.

**ოთარ კანდელაკი,**
**დოქტორი, საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.**

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 114-115.**

◎ ინფორმაცია

## პოლიციას მკვლელის მფარველობაში ადანაშაულებენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი წევრის 21 წლის უჩა კორძახიას მკვლელების მფარველობაში მოკლულის ოჯახი თბილისის პოლიციას ადანაშაულებს.

როგორც მოკლულის დედამ დალი წიქარიშვილმა განაცხადა, თბილისის პოლიციის გამომძიებელი ნუკრი გაბრიელაშვილი მკვლელებს ფულის აღების სანაცვლოდ მფარველობს.

მისი განმარტებით, დამნაშავე პირთა ვინაობა ცნობილია და მათი ბრალეულობა არაერთი მტკიცებულებით დასტურდება, თუმცა პოლიცია მკვლელობაში მონაწილეებს არ სჯის.

მკვლელებმა ლევან მაისურაძემ, თენგიზ ამურველაშვილმა და ერეკლე ქათამაძემ დიდი ფული ჩადეს, რომ პასუხისმგებლობას არიდებოდნენ. ჩემი შვილის მკვლელობაში მონაწილეობა სამივე პირმა მიიღო. უჩა კორძახიას მრავლი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, რასაც ერთი პირი ვერ შეძლებდა, — განაცხადა დალი წიქარიშვილმა.

მისივე განმარტებით, საქმეში არიან მოწმეები, რომლებიც უთითებენ, რომ უჩა კორძახია ამურველაშვილმა, ქათამაძემ და მაისურაძემ მოკლეს.

— ეს პირები ერთმანეთის ნათესავები არიან. ჩემს შვილს მაისურაძესთან კონფლიქტი მოუვიდა. მაისურაძე დაემუქრა, რომ სამაგიეროს გადაუხდიდა, — აღნიშნა წიქარიშვილმა.

21 წლის უჩა კორძახია 2007 წლის 20 იანვარს მეტროსადგურ „ისანთან“, სამხედრო დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე მოკლეს.

## ბათუმს ეპიდემია ემუქრება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ბათუმის ინფექციურ საავადმყოფოში დაბინძურებული სასმელი წყლით მოწამლულთა რიცხვმა 35-ს მიაღწია. მოწამლულებს იდენტური სიმპტომები აქვთ. მათ დიარეა(ღებინება) და მაღალი სიცხე აღენიშნებათ.

დაზარალებულები აცხადებენ, რომ ონკანიდან სასმელი წყლის დალევის შემდეგ მოიწამლნენ. ყველა პაციენტი ქალაქის გარეუბნის მაცხოვრებელია.

მომხდარის გამო მთელი დღის განმავლობაში ბათუმს სასმელი წყალი არ მიეწოდებოდა.

ბათუმის „წყალკანალის“ წარმომადგენლების განცხადებით, ამ დროისთვის ჩაქვის წყალსაცავში წყლის ხარისხი ნორმებს არ შეესაბამება.

წყლის დაბინძურება გადაუღებელმა წვიმებმა გამოიწვია.

**ინტერპრესნიუსი**

№ 116. პარასკევი. 22 ივნისი. 2007 წელი.

# ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!..




საზოგადოება „ქუთაისელის" დარბაზის წევრებთან

◉ პიროვნება

# ხნიერი ხარის კეთილად ხნული

საერთო ბევრი გვაქვს, მათ შორის ბავშვობის წლები და რკინიგზის მე-20 ვაჟთა სკოლა, რომელსაც ქუთაისი და ქუთათურები დღესაც განათლების დარგის ჭეშმარიტი რეფორმატორის, ნიკოლოზ არველაძის სკოლად მოიხსენიებენ. დაბადებულიც ერთ თვეში ვართ – ივნისში. თუმცა ასაკი და სკოლის დამთავრების თარიღი კი არა, პროფესიაც და ცხოვრებისეული გზაც გვანსხვავებს, მაგრამ თვალს მუდამ ვადევნებდით ერთმანეთის ნაბიჯებს. სიამაყით ამიტომ ვიხსენებ ჩვენი საერთო მეგობრის, ქუთაისში მოღვაწე უნიჭიერესი პოეტის, სულგანათლებულ ზურაბ კუხიანიძის სტრიქონებს დღევანდელ იუბილარზე, რომელსაც

„ენის წვერზე ჩიტი აზის,
მხარზე ჭრელი გუგულია;
სხვა რომ გაჩერებულია,
მის წისქვილში გუგუნია,
არც შრომაში, არც
სუფრაზე
ქედი არ მოუღუნია".

გადაჭარბებული და შემთხვევითი არც ერთი სიტყვა არ არის ამ სტრიქონებში. ცნობილ მრეწველსა და წარმოების დიდ ორგანიზატორს არჩილ მურღულიას რომ „ენის წვერზე ჩიტი აზის", ამას პოეტი კლარენს შამფრიანიც ადასტურებს:


იუბილარი თანაკლასელ სიყრმის მეგობარ ანზორ ბურჯანაძესთან ერთად ჯვრის მონასტერში

„ყველასაგან ქების ღირსი
მწერლობაშიც ტალანტია,
„მე თვითონ"-ო წიგნი მისი
არის ამის გარანტია".

ამავე წიგნზე აკადემიკოსი როინ მეტრეველი „ლიტერატურულ საქართველოში" წერდა: „საქმე გვაქვს საინტერესო ბელეტრისტულ ნაწარმოებთან, რომლის ავტორიც ერთი ღირსეული ქუთათური კაცია – დამსახურებული ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ქართული ინჟინერიის ღირსეული წარმომადგენელი, მეტად კოლორიტული, სიკეთითა და სითბოთი სავსე პიროვნება".

აი, რატომ მიიღეს საქართველოს მწერალთა კავშირმა და მისმა თავმჯდომარემ, პოეტმა მაყვალა გონაშვილმა ფრიად

## სიტყვა მეგობარზე

ორიგინალური გადაწყვეტილება-არჩილ მურღულიას მინიჭებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო წევრის წოდება.

სულითაც პოეტია, ნამდვილი პოეტი.

ვინც 2004 წლის იანვარში საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრო, შეუძლებელია დავიწყებოდა ის ულამაზესი სანახაობა, რომელიც სწორედ მის საწარმოში დამზადებული სადგარებით დაამშვენა გელათის სამონასტრო კომპლექსის კარიბჭიდან დავით აღმაშენებლის სამუდამო განსასვენებლამდე პრეზიდენტის სავალი გზა. ამ სადგარებზე ფიალები იდო და სურნელოვანი ზეთი იწვოდა.

* * *

**საოცარი სიყვარული აკავშირებს მშობლიურ ქალაქთან, რომელიც არასდროს მიუტოვებია და ყოველთვის სიყვარულით უხდიდა ხარკს. ბევრჯერ შესთავაზეს პრესტიჟული თანამდებობა თბილისში, საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში, მაგრამ ვერასდროს ვერავინ დაითანხმა.**

არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე, საზოგადოება „ქუთაისელის" პრეზიდიუმის წევრი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ქვეყანაში 2004 წლის საუკეთესო ინჟინერი, საქართველოს საბავშვო ფონდის მიერ დაწესებული აკ. წერეთლის პრემიის ლაურეატი, ქუთაისის ორი დიდი კოლორიტის – ცნობილი ხელოვანისა და ექიმის გივი ბრეგაძისა და სახელგანთქმული თამადის – სოსო ხარაბაძის მეგობართა საზოგადოებების პრეზიდენტი, ჯერ ქალაქის დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, შემდგომ კი ქუთაისის მრეწველთა და ბიზნესმენთა რეგიონული საბჭოს საპატიო პრეზიდენტი! – აი, მრავალთაგან ზოგიერთი ჩამონათვლი იმ „ნადავლიდან", რომელიც 1951 წელს სკოლის ოქროს მედლით და 1956 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებას დაეფუძნა.

23 წელიწადი იმუშავა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. იყო ინჟინერ-კონსტრუქტორი, ოსტატი, ძრავების საამქროს მექანიკოსი, ამავე საამქროს უფროსის მოადგილე, ქარხნის მთავარი მექანიკოსი და გენერალური დირექტორის მოადგილე კაპიტალური მშენებლობის დარგში. მცირე ხნით ქუთაისის საცდელ-მექანიკურ ქარხანასაც დირექტორობდა, 1979 წლიდან დღემდე კი ქუთაისის მექანიკური ქარხნის თავკაცია-ჯერ გენერალურ დირექტორად მუშაობდა, 1996 წლიდან-სააქციო საზოგადოება „ელექტრომექანიკოსის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.


არჩილ მურღულია

მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ჩამორჩენილი საწარმო იმდროინდელი საბჭოთა ელექტრომანქანათმშენებლობის ერთ-ერთი ლიდერი გახდა და მრავალგზის მოიპოვა საკავშირო დროშები, პრიზები, საპატიო ადგილები და ფულადი პრემია.

„ეს ქარხანა უდაბნოში არსებული ოაზისია, ხოლო მისი თავკაცი, არჩილ მურღულია – ლეგენდარული დირექტორი". – იხსენებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრ ოლეგ ანფიმოვის ხატოვან შეფასებას საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ბატონი დიმიტრი ქართველიშვილი. სწორედ ამითაც აიხსნება, რომ ქუთაისელი ელექტრომექანიკოსების ნაწარმს მომხმარებელი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ამერიკის, ევროპისა და აზიის 14 ქვეყანაშიც ჰყავდა.

გარდამავალ პერიოდში, როცა ფაქტობრივად ქალაქის ყველა საწარმოს გაუჭირდა, „ელექტრომექანიკოსმა", მართალია შემცირებულად, მაგრამ მაინც შეინარჩუნა პოზიცია და ქვეყნის სასიცოცხლოდ აუცილებელი ახალი ნაწარმიც აითვისა, მათ შორის სასმელი წყლის ამოსატუმბები, რომლებსაც დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით სამაჩაბლოს კონფლიქტურ ზონაში. რაც შეეხება საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, ამაზე შეუმცდარად მეტყველებენ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში და 21-ე საუკუნის პირველ წლებში მოპოვებული საერთაშორისო პრიზები-„ოქროს მზე-საუკეთესოს" – მექსიკიდან და „პლატინის ვარსკვლავი" „კომერციული პრესტიჟისათვის"-ესპანეთიდან. როგორც აზერბაიჯანელი ნავთობმომპოვებლები იტყობინებოდნენ, ქუთაისის ელექტრომექანიკოსების მიერ დამზადებულმა ნავთობამოსალებმა ელექტროძრავებმა საგარანტიო ვადაზე ოთხჯერ მეტხანს იმუშავეს შეუფერხებლად. უფრო სენსაციური ცნობაა გამოქვეყნებული გაზეთ „Нефть Башкиристана"-ს 2000 წლის ოქტომბრის ნომერში. სტატიაში აღნიშნულია, რომ „ნავთობსარეწ მოწყობილობათა სამონტაჟო საექსპლუატაციო ქარხანამ 1985 წლის მაისში ნავთობსარეწის ერთ-ერთ ჭაბურღილზე როცა მოწყობილობათა მონტაჟი დაასრულა და ხანგრძლივი შრომითი ცხოვრება უსურვა, მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს დანადგარი ყველა რეკორდს მოხსნიდა და ერთწლიანი საგარანტიო ვადის ნაცვლად 15 წელიწადს შეუსვენებლად იმუშავებდა".

როგორც გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, ასეთ ხანგრძლივ პერიოდში მომუშვე მოწყობილობა ქუთაისის სააქციო საზოგადოება „ელექტრომექანიკოსის" სასიქადულო ნაწარმით - ნავთობამოსალები ელექტროძრავით იყო დაკომპლექტებული.

ვფიქრობთ, ხარისხთან და მსოფლიო სტანდარტებთან ქუთაისის პროდუქციის შესაბამისობის შესახებ სხვა კომენტარი ზედმეტია. ამის მიუხედავად, სააქციო საზოგადოება „ელექტრომექანიკოსს" დღეს მაინც უჭირს. რატომ?

მიზეზი აქაც იგივეა, როგორიც გაცილებით მოგვიანებით ქართულ ღვინოებთან და „ბორჯომთან" დაკავშირებით წარმოჩინდა – ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების არც თუ მეგობრული პოლიტიკა – პროდუქციის ერთ-ერთი უმთავრესი მომხმარებლის ბაზრიდან ყოველივე ქართულის განდევნა.

* * *

**სამოცდაათს გადაცილებულს უმძიმესი განსაცდელი დაატყდა – ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მხარიდან გამოეცალა უერთგულესი და უსათნოესი მეგობარი, ქალბატონი მერი.**

ამ ულრმესმა მწუხარებამაც კი ვერ დააძაბუნა. დღეს უკვე სამოცდათხუთმეტისა შესრულდა, მაგრამ ჩემს მეგობარს ვერავინ შეკადრებს, ბებერი ხარო.

შრომის დროს ნახეთ, თამადად ნახეთ და თავად დარწმუნდებით, რომ ფარსაგად ვერავინ დაჯაბნის.

არც აქვს დაძაბუნების უფლება: მეუღლის ხსოვნა არ აპატიებს, ვერ აპატიებს მისი პირმშო; ვერც სოხუმიდან დევნილი „ორგტექნიკა", რომელიც მისი თაოსნობით შეიფარეს ელექტრომექანიკოსებმა. ვერ აპატიებენ მის მიერ დაფუძნებული „ნილბების თეატრი" და კულტურის მრავალი სხვა კერა, რომლებსაც უანგარო ქველმოქმედებით შეუნარჩუნა სიცოცხლე... და რაც ყველაზე მთავარია, ვერ აპატიებენ შვილებივით აღზრდილი ელექტრომექანიკოსები, რომლებსაც უმისოდ გაუჭირდებათ მრავალგზის მოპოვებულ ოქროზე, პლატინასა და სხვა ძვირფასეულობაზე დაფუძნებული დიდების დაბრუნება.

ვერ აპატიებენ, რადგან სწამთ მისი, რამეთუ იციან, რომ, როდესაც ბევრია, ძალზე ბევრია სათეს-სამკალზე საფიქრალი, ხნიერი ხარის კეთილად ხნული წალმართად წაადგება ჩვენს ახალფეხადგმულ ქვეყანას და მის ახალგაზრდობას.

**ალექსანდრე შენგელია,**
**„ს.რ." საკ. კორ.**

◉ ინფორმაცია

## დასაქმდება ორი ათასამდე სტუდენტი

25 ივნისიდან, დედაქალაქის მერიის დასაქმების პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების რეგისტრაცია იწყება. პროგრამის მიხედვით, საზაფხულო სამუშაოებზე 2 ათასი სტუდენტი დასაქმდება.

გიგი უგულავას თქმით, სტუდენტებს განსხვავებული, მრავალფეროვანი და დატვირთული ზაფხული ელით.

– შეიტანეთ წვლილი დედაქალაქის კეთილმოწყობაში, დასუფთავებასა და მშენებლობაში და საკუთარი ანაზღაურებით გაატარეთ ზაფხულის თბილი დღეები ხალისიანად, – აცხადებს დედაქალაქის მერი.

მისი თქმით, ყველა განვითარებულ ქვეყანაში სტუდენტურ ცხოვრებას თან ახლავს შრომა, საკუთარი ანაზღაურება და დამოუკიდებლობა.

დასაქმდება 2 ათასი სტუდენტი, რის შემდეგაც რეგისტრაცია შეწყდება. სამუშაოები 16 ივლისიდან დაიწყება და 1 თვის განმავლობაში გაგრძელდება. თითოეული სტუდენტი ანაზღაურების სახით 300 ლარს მიიღებს.

**ХО-ЭОК-ЭНО**

## მცირეწლოვანი ბავშვები – ღია ცის ქვეშ

მცირეწლოვანი ბავშვები, რვა წლის ნიკა და ხუთი წლის ია ქიქავები უფროსების უთანხმოების გამო ღია ცის ქვეშ რჩებიან.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრიდან" იტყობინებიან ბაბუის დანატოვარი ქონების გამო დავა ბიძებთან, თემურ და ვაჟა ქიქავებთან ბათუმის სასამართლოში თვეების განმავლობაში იწელება. როგორც ბიძები აცხადებენ, ბავშვებს მემკვიდრეობის უფლებები მშობლების ქმედებების გამო ეზღუდებათ.

ბავშვების მამა, სოსო ქიქავა ორი წლის წინ გარდაიცვალა. როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, იგი ნარკომანი იყო. გარდაცვლილის მეუღლის ირმა ხაბაძის თქმით, ქმრის მავნე ჩვევის გამო უამრავი ვალი დაედო.

– თემურ ქიქავას თქმით, ირმა ხაბაძე შვილების სახელით სპეკულირებს. „მე უცოლშვილო კაცი ვარ. მზად ვარ ძმისშვილებს წილი საკუთარიდან დავუთმო, თუ მას ხაბაძე ვერ შეეხება, – აღნიშნა თემურ ქიქავამ.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მამის კუთვნილ სავალდებულო წილზე შვილებს უფლება გააჩნიათ, – აცხადებს „ადამიანის უფლებათა ცენტრის" იურისტი ბაკურ ბოლქვაძე.

**ინტერპრესნიუსი**

**ი. ბ. სტალინის უდიდესი და უშრეტი ენერგიით წინ წასული ტექნიკური აზროვნება, სულ უფრო მზარდი სამხედრო საავიაციო მრეწველობა, საბჭოთა ავიაკონსტრუქტორებს და მეცნიერებს ფართედ უხსნიდა გზას კიდევ უფრო დამაჯერებელი წინსვლისთვის**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხვალ იყო ომი**

# გამარჯვების ფრთები

## ამონარიდი სამხედრო-საავიაციო მრეწველობის მინისტრის ა.ი. შახურინის წიგნიდან

*„...Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ თითქმის ყოველდღიურად იყო დაკავებული საავიაციო საკითხებით. მან როგორც საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარემ 1941 წლის თებერვალში მოიწვია სახალხო კომისართა თათბირი (ახლა იტყვიან მინისტრების თათბირი) სიტყვითაც გამოვიდა ხელმძღვანელობის სტილის შესახებ და აღნიშნა: „... რომ მთავარია, ბეჯითად და გულდასმით ვერკვეოდეთ დავალებულ საქმიანობაში, ვიცნობდეთ თანამშრომლებს, ვასწავლიდეთ მათ შრომას და ვსწავლობდეთ მათგან, არ ჩათვალოთ, რომ შენ უკვე იცი, იცი სხვებზე მეტი...“ ასე დაამთავრა მან სიტყვა;*

*— აი, მე ხშირად ვხვდები ახალგაზრდა სახალხო კომისარს ამხ. ა.ი. შახურინს და ვხედავ გარკვეულ სიკეთეს ამ შეხვედრებიდან, ამავ დროულად იმასაც ვხედავ, რომ არც მისთვისაა ურიგო ჩვენი შეხვედრები“. ამ სიტყვებმა დარბაზში მყოფთა მცირე ხმაური გამოიწვია.*

ᲠᲝᲪᲐ თათბირის მონაწილენი ვიშლებოდით, საკავშირო საერთო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარმა ამხ. პარშინმა მითხრა: ... აი ხედავ,მე ჩემს შეფთან სამ თვეში ერთხელაც ვერ ვხვდები, შენ კი ი. ბ. სტალინთან თითქმის ყოველდღე ხარ.“

— ეს კი ასეა, — ვუპასუხე მე, — მაგრამ შენ, პიოტრ ივანიჩ, ისიც უნდა იფიქრო, რომ არც ისე იოლია ი. ბ. სტალინთან ხშირად ყოფნა და საუბრები.

ი. ბ. სტალინთან ხშირი შეხვედრები, მე როგორც ახალგაზრდა სახალხო კომისარს, მასწავლიდა, გამომემუშავებინა საკითხების გადაჭრის სწრაფი უნარ-ჩვევები, ყველაფერი გადამეწყვიტა ოპერატიულად. თუ კი ჩემ წინაშე წამოიჭრებოდა რაიმე პრობლემური საკითხი და მასზე სწრაფი რეაგირება მაშინვე არ შემეძლო, გულმოდგინედ შესწავლის და მოაზრების შემდეგ აუცილებლად გადავჭრიდი უახლოეს დროში. სტალინთან ურთიერთობა მიბიძგებდა მეძებნა ახალი საქმიანობის ორგანიზაციის უსწრაფესად გადაჭრის გზები და რაც მთავარია, გამომიმუშავდა მიღებულ გადაწყვეტილებათა განუხრელად და უეჭველად შესასრულებელი ხასიათი და თვისებები.

ახლა შეიძლება უცნაურადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ მაშინ ჩვენ სამსახურიდან არ მივდიოდით ღამის 2-3 საათამდე, ზოგჯერ დილის 4-5 საათამდეც კი. ასე იყო მიღებული, გვემუშავა ასეთი მეთოდით, ვინაიდან დაკავშირებული ვიყავით ი. ბ. სტალინთან და იგი სწორედ ასეთი სტილით მუშაობდა.

1941 წლის დასაწყისში, როცა საავიაციო ნაწილებში მოდიოდა ახალი ტექნიკა, ახალი თვითმფრინავები და წარმოიქმნა მათი შესწავლის და ათვისების აუცილებლობა, მფრინავებს შორის ჯერ კიდევ ბოგინობდა ძველებური შეხედულება. ერთნი კმაყოფილნი იყვნენ ახალი ტექნიკით, მოსწონდათ ალჭურვილობა, საფრენოსნო თვისებები, გარე შეხედულება, რომელიც ძლიერ წააგავდა ქარიყლაპია თევზს ძველი მანქანების ფართო შუბლის მაგიერ ძრავების საჰაერო გაცივების დგუშებით. სხვები ფიქრობდნენ, რომ მოდიოდა სირთულე საქმიანობაში, თითქოს არც ისეთი მანევრების უნარი ექნებოდათ, როგორც ძველებს და სთვლიდნენ მეტისმეტად რთულ სამართავს. აქვე უნდა ითქვას, რომ ძველი ტიპის მანქანებზე არ იდგა მცირე კალიბრიანი ქვემეხები, ეს მაშინ, როდესაც ძველებზე იდგა მხოლოდ ტყვიამფრქვევები. ეს ყველაფერი მხედველობაში იყო მისაღები, ახალი ტენიკა არც ისე იოლი იყო ასათვისებლად, მით უმეტეს, რომ წინა პლანზე იყო წამოწეული უავარიო ფრენოსნობა და ფიგურული პილოტაჟის უნაკლოდ შესრულება, ამას ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ცალკეულ ნაწილებში მფრინავთა შემადგენლობა იყო ახალგაზრდული და ბევრი მუშაობა იყო მათთან საჭირო, დრო კი არ ითმენდა.

ეს ყველაფერი ცნობილი გახდა საკავშირო ცენტრალური კომიტეტისთვის, ამიტომ 1941 წლის თებერვალშივე შედგა სამხედრო მფრინავთა და სპეციალისტთა გაფართოებული სხდომა, რომელიც გაიმართა კრემლის სვერდლოვის სახელობის დარბაზში. ესწრებოდნენ ავიაკონსტრუქტორები, საავიაციო მრეწველობის მესვეურები, მფრინავ-გამომცდელები და ისინი, ვინც უკვე დაფრინავდნენ ახალი ტექნიკით.

თათბირი გახსნა ვ.მ. მოლოტოვმა. მან თქვა, რომ ცკ აინტერესებს ვიცოდეთ, ვინ რა აზრისაა ახალ ტექნიკაზე.

სიტყვაში გამოსასვლელად ეგრე რიგად სწრაფად და გაბედულად ვერავინ გაბედა გამოსვლა. გამოვიდა მხოლოდ მფრინავი ლაკეევი (შემდგომში გენერალი). მან თქვა, რომ როცა ახალი ტექნიკით დაფრინავს, განიცდის უდიდეს მორალურ კმაყოფილებას. სულ ახლახან, როცა მოსკოვს ვუახლოვდებოდი, კიდევაც წავიმღერეთ.

— მაინც რა წაიმღერეთ? — ჰკითხეს მას, ლაკეევმა გაიღიმა და უპასუხა: „ვიხოდილა ნა ბერეგ კატიუშა...“

ჰა, ჰა, ჰა — იყო სიცილ-ხარხარი დარბაზში, მაგრამ იყო უფრო თავდაჭერილი გამოსვლებიც, ისეთებიც კი, რასაც საერთო არაფერი ჰქონდა ახალ მანქანებთან. ძალზე სერიოზულად, მკაფიოდ და სასარგებლოდ ილაპარაკეს გამომცდელებმა სუპრუნმა და სტეფანოვსკიმ.

ი. ბ. სტალინი სიტყვაში გამომსვლელებს აცლიდა ბოლომდე საუბარს. როგორც ყოველთვის, ჩიბუხით ხელში დარბაისლურად დაბრძანდებოდა, ყველაფერს ისმენდა უდიდესი გულისყურით. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მისთვის მთავარი იყო, მიეცა მითითებები. მას მფრინავთა შეხედულებებზე ბევრი ჰქონდა მოსმენილი და ელოდა რაიმე ახალს. როცა გამოსვლები დამთავრდა, ლაპარაკი დაიწყო მან. ძველი კონსტრუქციის მანქანები მოხსნილია წარმოებიდან და აღარ გამოვუშვებთ, ამიტომ ის ვინც იმედოვნებს, რომ იფრენს ძველ მანქანებზე, ძლიერ შეცდება, — აღნიშნა ი. ბ. სტალინმა. — მართალია, ძველებზე ადვილია ფრენა, მაგრამ ბრძოლის პირობებში დაღუპვაც ადვილია. გამოსავალი მხოლოდ ერთია, სწრაფად ავითვისოთ ახალი ტექნიკა, შეიარაღების თავისებურებანი და სანავიგაციო საშუალებები.

შემდეგ ი. ბ. სტალინი დაწვრილებით შეეხო გერმანიის ვერმახტის შეიარაღებაზე რიცხულ სამხედრო თვითმფრინავებს, აგრეთვე ინგლისის, საფრანგეთის და აშშ შეიარაღებაზე არსებულ მანქანებს. ლაპარაკობდა მათ სიჩქარეებზე, შეიარაღებაზე, ტვირთამწეობაზე, სწრაფასვლაზე, აფრენის შემდგომ პილოტირებაზე. ყველაფერ ამას იგი ლაპარაკობდა ზეპირად, არ სარგებლობდა არავითარი ჩანაწერებით, უშეცდომოდ, ზუსტად, რამაც უკიდურესობამდე გააოცა და გააკვირვა ყველა დამსწრე. თავისი სიტყვა მან დაამთავრა ასე:

„ — შეისწავლეთ ახალი თვითმფრინავები, ისწავლეთ და სრულყოფილად ფლობდეთ მათზე განლაგებულ საბრძოლო ტექნიკას. სანავიგაციო საშუალებებს, როგორც მანევრირების, ისე ბრძოლის დროს გამოიყენეთ ჩვენი თვითმფრინავების უპირატესობები მოწინააღმდეგის მანქანებთან შერკინების დროს; გახსოვდეთ, რომ წარმატებისთვის ეს არის ერთადერთი გზა.

ამ თათბირმა ძალიან დიდი როლი შეასრულა შემდგომი პერსპექტივისთვის, როგორც ავიაკონსტრუქტორების, ისე ყველა რანგის მეთაურების და მფრინავებისთვის. თათბირის ექო გასწვდა აბსოლუტურად ყველა პოლკებში, დივიზიებში, კორპუსებში და არმიებში. აიწყო ახალი ტექნიკის მოთხოვნები ინსტანციების მიხედვით; აწკრიალდა ტელეფონის ზარები, იწერებოდა მოთხოვნები და ეს მაშინ, როცა ახლად ფეხადგმული მრეწველობა ვერ აუდიოდა ყველა ობიექტის დაკმაყოფილებას და საბრძოლო განრიგის მიხედვით უზრუნველყოფას. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სრულყოფილად ათვისებისთვის აღარ რჩებოდა დრო.

შემდგომში, უკვე ომის დაწყების პირველსავე პერიოდში, დავრწმუნდი, რომ ახალგაზრდა პილოტების საფრენოსნო გამოცდილება თანამედროვე თვითმფრინავებზე, რომლებიც ფრონტებზე იგზავნებოდა, იყო ძალიან უმნიშვნელო და ჩვენ მაშინ ამის გამო დიდი დანაკარგები ვნახეთ.

ამას ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, როდის დაიწყებოდა ომი, თუმცაღა მზადება მიმდინარეობდა სრული დატვირთვით, ვმუშაობდით უდიდესი დაძაბულობით, რაც ახალი თაობის ადამიანებისთვის საერთოდ წარმოუდგენელი იყო. მაგრამ როგორ მწვავედ განვიცდიდით დროის უკმარისობას, როგორ გვჭირდებოდა თუნდაც კიდევ ნახევარი წელიწადი დრო!

როგორც უკვე ითქვა, სამხედრო საავიაციო საკითხებში ის დიდმნიშვნელოვანი თათბირი გაიმართა 1941 წლის თებერვლის ბოლოს. მოდით ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა მოწინააღმდეგის ბანაკში. აი, რას წერს თავის მემუარებში გერმანიის ვერმახტის ერთ-ერთი წამყვანი ავიაკონსტრუქტორი ჰეინკელი: „...საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის პერიოდში დაახლოებით 1943 წლის ივნისში, ადოლფ ჰიტლერმა გადაწყვიტა, მიეღო საგანგებო ზომები სამხედრო ავიაციის გადახალისების და ტაქტიკურ-ტექნიკური საკითხების გაუმჯობესების საქმეში. ამ მიზნით მან მოიწვია გერმანიის წამყვანი ავიაკონსტრუქტორები, რათა ემსჯელათ გერმანიის ავიაციის ჩამორჩენის და ფრონტებზე გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვის მიზეზებზე.

საქმე ის იყო, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ავიაკონსტრუქტორ ს. ა. ლავიჩკინის საჰაერო გაგრილების ძრავებიანი თვითმფრინავებისა და ავიაკონსტრუქტორ ა.ს. იაკოვლევის ახალი ტიპის ავიაგამანადგურებლების გამოჩენამ სულ უფრო თვალსაჩინო გახადა საბჭოთა ტექნიკის უპირატესობა მოწინააღმდეგეზე. როგორც აღნიშნავს ჰეინკელი, წამყვან ავიაკონსტრუქტორებს და სხვა სპეციალისტებს ცალ-ცალკე იწვევდნენ ჰიტლერთან, რომლებთანაც იგი აწარმოებდა საუბრებს. როგორც წესი, საუბრები იწყებოდა ასე:

— აქამდე მე არ ვერეოდი ლიფტვაპეს საქმიანობაში, ვინაიდან ვიცოდი, რომ ჩვენი ავიაცია ყველაზე ძლიერია მსოფლიოში, მაგრამ საშინელმა იმედგაცრუებამ, რომელსაც მე განვიცდი უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, მაიძულა დავადგე ამ პირდაპირ გზას, რათა გავერკვე რა მოხდა? მე მოვითხოვ პირდაპირ პატიოსან და გულახდილ პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებსაც მე დავსვამ, რათა გავერკვე რა შინაარსის გადამჭრელი ზომებია მისაღები სტრატეგიულგაბატონებული უპირატესობის დასაბრუნებლად ჰაერში.

მართალია ჰიტლერთან ჩატარებულმა შეხვედრებმა ერთგვარად გამოაცოცხლა გერმანიის ვერმახტის ავიაკონსტრუქტორები, მაგრამ იმ დროისთვის მათ აღარ შეეძლოთ შემოეთავაზებინათ დაკარგული პოზიციების აღსადგენად და დასაბრუნებლად რაიმე რეალური და ეფექტური, რასაც შეეძლო, ვერმახტის საჰაერო ფლოტი გამოეყვანა უკიდურესობამდე კრიტიკული მდგომარეობიდან. არც ახალი ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფი 190,“ არც „ჰეინკელ 111“, არც საქვეყნოდ ცნობილ „მესერშმიდტზე“ გატარებულმა სრულყოფილმა ღონისძიებებმა, რაც გამოიხატებოდა ახალი მაღალსიჩქარიანი ძრავების დადგმაში, ვერც საიმედო ჯავშანდაცვამ, ვერც გაუმჯობესებულმა შეიარაღებამ ვერ შეძლო, დაეძლიათ გერმანელებს ასეთი კატასტროფიული ტექნიკური ჩამორჩენა.

ი. ბ. სტალინის უდიდესი და უშრეტი ენერგიით წინ წასული ტექნიკური აზროვნება, სულ უფრო მზარდი სამხედრო საავიაციო მრეწველობა, საბჭოთა ავიაკონსტრუქტორებს და მეცნიერებს ფართედ უხსნიდა გზას კიდევ უფრო დამაჯერებელი წინსვლისთვის. თვითმფრინავები მზადდებოდა სულ უფრო ტექნიკურად სრულყოფილი, მაღალსიჩქარიანი, მძლავრი ძრავებით, მტკიცე ჯავშანდაცვით, ტყვიაგაუმტარი მინებით, პილოტირების თვალსაზრისით მეტად საიმედო, მანევრული და ახალ-ახალი სანავიაციო საშუალებებით, მოწინააღმდეგესთან გამართული საჰაერო ბრძოლებში ახალ-ახალი ტაქტიკურ-სტრატეგიული სქემებით და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარმოებიდან იხსნებოდა უკვე მოძველებული ტიპის ავიატექნიკა.

საბჭოთა ავიაკონსტრუქტორები და სპეციალისტები იმ დროისთვის მუშაობდნენ მე-2 და მე-3 თაობის მანქანების შექმნაზე და ნერგავდნენ მრეწველობაში, ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთში გადაბაზირებული ობიექტები სულ უფრო და უფრო მეტ ხარისხიან და საიმედო მანქანებს აწვდიდნენ საავიაციო შენაერთებს საბჭოთა არმიის მიერ ძირითადი ოპერაციების ჩასატარებლად ჯერ ძლიერი მოწინააღმდეგის საბოლოოდ დასაძლევად.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია პარალელიც კი გავავლოთ ამ ეტაპზე. მის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ი. ბ. სტალინისა და საბჭოთა მთავრობის ფასდაუდებელ ღონისძიებათა და ადოლფ ჰიტლერის მიერ 1943 წელს გატარებულ ძლიერ დაგვიანებულ ღონისძიებებს შორის. ეს ის დრო იყო, როცა გერმანიის ვერმახტმა ფაქტობრივად უკვე დაკარგა გაბატონებული მდგომარეობა ჰაერშიც და ხმელეთზეც, ხოლო გადამჭრელი ან ეფექტური ღონისძიებების გატარების შესაძლებლობები ამოწურული იყო. მას ემატებოდა კიდევ ინგლის-ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მოკავშირეების მიერ ლენდლიზით მოწოდებული თვითმფრინავების, ტანკების, ქვემეხების, სურსათის და სხვა საბრძოლო საშუალებების მოწოდება ფაშიზმის დასასამარებლად. მოსახდენი მოხდა კიდევაც დიდი სამამულო ომის წარმობის ყველა ფრონტებზე, მიმართულებებზე საბრძოლო ოპერაციებში.

შორს აღარ იყო 1945 წლის აპრილის მიწურულის და მაისის თვის პირველი რიცხვები, როცა ბერლინის ცაში მწყობრად დაფრინავდნენ ავიაესკადრილიები- „სტალინური შევარდნები“.

სახელოვან ავიამრეწველთა ხელით შექმნილ თვითმფრინავებზე არაერთი გმირული შარავანდედით შემოსილი ბრძოლითი ფურცელი ჩაიწერა ისტორიაში, ფაშისტური ვერმახტის გამოცდილ და დაუნდობელ საჰაერო პირატების წინააღმდეგ გამართულ დიდი სამამულო ომის მატიანეში.

მრავალეროვან საბჭოთა ქვეყნის შვილების მხარდამხარ საქვეყნოდ აღიარებული სახელოვანი გმირი მფრინავების: ა. პოკრიშკინის, ნ. გასტელოს, ი. კოჟედუბის, ა. მარესიევის, მარსელ ალბერტის, ვ. ტალალიხინის გვერდით არასოდეს არ უნდა იქნას დავიწყებული, არც ახლა და არც მომავალში, ქართველი ერის წიაღში დაბადებული და აღზრდილი მფრინავების ჭ. ბენდელიანის, ო. ჩეჩელაშვილის, ზ. ხიტალიშვილის, ახალგაზრდა ვასილ სტალინის, ა. გაბუნიას, ვ. შურღაიას, ვ. ძაბახიძის, ი. ჭინჭარაძის, კ. ზუბიაშვილის, ი. ელიზბარაშვილის და მრავალი სხვა გმირული სახე, რომლებიც სიცოცხლის ფასად, უდიდესი თავგანწირვით და მამაცურად ებრძოდნენ მოძალადე მტერს, სამშობლოს ინტერესების და პირადი ღირსების დასაცავად.

აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სამხედრო საავიაციო მრეწველობისთვის ერთგული და თავდადებული ადამიანები: ბალანდინი, ჟეზლოვი, ლუკინი, სოლდატოვა, ტრეტიაკოვი, გოცირიძე, კომაროვი, სალაძე, ხვედელიანი, ლავრენტიევი, აგაჯანოვი, ტიმოფეევი, კაზაკოვი სხვები და კიდევ სხვები ეს იყო პერიოდი აღსავსე ყოველდღიური, ყოველწუთიერი დაძაბული თავგანწირული შრომითი პათოსით. რაც ისახავდა უდიდეს პატრიოტულ მიზანს დაგვეცვა ჩვენი ქვეყნის სუვერენული დამოუკიდებლობა და ღირსება.

მოამზადა ქართული
414-ე დივიზიის ყოფილმა ოფიცერმა,
„თბილმეტროპოლიტენის“
ინჟინერმა
ოთარ დურგლიშვილმა.

№ 116. პარასკევი, 22 ივნისი, 2007 წელი.

# დისკუსია

განსხვავებულ წყობათა საზოგადოებრივი თანაარსებობა ფარული და აშკარა ანტაგონიზმითაა სავსე და ყველა მხარეს თავისი მიზნის მისაღწევი საშუალებები აქვს



# როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება...

## ესკიზები საქართველოს უახლესი ისტორიიდან

## რა გზა გამოვიარეთ

*„...ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა – აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის – ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა – საქმეთა“.*

*ილია ჭავჭავაძე*

სსრ კავშირის რღვევა და დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ჩვენი ერის უახლესი ისტორიაა, რომელსაც დღეს ამ პროცესების მომსწრენი და მონაწილენი წერენ. იგი, ბუნებრივია, სწორედ ამიტომ, სუბიექტური და უპირატესად ავტორთა პოზიციის გამომხატველია, პოზიციისა, რომელიც სავსებით შესაძლოა ყოველთვის არ იყოს ობიექტური. XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნამდვილ და მიუკერძოებელ ისტორიას მომავალი თაობები დაწერენ.

### 1. იმპერიის დაშლის გარდუვალობა

მართალია, მოვლენის მიმართ პოზიციის უქონლობაც ერთგვარი პოზიციაა, მაგრამ ჩვენი ახლო წარსულის მხოლოდ „ბოროტების იმპერიად“ წარმოსახვაც ისეთივე ცალმხრივი შეხედულებაა, როგორც მისი თაობის არაიშვიათად გამოხატული მონატრება იმ წარსულისა. ამ დღეებში კი აშშ-ში მისმა პრეზიდენტმა კომუნიზმის მსხვერპლთა მემორიალი გახსნა და მწარე სანელებლით შეკმაზული სიტყვა წარმოთქვა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ასევე ყოველთვის დიდი მსხვერპლით მკვიდრდებოდა ყველა გამარჯვებული ისტორიული წყობა (და ხშირად მთავრობაც), მათ შორის ფაშიზმიც. ამ უკანასკნელისადმი მონატრება კი, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, დღეს არაიშვიათად იჩენს თავს „დემოკრატიის მშენებელი“ ზოგიერთი სახელმწიფოს საზოგადოების ცალკეულ ფენებში. ყოველივე ამას მხოლოდ მომავალი შეაფასებს და კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

განსხვავებულ წყობათა საზოგადოებრივი თანაარსებობა ფარული და აშკარა ანტაგონიზმითაა სავსე და ყველა მხარეს თავისი მიზნის მისაღწევი საშუალებები აქვს.

საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსმა (დღეს „დიქტატორად“ წოდებულმა) ფაშიზმის განადგურება არსებითად თავისივე მტრების ხელით შეძლო და უმძიმესი მსოფლიო ომიდან უძლეველ სახელმწიფოდ გამოვიდა. ფაქტობრივად, ფედერაციული წყობის თვალუწვდენელი ქვეყნის პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გეზს ერთადერთი ადამიანი განსაზღვრავდა(!!). ეს იყო ერთი ისტორიული პიროვნების მიერ მართული ტოტალიტარული რეჟიმის სუპერკლასიკური ნიმუში.

მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება, მსგავსი რეჟიმების ძლევამოსილება ისტორიის არენიდან მათი შემოქმედის წასვლით მთავრდება. ზოგიერთი მაშინვე იშლება, ზოგი მკვიდრად ნაგები კი უფრო მოგვიანებით, გამძლეობის კვალობაზე. ისტორიული შედეგი კი ყველგან და ყოველთვის ერთნაირია. უძლეველი გენერალისიმუსის გარდაცვალების შემდეგ სსრ კავშირიც, როგორც ერთადერთ და უცვლელ (!) პიროვნებაზე მორგებული სახელმწიფო, ასეთივე კანონზომიერებას დაექვემდებარა. მისი შემდგომ არსებობისათვის სხვა, ობიექტური აუცილებლობით გაპირობებული პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძველი არ არსებობდა. სწორედ ამიტომ სსრ კავშირმა ფაქტობრივად იმდენ ხანს იარსება, რამდენ ხანსაც მისმა შემქმნელმა პიროვნებამ იცოცხლა. რაც შეეხება ამ პიროვნების გარდაცვალების შემდეგ განვლილ 37 წელს, იგი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გამუდმებული მარცხისა და დემონტაჟის წლები იყო (ე. წ. „ბამის“ მშენებლობა, ყამირის ათვისება და სხვ., რომლებსაც ურიცხვი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უაზროდ შეეწირა და სახელმწიფო გაალატაკა). ეს პროცესი ჩვენს თვალწინ უზარმაზარი ქვეყნის დაშლით (ფაქტობრივად სოციალისტური სისტემის დამარცხებით!) დამთავრდა!!! ჩვენ, ამ ისტორიული კატაკლიზმის მომსწრე საზოგადოების სრულასაკოვან ნაწილს, ჯერაც ვერ გაგვიცნობიერებია მომხდარის მასშტაბები, მიზეზები და საბედისწერო შედეგები, გონების ძალა არ შეგვწევს მისი ობიექტურად გააზრებისა და ანალიზისათვის. სწორედ ამიტომაა ჩვენს მიერ დაწერილი უახლესი ისტორია და შეფასებები სუბიექტური და მიკერძოებითი (მათ შორის, რა მოსატანია და, ცხადია, ეს წერილიც).

სოციალურ-ეკონომიკურ სისტემათა ამ დაუნდობელ ბრძოლაში იმ წყობამ გაიმარჯვა, რომელიც კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ პიროვნულ ინიციატივასა და ღია საბაზრო ურთიერთობებს ეყრდნობოდა. ამ უშეღავათო ბრძოლაში ისტორიული განვითარების თვალსაზრისით სოციალურად უფრო ბუნებრივმა და ეკონომიკურად უფრო ნაყოფიერმა სისტემამ აშკარად დაჯაბნა სისტემა, რომელსაც ობიექტური არსებობის რეალური საფუძველი არ გააჩნდა და ძალდატანებითი (პროკრუსტეს) მეთოდებით ცდილობდა სოციალურად მეტ-ნაკლებად გამართული, მაგრამ აშკარად უტოპიური საზოგადოების დამკვიდრებას.

### 2. უცხო ძალების როლი

ეს ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, „ცივი ომის“ პარალელურად, ახალი ძალით გაჩაღდა. პირველ რიგში ორივე მხარემ ბრძოლის სტრატეგია შეიმუშავა. ჯერ კიდევ 1945 წელს, გელადის სიკვდილამდე რვა წლით ადრე, აშშ-ს სადაზვერვო უწყების ხელმძღვანელი ალენ დალესი ამბობდა (მკითხველმა მომიტევოს ამ ცნობილი ციტატის მოტანა, რომელიც, შესაძლოა, მოკლებული არ არის ტრივიალობას, მაგრამ მის გახსენებას საჭიროდ ვთვლი): „სტალინის სიკვდილის შემდეგ(!) საბჭოთა კავშირში ჩვენ ქაოსს შევქმნით (მის სიცოცხლეში ეს ვერავინ შეძლო! ა. გ.), ხალხს რწმენას შევურყევთ და ყალბ ფასეულობებს შევაჩეჩებთ, ვაიძულებთ ჩვენი შეხედულებები ირწმუნონ. ამას მოვახერხებთ რუსეთში, მათ სახელმწიფო ხელისუფლებაში თანამოაზრეებისა და მ ო კ ა ვ შ ი რ ე ე ბ ი ს შექმნით, იქ შეიქმნება ქაოსი და უწესრიგობა, საზოგადოებაში გამეფდება უტიფრობა და თავხედობა, სიცრუე და მატყუარობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი, ნაციონალიზმი და მტრობა ხალხებს შორის, პირველ რიგში მტრობა და სიძულვილი რუსი ხალხისადმი. მოგვიანებით ყველაფერი ეს გაიფურჩქნება და შავბნელ ფერებში აღალანდება. ჩვენ შევძლებთ თაობათა რწმენის შერყევას და ბავშვობისა და ყრმობის ასაკიდან ადამიანების ჩვენი გავლენის ქვეშ მოქცევას. ხალხი ცინიკოსებად, თახსირებად და კოსმოპოლიტებად გადაიქცევა!.. („Социально-экономический журнал,1993г. №1-2, стр. 130-131).

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა სავსებით დაადასტურეს აშშ სადაზვერვო უწყების შეფის გეგმების ქმედითუნარიანობა. ყველაფერმა, რაც მართლაც შემდეგ სსრ კავშირში მოხდა (ჭკუანაკლული „გენსეკების“ მოსვლა-წასვლა, პიროვნების კულტის „დასაფლავება“, ეკონომიკის ჯერ მორყევა და შემდეგ დანგრევა, საზოგადოების „მორალური გახრწნა“ (წაიკითხე – გამოღვიძება!), დიქტატურის მოშლა და დემოკრატიის (წაიკითხე – „პერესტროიკის“) თანდათან მომძლავრება და ა.შ.) დაადასტურა ის ფაქტი, რომ „უძლეველ სსრ კავშირს“, ჩვენდა საბედნიეროდ, მართლაც მხოლოდ ერთი პიროვნების დიქტატი მართავდა და მის შემდეგ მოსახდენის მოხდენა, რომ იტყვიან, მხოლოდ „ტექნიკის საქმე“ იყო. ამ ტექნიკას კი მოწინააღმდეგე სისტემის მედროშე მშვენივრად ფლობდა. დიქტატორის მართული იმპერიების დრო წარსულს ჩაბარდა.

ორიოდე მაგალითს მოვიტან, რომელიც აშშ-ს გეგმის პრაქტიკული რეალიზაციის დადასტურებად გამოდგება. ეს უკვე 80-იანი წლების დასასრულს ხდება.

ერთ-ერთი მათგანი სსრ კავშირის რუსი მოქალაქის პიროვნულ გაბითურებას (მაპატიეთ ეს გამოთქმა) ასახავს. 1989 წლის გაზეთი „Аргументы и факты“, №37, ერთი პიროვნების ასეთ წერილს აქვეყნებს: „მე და მამაჩემი ციმბირში დავიბადეთ. ენით და აღზრდით რუსები ვართ. მამამ თავისი ძალა და ენერგია აფხაზეთში ჰესის მშენებლობას შეალია და 48 წლისა გარდაიცვალა. ის უკრაინაში დაიმარხა. დედა ულან-უდეშია (ბურიატია) დაბადებული. მე მთელი ჩემი სიცოცხლე თურქმენეთში ვმუშაობდი, ცოლი, მამით აზერბაიჯანელი და დედით უკრაინელი, აღზრდით რუსია. ჩემი ქალიშვილი ტაშკენტში დაიბადა, ვაჟი – აშხაბადში. დავბერდი, წინ საპენსიო ასაკია, მაგრამ სადაა ჩემი მიწა, ჩემი სამშობლო? ალბად იქ, სადაც უფრო დიდხანს ვიმუშავე და ძალ-ღონე დავხარჯე. მე კი მეუბნებიან: არა, ეს თურქმენეთია. სამშობლო იქ არის, სადაც წინაპართა საფლავებიაო. ვიყავი მამის საფლავზე. ის წაბილწულია, ვარსკვლავი ჩამოვარდნილია, წარწერა მოშლილი. სხვა საფლავები უარეს დღეშია, ბულდოზერითაა მოთხრილი...“ (ლ. პოდზინი, აშხაბადი).

ეს ტიპიური რუსი ეროვნების მოქალაქეა, რომელსაც საცხოვრებლად არც ქალაქისა და არც ქუჩის კონკრეტული მისამართი არ აინტერესებს. მისი სამშობლო სსრ კავშირია! მან შესაძლოა არც იცის (არც აინტერესებს), რომ მოკავშირე რესპუბლიკები განსხვავებული ეროვნების ხალხითაა დასახლებული და მათი სამშობლოა, მათ სხვა ენა აქვთ. არა, რუსული ყველამ იცის (უნდა იცოდეს!), ეს სსრ კავშირია!

მაგრამ მოვუსმინოთ მეორე რუს მოქალაქესაც.

1989 წლის სექტემბრის გაზეთ „Собеседник“-ში (№39) ვინმე პეტროვა ორჯონიკიძიდან წერს: „ბალტიისპირელებს უნდა გავუგოთ, ჩვენი უხამსობა მათ ისე მობეზრდათ, რომ მზად არიან ჩვენგან გაიქცნენ, სადაც თვალი მიუწვდებათ... მათ დამოუკიდებლობა უნდათ. შეიძლება მართლაც მისცე ყოველგვარი დამოუკიდებლობა, გარდა პოლიტიკურისა, რადგან საბჭოთა კავშირს თუ

## ანალიზის ცდა

*როგორც მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გაშლილმა დისკუსიამ ერთგვარად განზე გასწია თავისი ჩარჩოები. დისკუსიის ბოლო რამდენიმე მონაწილე პაექრობის საბოლოო მიზანს ხედავს არა მარტო გუშინდელი დღის, ანუ ჩვენი უახლოესი წარსულის ანალიზსა და შეფასებაში, არამედ საქართველოს იმ სახელმწიფოებრივ მოწყობაში, რამაც ჩვენი ქვეყანა სამომავლოდ უნდა გამოიყვანოს ამჟამინდელი მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან და ერთხელ და სამუდამოდ დაგვაყენოს მართლაც თავისუფალი, მართლაც დამოუკიდებელი და მართლაც დემოკრატიული სახელმწიფოების გვერდით, თუკი ასეთი სახელმწიფოები ნამდვილად არსებობენ. ცხადია, უახლოეს ხანს სამოთხეში ცხოვრების იმედი არ უნდა ვიქონიოთ, მაგრამ მთავარია, დიდხანს არ მოგვიწიოს ჯოჯოხეთში ყოფნა ჯერჯერობით, სამწუხაროდ, აშკარად ჩალით დახურულ ქვეყანაში.*

*დისკუსია გრძელდება. გამოგვეხმაურეთ, მოაზროვნე ადამიანებო...*

**გიწვევთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალ ყველა მოაზროვნე ადამიანს**

**ჩვენი უახლოესი უბყუარი წარსული: წლები, მოვლენები, ადამიანები**

**დისკუსიის თემაა: „საქართველო 1985–2003 წლებში“**

№ 116. პარასკევი. 22 ივნისი. 2007 წელი.

# დისკუსია

**● იდეოლოგიურად და პოლიტიკურად მოშლილი სსრ კავშირის ეკონომიკა სწრაფი ტემპით ინგრეოდა. ფიქტიური ეკონომიკის მოცულობამ გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია**



## ◎ რა გზა გამოვიარეთ

ბალტიისპირეთი გამოეყოფა, მაშინვე გამოყოფას მოითხოვენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც, შემდეგ მოლდავეთი, უკრაინა... ცდუნებას ვერ გაუძლებენ შუა აზიის რესპუბლიკებიც. ახლა, ბრეჟნევის მეფობის შემდეგ, ყველა მზადაა ჩვენგან უკანმოუხედავად გაიქცეს... უძრაობის (ბრეჟნევის) პერიოდს მე რუსეთის სახელმწიფოს დაშლის პერიოდს დავარქმევდი."

აი, გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულისათვის ასე მომზადდა ნიადაგი სსრ კავშირის დაშლისათვის და ამას ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ 37 წელი დასჭირდა. ერთიანი საბჭოეთისა და მისი მოქალაქეობისა უკვე არავის სჯეროდა. რადიოსადგური „ამერიკის ხმა" შეკოწინებულ ქვეყანას ანგრევდა, უცხოეთიდან უხვად დაფინანსებულ დისიდენტურ მოძრაობას ხელისუფლება უკვე ვერ აუდიოდა.სსრ კავშირის ლიდერები მთლიანად მარიონეტებად იქცნენ, „პერესტროიკამ" ზარმაცი მესაფლავის როლი შეასრულა, რადგან, მართალია, მოსახლეობა გამოაღვიძა, მაგრამ საბჭოთა ეკონომიკის რეანიმაცია ვერ შეძლო: სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი – წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ინსტიტუტი – ვერ მოერგებოდა პიროვნების ინიციატივასა და საბაზრო მოთხოვნებს. დემოკრატიისა და ტოტალიტარიზმის სიმბიოზი შეუძლებელი აღმოჩნდა. ნათელი გახდა, რომ ყველაფერი ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო.

იდეოლოგიურად და პოლიტიკურად მოშლილი სსრ კავშირის ეკონომიკა სწრაფი ტემპით ინგრეოდა. ფიქტიური ეკონომიკის მოცულობამ გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია. 1990 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით შექმნილმა აკად. შატალინის დროებითი ჯგუფის ინფორმაციამ ქვეყნის გიგანტური ეკონომიკის სრული ნგრევა გა-



აშიშვლა. საორიენტაციო მონაცემებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემოსავლები ყველა წყაროდან, ოფიციალური კურსით 1 ტრილიონ 500 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა (კომერციული კურსით – 488 მილიარდ აშშ დოლარს). განსაკუთრებით საგანგაშო იყო მიწერების, უხარისხო პროდუქციის გამოშვებით გამოწვეული ზარალის, ფიქტიურ სამუშაოებზე გაცემული ხელფასისა და პრემიების, ხელოვნური დეფიციტის და სხვ. ხვედრითი წილი. ამრიგად, – ნათქვამია ჯგუფის მიერ შედგენილ ბარათში, – ყველა წყაროდან, რომლის მიხედვითაც შეფასებები არსებობს, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემოსავლები ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 20 პროცენტს აჭარბებს. მისი არსებობის ძირითადი მიზეზია კერძო საკუთრების უქონლობა. ამის გამოსწორება კი შესაძლებელია საბაზრო ეკონომიკის დანერგვით, ცენტრალიზებული დირექტიული დაგეგმვისა და სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიის, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ მტკიცე ფასების გაუქმებით, რითაც პრაქტიკულად ლიკვიდირებული იქნება ჩრდილოვანი ეკონომიკის უზარმაზარი არასანქციონირებული მასა.

მაგრამ ეს უკვე ფიქცია იყო. დაშლისთვის განწირულ სახელმწიფოს უკვე (და საერთოდაც!) ვერაფერი უშველიდა. საქმე კურიოზამდეც კი მივიდა. 1990 წლის 8 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მთავარმა ორგანომ გაზეთმა „Правда"-მ წერილი და კარიკატურა გამოაქვეყნა საერთო სათაურით „Сохранится ли КПСС?" (!!!). ეს, ფაქტობრივად სკკპ-ს გაუქმების ტოლფასი იყო.

### 3. ჩვენთან, საქართველოში...

**საქართველოს ეკონომიკა სსრ კავშირის ეკონომიკის ორგანული ნაწილი იყო და ბუნებრივია, რომ ისიც ნგრევის პროცესს განიცდიდა. შექმნილი მდგომარეობის რეალურად შეფასების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ 1990 წელს მომზადებული ინფორმაცია მეტყველებს, რომ 1986-1989 წლების (მე-12 ხუთწლედის ოთხი წლის) მანძილზე საქართველოს ეკონომიკაში მეტად რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენები და ტენდენციები განვითარდა. ე.წ. „რადიკალური ეკონომიკური რეფორმა" („პერესტროიკის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბლოკი) დაუხვეწავი აღმოჩნდა, სახალხო მეურნეობაში იძულებითი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა და ხუთწლედში დაგეგმილ დავალებათა შესრულება, საერთო ანგარიშით, პრაქტიკულად ჩაიშალა. ეკონომიკამ უკუსვლა იწყო, კრიზისული მოვლენების განვითარება კრიტიკულ ზღვარს გასცილდა და რესპუბლიკაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომლის მსგავსი თავისი შინაარსით და მასშტაბებით სხვა დროს რომ არ ყოფილა.**

ხუთწლედის დავალებებით გათვალისწინებული მიჯნები ვერ იქნა მიღწეული მატერიალური წარმოების თითქმის ვერცერთ სფეროში. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობა გაიზარდა, ხოლო ფონდუკუგება დაეცა, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობამ კატასტროფულ მიჯნას მიაღწია, ამ სფეროში გამოყოფილი სახსრები მრავალრიცხოვან ობიექტებზე დაიქსაქსა, რითაც უხეშად დაირღვა საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების ვადები, დაჩქარდა საწარმოო აპარატის მოძველების პროცესი.

სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილი ვითარება მეტად დამძიმდა, მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და გასავლებს შორის დისბალანსი გაიზარდა, საგადასახადო დისციპლინის უხეში დარღვევები გახშირდა, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატულმა ნაშთებმა გიგანტურ მასშტაბებს მიაღწიეს, დაბალრენტაბელური და ზარალიანი სამეურნეო რგოლების რაოდენობა გაიზარდა, სახელმწიფო საკუთრების დაცვა გაუარესდა და ეკონომიკაში მახინჯი ტენდენციები გაბატონდა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება სავსებით შეესაბამებოდა სსრ კავშირის დაშლისათვის წარმოქმნილ საერთო ეკონომიკურ ქაოსს.

„ცენტრსა" და მოკავშირე რესპუბლიკებში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების არსებობა ფიქცია გახდა. უამისოდ კი ხელმძღვანელი პარტიის მარიონეტული მთავრობების საქმიანობაც მოიშალა. ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი შემთხვევა მინდა გავიხსენო.

1989 წლის ზაფხული. საქართველოს მინისტრთა საბჭოდან სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეფასებისა და დასკვნისათვის, ე.წ. „მაშველთა საზოგადოება „მხედრიონის" დებულების (წესდების) პროექტი მიიღო. დავალების შესრულება კომიტეტის ხელმძღვანელობამ მე დამაკისრა, როგორც ეკონომიკური რეფორმების სამმართველოს უფროსს. დოკუმენტს ყურადღებით გავეცანი. აღმოჩნდა, რომ „მაშველი კორპუსი „მხედრიონის" სახელწოდებით იქმნებოდა თავდაცვის საჯარისო სახელმწიფო სტრუქტურის ალტერნატიული არასახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანო გასამხედროებული ფუნქციებით და საომარი აღჭურვილობით. ასეთი რამ ნებისმიერ ქვეყანაში აკრძალულია. ცხადია, მე სათანადოდ დასაბუთებული უარყოფითი დასკვნა მოვამზადე საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელობის ხელმოსაწერად. წერილის ბეჭდვა დამთავრებულიც არ იყო, რომ ვიღაც ტელეფონით მირეკავს, ჩემს გვარს კითხულობს და შემდეგ მეუბნება: „მე მინისტრთა საბჭოდან ვარ. გავიგე, მხედრიონის მასალა დასკვნისთვის თქვენთან ყოფილა. პასუხს მნიშვნელობა არა აქვს, რაც გინდათ ის დაწერეთ, ოღონდ დასკვნა ჩქარა გამოაგზავნეთ, თორემ შეფმა თუ დაგვიანება შეიტყო, ორივეს აგვაფეთქებსო" და ტელეფონის ყურმილი ჩამომიკიდა. ჩემს მიერ მომზადებული უარყოფითი დასკვნა კომიტეტის ხელმძღვანელობამ განიხილა (მე ტელეფონის ზარის შესახებაც მოვახსენე), ხელი მოაწერა და მინისტრთა საბჭოს წარუდგინა. მაგრამ იქ, როგორც შემდეგ გადმომცეს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დასკვნის შინაარსისთვის ყურადღება მართლაც არავის არ მიუქცევია, ჩათვალეს, რომ დასკვნა ფიზიკურად წარმოდგენილი იყო და „მხედრიონის" წესდება და დებულება დაამტკიცეს. ასე შეიქმნა ოფიციალურად ეს კრიმინალური ჯგუფი, რომელმაც შემდეგ რაც ქვეყანას დააწია, ყველას კარგად მოეხსენება. აი, ასე იყო მოშლილი მთლიანად ცენტრსა და რესპუბლიკებში სამთავრობო ხელისუფლების აპარატი.

### 4. ნ. ხრუშჩოვის უნებლიე დემოკრატია

**არადა, სსრ კავშირის დაშლის წინა პერიოდსა და მის შემდეგ ასეთი ქაოსი ალბათ არც ჩვენთან და, საერთოდ, სხვა რესპუბლიკებშიც, არ გამეფდებოდა (განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში), სსრ კავშირის გენერალური მდივნის ნ. ხრუშჩოვის გზას მის შემდეგ დანიშნული გენერალური მდივნები რომ გაჰყოლოდნენ. მხედველობაში მაქვს შემდეგი გარემოება.**

უფროს თაობას, განსაკუთრებით ეკონომისტებს, კარგად მოეხსენება, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა დარგობრივი პრინციპით იმართებოდა, ანუ ქვეყნის ეკონომიკას (მოკავშირე რესპუბლიკების ჩათვლით) მთლიანად დარგობრივი საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები განაგებდნენ. ამ პრინციპით მუშავდებოდა წლიური და ხუთწლიანი გეგმები და ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა ხორციელდებოდა. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების უფლებამოსილებას, იგი არსებითად „ითანხმებდა" საკავშირო სამინისტროების წინადადებებს, უშუალოდ კი მხოლოდ ე. წ. „მცირე მინისტრთა საბჭოს" წრეს, ანუ მხოლოდ ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობას განაგებდა. ეკონომიკის გაძღოლის ასეთი წესი სავსებით შეეფერებოდა ტოტალიტარული მართვის პრინციპს და მთლიანად ქვეყნის ერთიანი პოლიტიკით მართვას უზრუნველყოფდა.

გამონაკლისი იყო 1957-1964 წლები, როდესაც ნ. ხრუშჩოვის ინიციატივით შეწყდა დარგობრივი მართვის პრაქტიკა და ტერიტორიული მართვის პრიორიტეტი დაკანონდა (ნ. ხრუშჩოვი ყველაფერს ყოფილი დიდი დიქტატორის საწინააღმდეგოდ „აკეთებდა"). ამ მიზნით კი ცენტრსა (ე. ი. მოსკოვში) და რესპუბლიკებში ე.წ. სახალხო მეურნეობის საბჭოები (Совнархозы) შეიქმნა. ეს ორგანოები მთლიანად განაგებდნენ (მართავდნენ) თავიანთ, ე. ი. რესპუბლიკების ტერიტორიებზე განლაგებულ ყველა დონის წარმოება-დაწესებულებებს, რამაც, ცხადია, ხელი შეუწყო ადგილობრივი ინტერესების უფრო სრულად დაკმაყოფილებას და მათი ეკონომიკების კომპლექსურად განვითარებას. მაგრამ, ამავე დროს, ყოველივე ამან ერთგვარად დააკნინა რესპუბლიკათაშორისი ინტეგრაცია, წარმოქმნა დისბალანსი და, შესაბამისად, დაასუსტა მთლიანად ქვეყნის სახალხო მეურნეობა.

1964 წლიდან, ნ. ხრუშჩოვის გადაყენებისთანავე, ტერიტორიული მართვის პრაქტიკა გაუქმდა და მართვისა და დაგეგმვის დარგობრივი პრინციპი კვლავ აღსდგა, რაც სსრ კავშირის დაშლამდე არ შეცვლილა.

თუ ნ. ხრუშჩოვს პერსპექტივაში სსრ კავშირის დაშლა ჰქონდა ჩაფიქრებული, ტერიტორიული მართვის პრიორიტეტის შემოღებაზე უკეთესს იმ დროს მართლაც ვერაფერს მოიფიქრებდა, რადგან ამით სუსტდებოდა ცენტრალიზებული მართვის ბერკეტები და რესპუბლიკების ეკონომიკები ნამდვილად უკეთ მოემზადებოდნენ ავტონომიურ რეჟიმში ფუნქციონირებისთვის. შესაბამისად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღევანდელ ეკონომიკურ კრიზისსაც მეტ-ნაკლებად უფრო „რბილად" გადაიტანდნენ. ხოლო თუ ნ. ხრუშჩოვს ასეთი შორსმიმავალი განზრახვა არ ჰქონდა (რაც, ალბათ, უფრო სარწმუნოა, თუ ეს იდეა, საერთოდ, უცხოეთიდან „შემოგდებული" არ იყო), სახალხო მეურნეობის საბჭოების ინსტიტუტის შემოღება მისი მხრივ მართლაც სსრ კავშირის დაშლისკენ მიმართული პოლიტიკური უვიცობა იყო.

დიდი ილია ბრძანებდა: *„...ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის – ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა – საქმეთა".*

**ისტორიის თაობაზე ჩვენი წმინდანის ეს მოსაზრება სავსებით შეეფერებოდა და შეეფერება ყველა არადემოკრატიულ ქვეყანას, რომელთა მართვა დიქტატურისა (რა სამოქალაქო სახელიც არ უნდა ერქვას მას) და მონარქიის ფორმით ხორციელდება. ხალხის ისტორია კი დემოკრატიულ სახელმწიფოთა ისტორიაა. ჩვენთვის ეს ისტორიული სიახლეა. ასეთი იქნება საქართველოს ისტორიაც მომავალში.**

ამირან გაბისონია

დისკუსიას უძღვებიან ისტორიკოსი ვახტანგ გურული, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.

№ 116. პარასკევი. 22 ივნისი. 2007 წელი.

№ 116. პარასკევი, 22 ივნისი, 2007 წელი.



**სადღეისოდ თბილისს აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი საგარეო-პოლიტიკური ვექტორი დასავლეთის მიმართულებით. ამიტომ, საქმე შეიძლება ეხებოდეს იმას, რომ ირანელმა ბიზნესმენებმა საქართველოში შეისყიდონ უძრავი ქონება, დააბანდონ ფული საკურორტო-ტურისტულ სფეროში, მსუბუქ მრეწველობაში და სხვ**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ირანი მზად არის ამიერკავკასიის შესასყიდად

**ირანი საქართველოსა და სომხეთის ეკონომიკაში მასშტაბურ ინვესტიციათა დაბანდების სქემებს განიხილავს. საქმე ეხება მილიარდ დოლარს თბილისისთვის და თითქმის ასეთივე წინადადებას ერევნისთვის. შედარებისთვის: 2006 წელს რუსულ ინვესტიციათა საერთო მოცულობა საქართველოში 30 მილიონ დოლარს არ აჭარბებდა, სომხეთში კი, ვლადიმერ პუტინის განკარგულების შემდეგ, დაბანდებული თანხა 1,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს. კაპიტალის ექსპანსიის გეგმის განხორციელების შემთხვევაში, ირანი შეიძლება იქცეს რეგიონში ყველაზე გავლენიან სუბიექტად.**

როგორც თეირანის ირნა-ს საინფორმაციო სააგენტო და ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, საქართველოს ელჩმა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ლევან ასათიანმა განაცხადა, რომ ირანელი ბიზნესმენები მზად არიან ქართულ ეკონომიკაში მილიარდი დოლარის დასაბანდებლად.

„მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებას სატრანსპორტო სფეროში ხელშეწყობის რეჟიმის შემოღების შესახებ... უშუალო ინვესტიციების გარდა, საქართველოსთვის ძალზე საინტერესოა ირანის გასაღების ბაზარიც. ეს დიდი ქვეყანაა, რომლის მოსახლეობა 70 მილიონს შეადგენს", – მოჰყავს სააგენტოს ლევან ასათიანის სიტყვები და აღნიშნავს, რომ სულ უფრო აქტიური ხდება საქართველო-ირანის ურთიერთობა. ამ ფონზე იხსენებენ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტს თეირანში 2004 წელს, თბილისში 2005 წელს გამართული საქართველო-ირანის სამთავრობათშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომას, აგრეთვე ბიზნეს-ფორუმს 80 ირანული და ქართული კომპანიების მონაწილეობით, რომელიც 2006 წელს გაიმართა თბილისში.

თეირანის გეგმებმა ააფორიაქა ვაშინგტონი. შეერთებული შტატების კრიტიკის ობიექტი, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს საქართველოს თავისი გავლენის ახლო ორბიტაზე, ჯერჯერობით მხოლოდ სომხეთი გახდა. ამ ქვეყანაში შეერთებული შტატების საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ენტონი გოდფრიმ გამოთქვა უკმაყოფილება ერევან-თეირანის ურთიერთობის გაფართოების გამო. „ჩვენი შეშფოთება გავანდეთ სომხეთის მთავრობას... მსურს შეგახსენოთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ორი რეზოლუცია, რომლებიც ითვალისწინებენ ირანში გარიგებათა და ინვესტიციათა შეკვეცას", – განუცხადა ენტონი გოდფრიმ რეიტერის სააგენტოს, და იქვე დასძინა, რომ შეერთებული შტატები იწონებს სომხეთის ხელისუფლების მოქმედებას, როცა იგი წინასწარ ატყობინებს მსოფლიო გაერთიანებას ირანთან სხვადასხვა სფეროში განსახორციელებელი ერთობლივი პროექტების შესახებ, კერძოდ – ენერგეტიკის სექტორში. ამერიკელთა კრიტიკა ერევანში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა ჟურნალისტებს განუცხადა: „სომხეთის ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან საკმაოდ გამჭვირვალეა, და მასში არაფერია ისეთი, რამაც შეიძლება გულისტკივილი გამოიწვიოს".

სომხეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვაჰან ჰოვანესიანის აზრით, ვაშინგტონის განცხადება შეიძლება მივიჩნიოთ როგორც გარკვეული გაფრთხილება. „სომხეთი არის მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე. უფრო მეტიც, ერევანს არასდროს უმუშავია ამ მიმართულებით და არც აპირებს ჩაერიოს კონფლიქტში ან რომელიმე სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში იარაღის მიწოდების კონტექსტით". ჰოვანესიანმა ასევე აღნიშნა, რომ თუ შეერთებული შტატების უკმაყოფილება რაიმე სხვას უკავშირდება, მაშინ ვაშინგტონმა უნდა შეიგნოს, რომ სომხეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და თვითონ განსაზღვრავს თავის საგარეო პოლიტიკას.

ამასთან, ერევანში გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ ენტონი გოდფრის გამონათქვამს, შესაძლოა, პირადული მოტივი ჰქონდეს, რადგან თბილისის თაობაზე, რომელსაც თეირანმა უფრო კონკრეტული საინვესტიციო წინადადებები შესთავაზა, ვაშინგტონს არაფერი უთქვამს. საქმე ის არის, რომ სომხეთში გოდფრის ელჩად დანიშვნას ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების ძლიერი სომხური ლობი, რადგან ამ დიპლომატმა საჯაროდ განაცხადა, რომ ეჭვი ეპარება 1915 წელს თურქეთში სომხეთის გენოციდში, და გოდფრის, როგორც ელჩის კარიერა ამჟამად გაურკვეველია. თუმცა, ერევნელ პოლიტოლოგ ლევონ ზურაბიანს მიაჩნია, რომ ასეთი მოსაზრება ნაკლებად საფუძვლიანია. „როგორც ჩანს, შეერთებული შტატები ცდილობს რაც შეიძლება დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა მოიპოვოს ირანის წინააღმდეგ თავისი მოქმედებისთვის. ამასთან, ვაშინგტონში შეგნებული აქვთ, რომ თეირანთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას საარსებო მნიშვნელობა ენიჭება ერევნისთვის. ასე რომ, გოდფრის მიერ გაკეთებული განცხადება, შეიძლება შევაფასოთ არა ზემოქმედებად, არამედ უფრო სურვილად", – თქვა ლევონ ზურაბიანმა.

ამავე დროს, ერევნის და თეირანის ურთიერთობა სულ უფრო დინამიკურად ვითარდება, რასაც ნამდვილად არ იწონებს ვაშინგტონი. ამ დღეებში გაიმართა სომხეთის პრემიერ მინისტრის სერჟ სარქისიანის შეხვედრა სომხეთში ირანის ელჩთან ალირეზა ჰაქიქიანთან, რომელზეც განიხილეს ივლისისთვის დაგეგმილი სომხეთ-ირანის სამთავრობათშორისო კომისიის სხდომასთან დაკავშირებული საკითხები. სხდომის დროს, მხარეებმა, შესაძლოა, მოაწერონ ხელი შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შესახებ, განიხილონ ნავთობქიმიურ სფეროში თანამშრომლობის, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხები და ა.შ. მაგრამ, ამ გეგმების მიუხედავად, სომეხ ექსპერტებს მაინც ეპარებათ ეჭვი ზემოაღნიშნულ ინვესტიციათა მოცულობაში. „მე ვერ წარმომიდგენია, თუ სომხური ეკონომიკის კონკრეტულად რომელ სფეროში შეიძლება დააბანდონ მილიარდი დოლარი, რადგან ჩვენ არ დაგვრჩა თავისუფალი კაპიტალტევადი დარგები", – აღნიშნა სომეხმა ექსპერტმა-ეკონომისტმა ედუარდ ალაჯანოვმა. როგორც მან თქვა, ალბათ, საქმე არ ეხება რაიმე გრძელვადიან პროგრამას – ასეთი რამ ერთბაშად არ კეთდება, კონკრეტული პროექტები კი ჯერჯერობით არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ახალი ერთობლივი საწარმოების შექმნის გეგმებს.

ყველაზე უფრო რეალურია ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობის იდეა, რაზეც სომხეთში უკვე კარგა ხანია ლაპარაკობენ, და, ალტერნატიული ენერგეტიკის შემდგომი განვითარება – 2005 წელს სომხეთმა ირანის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტით – 3,5 მილიონი დოლარი – აამოქმედა პირველი ქარის ელექტროსადგური. სომხეთში მილიარდი დოლარის დაბანდებასთან დაკავშირებული სიტუაცია უფრო გამჭვირვალე გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ მიმდინარე წლის მარტში, ირან-სომხეთის გაზსადენის გახსნისთანავე, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა განაცხადა, რომ არსებობს ნავთობსადენის მშენებლობის გეგმები. იგი ასევე შეეხო ირან-სომხეთის გაზსადენის მეორე რიგის მშენებლობას, რომელიც 150 მილიონი დოლარი დაჯდება და ამ თანხიდან ძირითადი ხარჯების გაღებას ირანის „სანირის" სახელმწიფო კომპანია იკისრებს. ვარდან ოსკანიანმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე მდინარე არაქსზე ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომლის დასაფინანსებელი თანხებიც ერევანმა შეიძლება მიიღოს ირანის მთავრობის მიერ გამოყოფილი კრედიტების სახით და ამ თანხების დაბრუნება მოხდება ირანში ელექტროენერგიის მიწოდების გზით. არსებობს ასევე ამ ორი ქვეყნის დამაკავშირებელი მესამე ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტი, რომლის ღირებულება 90 მილიონი დოლარი იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ ირანის ენერგეტიკას მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფო, სომხეთის ენერგოსფეროში შესაძლო კაპიტალდაბანდებას სახელმწიფო ხასიათი ექნება.

ეკონომიკის საკითხთა ექსპერტი გია ხუხაშვილი ეთანხმება ერევნელ კოლეგას კაპიტალტევადი სეგმენტების შეფასებაში. „საქართველოში ირანს სამოქმედოდ უფრო მეტი სივრცე აქვს, ვიდრე სომხეთში. მაგრამ თეირანისთვის ვერ გახდება ხელმისაწვდომი ეკონომიკის სტრატეგიული სფეროები, რადგან სადღეისოდ თბილისს აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი საგარეო-პოლიტიკური ვექტორი დასავლეთის მიმართულებით. ამიტომ, საქმე შეიძლება ეხებოდეს იმას, რომ ირანელმა ბიზნესმენებმა საქართველოში შეისყიდონ უძრავი ქონება, დააბანდონ ფული საკურორტო-ტურისტულ სფეროში, მსუბუქ მრეწველობაში და სხვ. „მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ირანული ინვესტიციები მჭიდროდ იქნება დაკავშირებული პოლიტიკასთან და ყოველივე ამას გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ", – მიაჩნია გია ხუხაშვილს.

თბილისის განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა ზაქარეიშვილი კი ფიქრობს, რომ თეირანთან ვაშინგტონის გარკვეული კონტაქტების ფონზე, რაც ამ ბოლო ხანებში გამოიკვეთა, ირანელთა გეგმის „ქართული ნაწილი" შეიძლება მივიჩნიოთ თავისებურ ლაკმუსის ქაღალდად. „შეერთებული შტატები თუ არ მოიწონებს ამას, საქართველო არ მიიღებს ირანულ ინვესტიციებს. ხოლო ეს თუ მაინც მოხდა, ნიშნავს, რომ შეერთებულმა შტატებმა შეასუსტა პოზიციები ირანის რეჟიმის მიმართ და მას ნელ-ნელა რთავს რეგიონში გასვლის ნებას. სახსრების მუდმივი უკმარისობის მიუხედავად, თბილისი თუ მაინც უარს იტყვის თეირანის წინადადებაზე, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ირანს სურს გამოიყენოს თავისი პოტენციალი, რათა გახდეს ძალზე სერიოზული მოთამაშე რეგიონში, გარდა ამისა, იგი ცდილობს შეცვალოს თავის ირგვლივ შექმნილი ვითარება შეერთებული შტატების უახლოეს მოკავშირეთა მეშვეობით", – განაცხადა პოლიტოლოგმა.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## მოკლედ

**ირანის** ელჩი კინაღამ დაახრჩო ფორთოხლის წვენმა, როცა შეიტყო, რომ ხელს ართმევდა თავის ებრაელ კოლეგას. ეს ინციდენტი, რომელიც ანეკდოტურ სიტუაციას უფრო წააგავს, მოხდა პარიზში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩებისთვის გამართულ სადილზე, რომლის ორგანიზატორი იყო საფრანგეთის სენატის მეთაური კრისტიან ფონსლე.

* * *



**უსამა ბენ-ლადენს** შეეძლო პირადად დაექირავებინა თვითმფრინავი 11 სექტემბრის შემდეგ შეერთებული შტატებიდან თავისი ოჯახის წევრების გამოსახიზნად. ამას მოწმობენ გამოძიების ფედერალური ბიუროს დოკუმენტები, რომლებსაც ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის საფუძველზე მოეხსნა საიდუმლო გრიფი Judicial Watch საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოთხოვნით. თუმცა, ამ დოკუმენტებმა გაიარეს სერიოზული „რედაქტირება" სპეცსამსახურებში, სანამ მათ ზემოაღნიშნულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მიაწვდიდნენ.

* * *

**ტერორისტმა-კამიკაძემ** ააფეთქა სატვირთო მანქანა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, რის შედეგადაც დაიღუპა 13 კაცი. ძლიერი აფეთქება მოხდა ქალაქ სულეიმან ბექის მუნიციპალიტეტთან. ჩამოინგრა ადმინისტრაციული შენობის და მეზობლად მდებარე საცხოვრებელი სახლების ნაწილი. პოლიცია ნანგრევებიდან იღებს დაღუპულთა ცხედრებს.

* * *

**შეერთებული შტატების** წარმომადგენელი მოულოდნელად ჩავიდა ფხენიანში ბირთვული განიარაღების საკითხებზე კონსულტაციის გამართვის მიზნით. ხუთმხარე განახლების იმპულსი მიეცა კორეის ნახევარკუნძულის უბირთვო სტატუსის შესახებ მოლაპარაკებას. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ქრისტოფერ ჰილი შეხვდა ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კიმ გე გვანს. ამერიკელი დიპლომატი ტოკიოშიც აპირებს ჩასვლას, სადაც სხვა დაინტერესებულ მხარეებს გააცნობს მოლაპარაკებაზე მიღწეულ შედეგებს.

* * *

**27 წლის** ბრაზილიელმა კლაუდია ფერნანდამ შვა ბავშვი, როცა... შხაპს იღებდა თავის აბაზანაში. კლაუდიას თქმით, რომელიც უკვე სამი შვილის დედაა, მშობიარობამდე მცირე ხნით ადრე იგი ექიმთან იყო მიღებაზე, მაგრამ ამ გასინჯვას არ გამოუვლენია ორსულობის არანაირი სიმპტომი.



# გადასახედი

● ასე რომ, როგორც „ტრუდი“ გვიმტკიცებს, 1945 წლის 2 მაისს რაიხსტაგზე ასულა კიროვის ოლქელი ბულატოვი, ცხვირპაჭუა რუსი ჭაბუკი ჯარისკაცი და გამარჯვების დროშაც იმას აუფრიალებია


ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 116. პარასკევი, 22 ივნისი, 2007 წელი.

◎ ისტორიის დაფასთან

# თურმე გარდასულის გადასწორებას შემდგებულა

## გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე ვინ აიტანა, დღემდე არა გვცოდნია

ისტორია, ზოგიერთის გაგებით, არც ოდესმე ყოფილა და არც არასოდეს არ იქნება მათემატიკასავით ანდა ფიზიკასავით ზუსტი მეცნიერება. ვისაც როგორ აძლევს ხელს, წარსულს ხშირად ისე ხედავს. იქიდან აქეთ კი არა, აქედან იქით ალაგებს უკვე დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბებს, თანაც თავის ჭკუაზე და საეჭვო ვარაუდებს უტყუარ სინამდვილედ ასაღებს...

მახსოვს, ილია ერენბურგი გვიამბობდა სტუმრად მისულ ქართველ ჟურნალისტებს... იტალიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში დიდი წარღვნა შესწრებოდათ, მოვარდნილ ნიაღვრებს ლამის წაეღო ის პატარა ქალაქი. თუ რა სიმაღლეზე დიოდა ქალაქში ნიაღვრები, იქაურებს ამ ამბის სამახსოვროდ ერთ-ერთი ღირშესანიშნავი შენობის კედელზე წყლის დონის მაჩვენებელი ხაზი გაუვლიათ. როცა ილია ერენბურგი რამდენიმე წლის შემდეგ მეორედ ჩასულა იტალიის იმ პატარა ქალაქში, უნახავს, რომ ზემოხსენებული წარღვნის დროს მოვარდნილი ნიაღვრების დონის მაჩვენებლად გავლებული ხაზი ქალაქის მერიას კარგა გვარიანად მაღლა აეწია. მიზეზი რომ ვიკითხეთო, — გვიამბობდა ჩვენი მასპინძელი, — გვითხრეს, ნამდვილი დონის მაჩვენებელ ხაზს ბავშვები შლიდნენ და იძულებულნი გავხდით, რომ ეგ ხაზი იმ სიმაღლეზე აგვეწია, სადაც ბავშვები ველარ მისწვდებოდნენო...

დაახლოებით ასეთი რამ ემართება ჩვენს ამჟამინდელ ზოგიერთ ისტორიკოსს ჩვენი უახლესი წარსულის შეფასებისას. როგორც მოეპრიანებათ და მოესურვილებათ, ისე ათამაშებენ „ისტორიული ნიაღვრების“ დონეს. ხან უსაშველოდ დაბლა სწევენ, ხან უსაშველოდვე აამაღლებენ ხოლმე. ეს სენი ყველაზე მეტად მაინც დღევანდელ რუს ისტორიკოსებსა და ჟურნალისტებს შეპყრიათ, რომელთაც თავიანთი ისტორიის საბჭოთა პერიოდის გადასწორება, ანუ გაცრა და გაწმენდა გადაუწყვეტიათ. ეს გაცრა და გაწმენდა კი უპირველეს ყოვლისა რუსული ისტორიის არარუსულ „მინარევებს“ გულისხმობს.

ხსენებულ რუს ისტორიკოსებსა და ჟურნალისტებს ვერა და ვერ აუტანიათ, რომ მეოცე საუკუნის რუსეთის ისტორია სისხლხორცეულად (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) დაკავშირებულია არარუსი ჩვენებური კაცის სახელთან, ვინც საუკუნემ სტალინად მონათლა და ვისაც 50 წელიწადზე მეტია, სთხრიან და ვერა და ვერ ამოუძირკვავთ. მთავარი მიზეზი, ცხადია, ერთადერთია — ამ პიროვნების არარუსობა, ანუ ქართველობა, რასაც, რასაკვირველია, პირდაპირ არავინ ამბობს და ამიტომაც, როგორც იტყვიან, ლობე-ყორეს ედებიან. თითქოს ეს ყველაფერი წინასწარ იცოდაო, ცნობილია ამ ამბის გამო თქმული თვითონ სტალინის ფრაზა:

— ვიცი, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავზე ნაგვის მთელ გროვას დაყრიან, მაგრამ ისტორიის ქარი უმოწყალოდ გაფანტავს იმ ნაგავსო...

ვნახოთ, ჯერჯერობით ისტორიის ქარი არ ამოვარდნილა (თუმცა ჰაერში რაღაც უცნაური სუნი ტრიალებს). საქმე კი ზუსტად ისეა, როგორც ერთი ცნობილი პოეტი ამბობს:

*სტალინი ებრძოდა ჰიტლერს,*
*ჟუკოვმა მოიგო ომი...*

ამ დღეებში კი ერთ-ერთმა ძველმა, ჯერ კიდევ საბჭოურმა რუსულმა გაზეთმა „ტრუდმა“ კიდევ ერთი ახალი „აღმოჩენა“ მოახდინა — რაიხსტაგიდან ჩამოიყვანა ქართველი ქანთარია, რომელმაც, როგორც აქამდე მთელმა მსოფლიომ იცოდა, რუს ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა ფაშიზმის მთავარ ციტადელზე. ოღონდ ქართველი ნუ ერეოდა ამ საქმეში და რუსმა ისტორიკოსებმა თუ ჟურნალისტებმა თავად რუსი ეგოროვიც გაწირეს. სამაგიეროდ გარდასული „დროის ნაოჭებიდან“ გულმოდგინედ ამოკრიფეს მეორე რუსი, უკვე მარტო, ვინმე გრიგორი ბულატოვი, რომელიც ეგოროვზე და ქანთარიაზე ბევრად ადრე კატასავით აცოცებულა რაიხსტაგის თავზე. რაც შეეხება ეგოროვსა და ქანთარიას, ანუ გამარჯვების დროშის აღმართვის ცნობილ ფოტოს, ის თურმე საკდესის (საკავშირო დეპეშათა სააგენტოს) დავალებით იმჟამად ფრიად სახელგანთქმულ ფოტორეპორტიორს ევგენი ხალდეის „დაუდგამს“ (რედაქციიდან წითელი სუფრა ჰქონია წაღებული და გამარჯვების დროშად ის გამოუყენებია!..).



გრიგორი ბულატოვი

ასე რომ, როგორც „ტრუდი“ გვიმტკიცებს, 1945 წლის 2 მაისს რაიხსტაგზე ასულა კიროვის ოლქელი ბულატოვი, ცხვირპაჭუა რუსი ჭაბუკი ჯარისკაცი და გამარჯვების დროშაც იმას აუფრიალებია. თანაც თვით მარშალ ჟუკოვს იშველიებს „ტრუდის“ ვერსიის ავტორი. რა თქმა უნდა, ჟუკოვმა იცოდაო რაიხსტაგის შტურმის ნამდვილი გმირების სახელები, მაგრამ იძულებული იყო, ხმა არ ამოეღოო, რათა არ დაერღვია მითი პოლიტორგანოების მიერ დანიშნულ მედროშეებზეო. ამ ახალი მითისა თუ ზღაპრის ქვეტექსტი კი ასეთია: რუსთან ერთად ერთ-ერთი ქართველიც იმიტომ აღმოჩნდა რაიხსტაგზე, რაკი ასე ინებეს იმხანად დედამიწის ერთი მეექვსედის სათავეში მოქცეულმა ქართველებმა. კერძოდ, სტალინმა დაავალა ბერიას, ბერიამ კი მაინცდამაინც ქანთარია მოაძებნინა დაცემულ ბერლინში, ხოლო ყოვლადუშიშარ ჟუკოვს რატომღაც შიში შეპპარვია და ვერ ბედავს სიმართლის თქმას...

ერთი სიტყვით, ჩვენმა გუშინდელმა რუსმა ამხანაგებმა ჩვენი იმჟამინდელი საერთო ისტორიის გულდასმით გადაწერა და გადასწორება დაიწყეს. უკვე მთელი 50 წელიწადია, ისინი იმის მტკიცებაში არიან, რომ სხვა ერების შვილებმა რუსები „არასრულწლოვანი გოგონასავით“ შეაცდინეს, დიდ ისტორიულ გზას აცდინეს და მხოლოდ ახლაღა აეხილათ თვალები. ამ ახლა ახელილი თვალებით კი რასაც ხედავენ და როგორც ხედავენ, ამასაც ყველანი ვხედავთ.

ისტორიის გადასწორება, ანუ ცრა და გაწმენდა გრძელდება. ვნახოთ, საბოლოოდ რა დარჩება დროის უტყუარ საცერში...

დღეს 22 ივნისია, მეორე მსოფლიო ომის დაწყების 66-ე წლისთავი. ამიტომ უპრიანად მეჩვენება ჩემი ეს „სარუსეთო“ შეძახილი, და მიკვირს, რატომ უკვირს ჩვენს ყოფილ უფროს ძმას, თუ ხან აქ და ხან იქ, თუნდაც ბალტიისპირეთის რომელიმე პატარა ქვეყანაში, შეურაცხყოფენ და ღირსეულად არ ექცევიან საბჭოთა, ანუ რუსი ჯარისკაცის ძეგლს?!.

ასე იყო მუდამ და ასეა დღესაც: როცა უსამართლოდ იქცევი ან, უფრო სწორად, სხვის მიმართ უსამართლო ხარ, ის სხვაც უსამართლო ხდება შენ მიმართ. ამის მისახვედრად კი მაინცდამაინც დიდი სიბრძნე სულაც არ არის საჭირო...

ისიც პირდაპირ საკვირველია, რატომ არ ახსოვთ ამჟამინდელ რუსეთში ერთი თავიანთი უთუოდ დიდი ძველი მემატიანის ის ფრიად საგულისხმო სიტყვები, რომ ისტორია მასწავლებელი კი არა, ზედამხედველია, რომ ის არცრას გვასწავლის, მხოლოდ გვსჯის გაკვეთილების არცოდნისათვის. ანდა სწორედ ისე ხომ არ ემართება ამ ჩვენს ტრუდელ და კიდევ ბევრ სხვა რუს ავტორს, როგორც იგივე მემატიანე ამბობს: ზოგი ისტორიკოსი ფიქრს მაშინ იწყებს, როცა ვერაფერს ვერ ხვდება, ხოლო ზოგიც მაშინ ხვდება, როცა ფიქრის თავი აღარ აქვს...

**გურამ გოგიაშვილი**

◎ დედაქალაქი

# „დაიწყე ბიზნესი თბილისის მერიასთან ერთად“



***ამ ახალი პროგრამის შესახებ გვესაუბრება მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი, ზვიად არჩუაძე.***

**— რა კრიტერიუმით იხელმძღვანელეთ, როცა ბიზნესში ჩართვის მოსურნე ადამიანთა შემადგენლობა დაადგინეთ?**

— წელს ცოტა განსხვავებული პროცედურა გვქონდა. ვინც განცხადებას მაისის განმავლობაში შემოიტანდა და ტრენინგის გავლის სურვილი ექნებოდა, ყველას მივცემდით ტრენინგზე დასწრების საშუალებას. ამდენად, არანაირი შერჩევა ამ ეტაპზე არ ყოფილა. მომავალში კი გარკვეული ბარიერის დაწესებას ვაპირებთ და ბიზნესში ჩართვის მონაწილეებს ფსიქოლოგის დახმარებით შევარჩევთ. ამჟამად ყველა მსურველი გაივლის ტრენინგს, ისინიც, ვისაც ახლა სურს ბიზნესის აწყობა, და ისინიც, ვისაც ამ პროექტში თავისი უნარ-ჩვევების განვითარება უნდა.

**— გამოდის, რომ მომავალში ბიზნესში ჩართვის მსურველებს გარკვეული ბარიერი შეხვდებათ...**

— პირველად ვინც მოვიდა, მათ შეღავათით ისარგებლეს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბიზნესის კეთების უნარი ყველა ადამიანს არა აქვს. ამიტომაც მომავალში ფსიქოლოგი დაგვეხმარება. იგი შეარჩევს ბიზნესში ჩართვის მსურველებს.

**— პირველ ნაკადში მოსულებს შორის ბევრია ისეთი, ვისაც ბიზნესში ჩართვის ნიჭი არა აქვს?**

— პირველ ნაკადში მოსულ ადამიანებს აქვთ თუ არა ბიზნესის ნიჭი, ეს ტრენინგების საფუძველზე გამოჩნდება. ტრენინგის ბოლოს ატესტაცია ჩატარდება. ვინც დადებითად გაივლის ტრენინგს, მათ ბიზნესგეგმის შექმნის საშუალება ექნებათ.

**— მერიის დახმარება ბიზნესში ძირითადად მხოლოდ ტრენინგებით გამოიხატება? ითვალისწინებს თუ არა თქვენი პროექტი ბიზნესის დამწყებთათვის ფულად დახმარებას?**

— რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ, თუმცა ძირითადად ეს არის საინფორმაციო მხარდაჭერა, ტრენინგები. მერიას სხვადასხვა ბაზრობასთან უწევს მუშაობა და ჩვენი ბიზნესის შესახებ ვაწვდით ინფორმაციას. ეს შეეხება როგორც თბილისში არსებულ ბაზრობებს, ისე — კავკასიაში თუ უფრო შორეულ ადგილებში. მეორე მიმართულებაა, რომ ვქმნით ბაზას ქალაქის ეკონომიკური პოტენციალის, შესაძლებლობის შესახებ. ამისთვის ორი წლის განმავლობაში მოვამზადეთ ტურისტული გზამკვლევი, წელს პირველად შევქმენით საინვესტიციო „გაიკი“, ანუ გზამკვლევი ინვესტორებისთვის. სამომავლოდ დავეხმარებით უცხოელებსაც, რომლებიც საქართველოში ჩამოვლენ და პარტნიორის პოვნა დასჭირდებათ.

**— რაც შეეხება დაძმობილებულ ქალაქებს...**

— უახლოეს პერიოდში ზაარბრიუკენელ კოლეგებთან ერთად იქაური და თბილისელი ბიზნესმენების შეხვედრას მოვამზადებთ, რაც ქალაქებს შორის ურთიერთობის პირველი შემთხვევა იქნება. აქამდე ეს ურთიერთობები მხოლოდ სახელმწიფოს, სავაჭრო-სამრეწველო პალატების დონეზე წყდებოდა. ახლა უცხოელთა დახმარებით მსგავსი პროექტი განხორციელდება.

**— უცხოეთში ქართული ბიზნესის წარმოების მსურველებს თუ გააგზავნით?**

— ვცდილობთ მსგავსი პროექტების განხრციელებას. თავად ჩვენ ამის შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ, მაგრამ დონორების, პარტნიორების მხარდაჭერით (ზაარბრიუკენის შემთხვევაში) მსგავს გაცვლებზე დავიწყებთ მუშაობს.

**— პროგრამაში „დაიწყე ბიზნესი მერიასთან ერთად“ რამდენმა ადამიანმა შემოიტანა განაცხადი?**

— ერთი თვის განმავლობაში სულ 80 განაცხადია შემოსული, რაც თბილისისთვის მაინც ბევრია. სარეკლამო კამპანია ისე მასშტაბური არ ყოფილა და მაინც ამდენმა ადამიანმა შემოტანა განაცხადი. ახლა კი მოსახლეობის ინტენსიურ ინფორმირებას დავიწყებთ.

**— ვინც განაცხადი შემოიტანა, მათ ბიზნესში გამოცდილება ჰქონდათ?**

— ვინც განაცხადი შემოიტანა, მათ უმეტესობას ბიზნესში გამოცდილება არ ჰქონია. ისინი ახლა იწყებენ ბიზნესს. თუმცა განმცხადებელთა შორის გამოცდილების მქონენიც არიან. ბიზნესის დაწყების მსურველთა საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ბიზნესგეგმის განხილვას მერია ტრენინგებთან უშუალო კავშირში არ წარმოიდგენს. ვინც მიიჩნევს, რომ მათ ტრენინგი და ბიზნესგეგმის მომზადება არ სჭირდებათ, ბანკის წინაშე წარდგომა დამოუკიდებლად შეუძლიათ, არანაირი შეზღუდვა არ ექნებათ.

**— ბიზნესის დაწყების მსურველებს ძირითადად რა სფერო აინტერესებთ?**

— ძირითადად აინტერესებთ მომსახურების სფერო, ასევე, წარმოება, მაგალითად, ხელნაკეთი ნივთებისა და სათამაშოების დამზადება, ტანსაცმლის წარმოება. გვეშინოდა, რომ ძირითადად ვაჭრობას მოისურვებდნენ და ყიდვა-გაყიდვაზე იქნებოდნენ ორიენტირებულნი. ასეთი პროექტებიც არის, მაგრამ უმეტესი ნაწილი წარმოებაზეა ორიენტირებული, რაც მისასალმებელია.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**
„ჯი-ეიჩ-ენი“

# ცხოვრება

● არავისთვის დასამალი არ არის, რომ ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაორმაგების გამო მოსახლეობა საგონებელშია. თუმცა ეს ნაკლებად ადარდებს ხელისუფლებას



№ 116. პარასკევი. 22 ივნისი. 2007 წელი.

## თბილისის გზების რეაბილიტაციის პროექტი

## ტენდერში მონაწილეობისთვის ვიწვევთ გზის სპეციალისტებს

1. საქართველოს მთავრობის სახელით თბილისის მერიას თბილისში დაახლოებით 600 000 კვადრატული მეტრი გზების შეკეთებისა და რეაბილიტაციის გეგმა აქვს მომზადებული. პროექტი დაფინანსდება არაბეთის ეკონომიკური განვითარების კუვეითის ფონდსა და საქართველოს მთაავრობას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად.

2. სამშენებლო გზებისთვის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ კუვეიტისა და საქართველოს ერთობლივი საწარმოს კონტრაქტორებს.

3. კუვეიტისა და საქართველოს ერთობლივი საწარმოს კონტრაქტორთა კვალიფიკაციის შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციას შეარჩევს საქართველოს რესპუბლიკის სახელით თბილისის მერია.

4. კვალიფიკაციის შესამოწმებლად დოკუმენტების სიისა და დამატებითი ინფორაციის მისალებად მიმართეთ:

თემურ უძილაურს,
თბილისის მერია,
2, თავისუფლების მოედანი
0105, თბილისი, საქართველო
**ტელ: 995 32 93 61 51**
**ფაქსი: 995 32 98 81 48**
E-mail: *i.atanasovi@tbilisi,ge*
dalavidze@tbilisi.gov.ge
temur_udzilauri@hotmail.com

5. სატენდერო განცხადებები მიიღება 2007 წლის აგვისტომდე.

6. ტენდერში მონაწილეობის ერთობლივი საწარმოები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

6.1. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში წლიური ბრუნვის ოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 6.0 მილიონი აშშ დოლარისა (ეს შეეხება მხოლოდ კუვეიტის მხარეს).

6.2. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს განხორციელებული სულ მცირე 3 ანალოგიური პროექტისა.

6.3. უნდა ჰქონდეს მოთხოვნების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის (საკუთარი ან დაქირავებული).

6.4. სულ მცირე 1,0 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ლიკვიდური აქტივები ან კრედიტის საშუალება.

7. თბილისის მერიაში ტენდერში მონაწილეობისთვის საკვალიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადაა ადგილობრივი დროით 13 საათი, 2007 წლის 10 აგვისტო.

## TBILISI ROADS REHABILITATION PROJECT

## INVITATION FOR PRE-QUALIFICATION OF ROAD CONTRACTORS

1. The Government of Georgia, represented by the Tbilisi City Hall, has a plan to rehabilitate and reconstruct road network in Tbilisi of about 600 000 square meter. The Project will be financed through a Loan Agreement between the Kuwait Fund for Arab Economic Development and the Georgian Government

2. The tender for the construction Works will be limited to Joint Ventures of Kuwaiti & Georgian Contractors.

3. The Tbilisi City Hall, on behalf of the Republic of Georgia, intends to prequalify Joint Ventures of Kuwaiti & Georgian Contractors.

4. Pre-qualification Documents and any further information can be obtained from:

Temur Udzilauri, Head of PIU
Tbilisi City Hall
2 Liberty Sq,
0105, Tbilisi – Georgia,
Phone: +995-32 936151
Fax: +995-32 988148
E-mail: *i.atanasovi@tbilisi,ge*
dalavidze@tbilisi.gov.ge
temur_udzilauri@hotmail.com

5. Invitation to tender are expected in August, 2007

6. The minimum prequalification requirements for a Joint Venture are:

6.1. Average Annual Turnover over the last five years of US$ 6.0 million for Kuwait Contractors, not Georgian.

6.2. Execution of at least 3 similar projects (of generally similar size and complexity) with at least one project in the region- within the last five years.

6.3. Demonstration of sufficient availability (owned or leased) of major Construction Plant and Machinery for execution of the Contract/ Contracts.

6.4. Demonstration of availability of Liquid Assets or Credit Facility of at least US $ 1 million.

7. The last date of Submission of Pre-qualification documents to the Tbilisi City Hall, is 10 August, 2007, 13 Local Time in Georgia

## ◉ როცა ფეხებზე ვკიდივართ

# მთავრობა ყველაფერს თავის სასარგებლოდ აკეთებს, ხალხი კი დაავიწყდა...

## მალე ავტობუსითა და მეტროთი მგზავრობა საოცნებო გაგვიხდება...

**1 ივლისიდან ჩაილურის წყალს დალევს მუნიციპალური ტრანსპორტითა და მეტროთი 20 თეთრად მგზავრობა. ხშირად ადამიანს დანიშნულების ადგილამდე მისვლისთვის ორივე სახეობის ტრანსპორტი სჭირდება — ავტობუსიც და მეტროც. ახლა გზის ფულად თვეში 60-70 ლარიც კი აღარ ეყოფა. რა ქნას გაჭირვებულმა კაცმა?**

მართალია, არის დაპირება, რომ მგზავრობის ფასის გაძვირების პარალელურად პლასტიკური ბარათები ამუშავდება, და თუ ამ ბარათებს საკმაო რაოდენობით შევიძენთ, მაშინ მეტროთი მგზავრობა ისევ 20 თეთრი დაგვიჯდება, მაგრამ ბარათები ძვირია, ერთბაშად 90 ან 130 ლარის გადახდას მოსახლეობის უმრავლესობა ვერ შეძლებს, ხოლო ვისაც ამდენი ფული აქვს, ის მეტროთი საერთოდ არ დადის. გამოდის, რომ ტრანსპორტი ისევ ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავთ გაგვიძვირეს.

რა უნდა ქნას პენსიონერმა, რომელსაც 38 ლარი ან 48 ლარი აქვს ყოველთვიურად, ტელეფონით შეზღუდულად უნდა ისარგებლოს (ტელეფონის, ანუ ძველი ქსელის აბონენტებს, ისე გაუორმაგეს გადასახადი, ინფორმაციაც არ მიუწოდებიათ ამის თაობაზე), ახლობელსაც კი ვერ უნდა დაურეკოს, მისვლით ვერ მივიდეს, ტრანსპორტის სიძვირის გამო, კვებითაც სათანადოდ ვერ იკვებოს. როგორ იცხოვროს, პენსია რომ მარტო დენის, გაზისა და წყლის გადასახადებს ეყოფა და, იქნებ პურსაც. რბილად რომ ვთქვათ, გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობა გენოციდს უთანაბრდება.

არავისთვის დასამალი არ არის, რომ ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაორმაგების გამო მოსახლეობა საგონებელშია. თუმცა ეს ნაკლებად ადარდებს ხელისუფლებას, რადგან, როგორც ჩანს, ფსონს ახალგაზრდებზე აკეთებს, მაგრამ მარტო შადრევნები, დისკოტეკები, კონცერტები სჭირდება ახალგაზრდებს? სამგზავრო ბარათების შესაძენად 100 და 150 ლარი რომ არ ეყოფათ, მერე მიხვდებიან, რომ მოატყუეს, მაგრამ გვიანღა იქნება.

როგორც ირკვევა, დღემდე ე. წ. სამგზავრო ბარათებიც კი არ აქვთ მზად, ზოგს უნდა კიდეც მისი შეძენა, მაგრამ უარით ისტუმრებენ. ამ ბარათების დაბეჭდვასაც ხომ თავისი ხარჯი აქვს? იმასაც ამბობენ, სამარშრუტო მიკროავტობუსის მეპატრონეებს იბარებენ და მათაც აიძულებენ, ფასს მოუმატონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან, პრობლემებს შეგიქმნითო. არადა, მძღოლები ამბობენ, რომ მათ ინტერესში არ შედის ფასის მომატება.



რა მოიმოქმედონ გაჭირვებულმა ადამიანებმა, როგორ გააწვდინონ მწირი ბიუჯეტი ყველა ხარჯს?

**ლუიზა შიხაშვილი, მუსიკის მასწავლებელი** — ხელფასი 60 ლარი მაქვს, ვცხოვრობ დიდ დიღომში, ვმუშაობ ისანსამგორის რაიონში, სახელფასო თანხა ტრანსპორტისთვისაც არ მეყოფა, რა ვქნა, მუშაობას თავი დავანებო? ჯერ პენსიაც არ მეკუთვნის. თუ ფიქრობს ჩვენი მთავრობა, რა განსაცდელს უმზადებს ხალხს?

**თამარ ბერიშვილი, პენსიონერი, ვაზისუბანში მცხოვრები** — ორი შვილი მყავს, ორივე აგრარულ უნივერსიტეტში სწავლობს, იქ მისვლამდე ისედაც 3-ჯერ უხდებათ ტრანსპორტის გამოცვლა. ჯერ „ვაზისუბნიდან" მეტრო ვარკეთილამდე, მერე „დიდუბის" მეტროდან კიდევ ავტობუსი სჭირდებათ უნივერსიტეტში მისასვლელად. რა ვქნა, გამოვიყვანო შვილები და შინ დავსვა? ბიჭები მეუბნებიან, ხომ ხედავ, აქ არ გვეცხოვრება, ისევ უცხოეთში წავალთო. ასე ყველა გაიკრიფება, მერე ვის უტოვებთ თქვენს აშენებულ შადრევნებს, განათებულ ქუჩებს, შელებილ სახლებს? დაფიქრდით, დრო, ალბათ, ჯერ კიდევ გაქვთ.

**დავით მურჯიკნელი, ისტორიკოსი, ოთხი შვილის მამა** — რამდენიმე წლის წინათ ვინმეს რომ ეთქვა, ცხოვრება ასე შეიცვლებაო (კი არ შეიცვლება — ასე გაძვირდებაო), არ დავიჯერებდი. 5-6 წელიწადია ერთი წიგნიც არ მიყიდია. არ დამიჯერებთ, ღამეები გამითენებია რუსთაველზე, სადაც ხელმოწერითი გამოცემები იყიდებოდა. შეძენა კი არა, ბევრი წიგნი თავად გავყიდე. ჩუმად მიმქონდა სახლიდან, შვილებს რომ არ დაენახათ. ესაა ცხოვრება? თუ თვითონ ათასები არ ჰყოფნით, თანაც კიდევ სახელმწიფო ფულს ფლანგავენ, როგორ ფიქრობენ, ხალხი გაჩუმდება და ხმას არ ამოიღებს?

**ნადია შალამბერიძე — 75 წლის, პენსიონერი,** — ორი შვილი მყავს, ერთი ჩემთან ცხოვრობს, მეორე — ცალკე. გამოდის, რომ შვილთან ველარ უნდა მივიდე? არც იმას ექნება იმდენი ფული, რომ ჩემთან მოვიდეს. აბა, რა ვქნათ, წინასწარ ჩავწვეთ საფლავებში? ახლა ყური მოვკარი, ახალი საპენსიო რეფორმა იწყებაო, გამიხარდა, გვეშველა-მეთქი, ვფიქრობდი, რადგან თითქმის 60 წლის სამუშაო სტაჟი მაქვს, 100 ლარს მაინც დამინიშნავდნენ მეგონა, მაგრამ თურმე ასე გადაუწყვეტიათ — ახალ პენსიას, ვინც დღეს მუშაობს, ის მიიღებს, ჩვენ კი პენსიის ნაცვლად დახმარებას მოგვცემენ საბოლოოდ. ეს მთავრობა ყველაფერს თავის სასარგებლოდ აკეთებს და თავის თავზე ირგებს, ხალხი ყველას დაავიწყდა. ახლა პენსიასაც თვითონ იკეთებენ. ჩვენ რა? არაფერი? ასე არ გამოვა, არა!

**ნაზი იმნაიშვილი**

## ◉ ინფორმაცია

### ტრაგედია საგარეჯოში

**საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების 5 წევრი საგარეჯოს ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ავარიაში მოყვა.**

20 წლის მოჭიდავე ალიკა ბითარიშვილი შემთხვევის ადგილზე დაიღუპა, ხოლო შოშიაშვილი, მაჭარაშვილი, შერმადინი და კუმლაძე სხეულის დაზიანებით საგარეჯოს რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს. მძიმე მდგომარეობაშია კუმლაძე, რომელიც თბილისში გადაიყვანეს.

დიდი სისწრაფით მიმავალი თეთრი ფერის „ბმვ", რომელშიც მოჭიდავეები ისხდნენ, „ტრაილერის" მარკის ავტომანქანას შეეჯახა.

მოჭიდავეები ქალაქ ყვარელში რამაზ კეკუას სახელობის ტურნირზე მიდიოდნენ.

### ინსპექტორი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის აღების ფაქტზე ფოთის პოლიციის საუბნო ჯგუფის ინსპექტორი ლევან კვირკველია დააკავა.**

როგორც შს სამინისტროდან იტყობინებიან, დაკავებულმა პოლიციელმა კომერციული საქმიანობისას შესაძლო პრობლემების თავიდან აცილებისა და მფარველობის სანაცვლოდ ინდმეწარმისაგან ქრთამის სახით, 300 ლარი აიღო.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

**ინტერპრესნიუსი**

● საქართველოს ჩემპიონი „ლოკომოტივი“ ეროვნულ ჩემპიონატში განაგრძობს შარშან დაწყებული წაუგებელი მატჩების სერიას. ჯერჯერობით არ ჩანს ძალა, ანუ ის მეისრე, რომელიც რკინიგზელებს დასახული მიზნიდან გადაახვევინებს



◎ ზაზა დარასელის მემორიალი

# თასი მისამართს არ იცვლის

ვაკეში „ირაოს“ სტადიონზე დამთავრდა ზაზა დარასელის ხსოვნის თასის მეშვიდე გათამაშება, რომელშიც ტელეკომპანიებისა და გაზეთების რვა გუნდი მონაწილეობდა. როგორც გაუწყეთ, ფინალში გავიდნენ მეორე არხისა და „აფხაზეთის ტელევიზიის“ წარმომადგენლები. გადამწყვეტი ორთაბრძოლის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ – 0:0. დამატებით დროში მეორეარხელმა დათო კანდელაკმა ერთადერთი გოლი გაიტანა და თავის გუნდს (გიზო ზიბზიბაძე, არსენ მაზანაშვილი, კობა კოჩაძე, ზაზა გოშაძე, გოჩა გრძელიშვილი, რეზო ამონაშვილი, ალიკა ათანელაშვილი, დათო კაციტაძე, დათო კანდელაკი, კოკა რუსაძე) ტურნირის მთავარი პრიზი მეშვიდედ მოაპოვებინა.

გამარჯვებულ გუნდს მთავარი ჯილდო საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელმა თამარ კინწურაშვილმა გადასცა. გამოავლინეს ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები: მეკარე – ზიბზიბაძე, მცველი – გრძელიშვილი (ორივე „II არხი“), თავდამსხმელი – დიმიტრი ობოლაძე („რუსთავი-2“), საუკეთესო მოთამაშე – ლადო ერქვანია („აფხაზეთის ტელევიზია“), რომლებიც ფასიანი საჩუქრებით ვახტანგ რჩეულიშვილმა, ივა დარასელმა, ჯამლეტ ხუხაშვილმა, ხატია შამუგიამ („ისი პარი“) და მეპმედ მელექიმ („ბეკო“) დააჯილდოვეს.

**თამუნა გეჯაძე, მარი ჭიჭინაძე**





სურათებზე: ფინალური მატჩის მომენტი; გამარჯვებული გუნდის კაპიტანს კობა კოჩაძეს თასს გადასცემს თამარ კინწურაშვილი; მემორიალის შვიდგზის ჩემპიონები.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

◎ ორბიტაზე

## სამეფო კლუბმა „თავი შეირცხვინა“



ყოველ შემთხვევაში, ასე გამოიყურებოდა გუტი, რომელმაც, ესპანეთის ჩემპიონად გახდომის ორდღიანი ზარ-ზეიმის შემდეგ ისრაელში ჩასული „რეალის“ შემადგენლობაში „მსოფლიო მატჩში“ ოთხი ბურთი გაუტანა ისრაელ-პალესტინის ნაკრებს, სამი კიდევ ახალგაზრდა ალვარო ნეგრედომ დაამატა, მხოლოდ ერთი ბურთით დაკმაყოფილდა რაული – 8:0.

თუმცა სამეფო კლუბი ისრაელში გულშემატკივართა კერპების ბექჰემისა და ვან ნისტელროის გარეშე ჩავიდა, მაგრამ თელ-ავივის სტადიონი ესპანელი გრანდების მაისურებითა და შარფებით დამშვენებულ გულშემატკივრებს ვერ იტევდა.

თელ-ავივში ჩასული 50 ესპანელი ჟურნალისტი ამაოდ ცდილობდა, დაედგინა, დარჩება თუ არა ფაბიო კაპელო „რეალის“ საჭესთან, თუ მას ბერნდ შუსტერი შეცვლის.

**სურათზე:** თელ-ავივში ჩასული „რეალის“ მოთამაშე სერხიო რამოსი ფეხბურთის ანაბანას ასწავლის ბავშვებს.

## ფეხბურთის მსაჯი – მოდელი, პოლიციელი



ფეხბურთის ქალი მსაჯი რომ „უცხო ხილი“ აღარაა სტადიონზე, ახალი ამბავი როდია. ქალის მსაჯობის შემთხვევები იყო სამხრეთ ამერიკაშიც, ევროტურნირებზეც, თანაც მამაკაცთა უმაღლესი დონის შეხვედრებზე. თუმცა ამ ბოლო დროს მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები, რატომღაც, განსაკუთრებით დაინტერესდნენ ორი მათგანით.

ბრაზილიელმა არბიტრმა ანა პაულა დე ოლივეირამ არ იკმარა, რომ მისით ფეხბურთელებიც და გულშემატკივრებიც ზოგჯერ ისე იხიბლებიან, ფეხბურთი „ავიწყდებათ“, და კონტრაქტი გააფორმა პოპულარულ ჟურნალთან Playboy და ამიერიდან მისი მკითხველი მამაკაცებისთვისაც „მისაწვდომი“ გახდება.



29 წლის ანამ განაცხადა, რომ მისთვის ასეთი ნაბიჯი საშიში არაა, არც ვისიმე კომენტარების ერიდება, რადგან მისი, როგორც ფეხბურთის მსაჯის, კარიერა, აღმავლობის გზაზეა.

არანაკლებ პოპულარულია მეორე ქალი მსაჯი ბიბიანა შტაინჰაუზი, თუმცა მას ეროტიკულ ჟურნალებთან კავშირი არა აქვს. მას ეამაყება, რომ მომავალ სეზონში პირველი ქალი იქნება, ვინც მეორე გერმანულ ბუნდესლიგას მოემსახურება.

28 წლის ბიბიანა პოლიციელია. იგი გერმანიის დაბალი ლიგების საფეხბურთო მატჩებს 1995 წლიდან მსაჯობს. როგორც გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კორპუსის ერთ-ერთი წარმომადგენელი აცხადებს: „პოლიციელისა და ფეხბურთის მსაჯის პროფესია საკმაოდ მსგავსია. ორივე სიტუაციაში მათი წარმომადგენლები ისე უნდა იქცეოდნენ, რომ კანონს ყველა პატივს სცემდეს“.

**სურათებზე:** ბრაზილიელი ანა პაულა დე ოლივეირა (ზემოთ) და გერმანელი ბიბიანა შტაინჰაუზი.

◎ მშვილდოსნობა

## ესებუამ იმარჯვა

ხელვაჩაურში მშვილდოსანთა საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპის ორთაბრძოლები გაიმართა. ქალებში ყველას ქრისტინე ესებუამ აჯობა. მეორე ადგილზე გავიდა ასმათ დიასამიძე, მესამე იყო ოლგა ლადიგინა. საქართველოს ნაკრების ლიდერი ხათუნა ნარიმანიძე ამჯერად მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ტარიელ ქადიძე, 2. დიმიტრი კირიჩენკო, 3. ვლადიმერ ბოლქვაძე.

ეს შეჯიბრება იყო მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი. პლანეტის უძლიერეს ჩუბინთა პაექრობა კი 8 ივლისს ლაიფციგში დაიწყება.

◎ რაგბი

# მეისრე არ ჩანს

**საქართველოს ჩემპიონი „ლოკომოტივი“ ეროვნულ ჩემპიონატში განაგრძობს შარშან დაწყებული წაუგებელი მატჩების სერიას.** ჯერჯერობით არ ჩანს ძალა, ანუ ის მეისრე, რომელიც რკინიგზელებს დასახული მიზნიდან გადაახვევინებს. ეს მიზანი, ცხადია, კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლაა. მე-5 ტურში „ლოკომოტივის“ მორაგბეებმა პირწმინდად დაჩაგრეს დინამოელები – 26:0.



ტურნირის ფავორიტად რჩებიან „ყოჩებიც“, რომლებმაც მეოთხე გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში – ამჯერად მათ უნივერსიტეტის ახალგაზრდული გუნდი დაამარცხეს – 34:22.

ლიდერებს კვალში მისდევს „ლელო“, რომელსაც სხვა გუნდებთან შედარებით („ლოკომოტივთან“ ერთად) ერთი თამაშით ნაკლები აქვს გამართული, მაგრამ გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზეა, რადგან მე-5 ტურში „არმაზს“ სძლია 38:10 და 6 ქულა მოაგროვა.

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. „ლოკომოტივი“ | 4 | 4 | 0 | 0 | 8 |
| 2. „ყოჩები“ | 5 | 4 | 0 | 1 | 8 |
| 3. „ლელო“ | 4 | 3 | 0 | 1 | 6 |
| 4. დინამო“ | 5 | 1 | 0 | 4 | 2 |
| 5. უნივერსიტეტი | 5 | 1 | 0 | 4 | 2 |
| 6. „არმაზი“ | 5 | 1 | 0 | 4 | 2 |

**ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშება ჯერ არ დამთავრებულა და ფირაერ-მა უკვე საგაისო კალენდარი გამოაქვეყნა.**

შეგახსენებთ, რომ 2007 წელს გასამართავი დარჩა კიდევ სამი მატჩი: **10 ნოემბერს:** საქართველო – პორტუგალია, რუმინეთი – რუსეთი, **17 ნოემბერს:** პორტუგალია – რუმინეთი. ამჟამად 3-3 მოგებით (თითო წაგება აქვთ) პირველ-მეორე ადგილებს საქართველო და რუსეთი ინაწილებენ. 2-2 მოგება აქვთ რუმინელებს, პორტუგალიელებს (ორივეს – 3 მატჩიდან) და ესპანელებს (5 შეხვედრიდან). 0 ქულით ბოლო ადგილზეა ჩეხეთი.

**გაუწყებთ საგაისო შეხვედრათა კალენდარს:**

**9 თებერვალი.** საქართველო – რუმინეთი. **16 თებერვალი.** პორტუგალია – ჩეხეთი. **23 თებერვალი.** პორტუგალია – საქართველო, ესპანეთი – რუმინეთი. **1 მარტი.** რუსეთი – პორტუგალია. **8 მარტი.** რუმინეთი – პორტუგალია, რუსეთი – ესპანეთი. **15 მარტი.** რუსეთი – რუმინეთი. **22 მარტი.** რუმინეთი – ჩეხეთი. **29 მარტი.** ჩეხეთი – საქართველო. **12 აპრილი.** რუსეთი – საქართველო. **19 აპრილი.** ჩეხეთი – რუსეთი. **26 აპრილი.** საქართველო – ესპანეთი. **10 მაისი.** ესპანეთი – პორტუგალია.

◎ სუმო

## ოქრუაშვილის „ოქროები“

უნგრეთის დედაქალაქში დამთავრდა სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 4 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ სამი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.




უფროსებში არავის უჭიდავია. ძიუდოისტმა ადამ ოქრუაშვილმა ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში 3 ოქროს მედალი დაიმსახურა. ის ერთი „ბრინჯაო“ კი ახალგაზრდებში თედო რთველიაშვილს ხვდა.

◎ ასეც ხდება

# დედოფლის ჯილდოთი – ციხეში

ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი თედი შერინგემი, ინგლისის ნაკრებში, „ტოტენჰემსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ თამაშობდა, დააპატიმრეს ყალბი ჩვენების მიცემისთვის. მას ბრალად ედება პოლიციის გამოძიების შეცდომაში შეყვანა, სხვის მაგიერ რომ დაიბრალა გადაჭარბებული სიჩქარით მანქანის მართვა.



მოგეხსენებათ, რა მკაცრია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ევროპული კანონები – დიდი ჯარიმის გარდა, შესაძლოა ციხეში მოხვედრაც. როგორც ამბობენ, ფეხბურთელს ექვსი წლით პატიმრობა ემუქრებაო.

სასაცილო ისაა, რომ ინგლისური ფეხბურთის განვითარებაში დამსახურებისთვის სწორედ წინა დღეს დედოფალმა ელისაბედ მეორემ შერინგემი საგანგებოდ დააჯილდოვა.

№ 116. პარასკევი, 22 ივნისი, 2007 წელი.

● დღეგრძელობის ახლანდელი საზაფხულო კვირეულის პროგრამა ფრიად მრავალფეროვანია. იგი მოიცავს აქციებს, საქველმოქმედო კონცერტებს, საერთაშორისო დიალოგს თემაზე „მედიკოსები და თეოლოგები კვების შესახებ“






◎ კვალი

# იმღერიან, ისევ ვიმღერთ...

## აკაკი შანიძის ერთი ლექსის გამო

*სამი ათას წელზე მეტი, გვიცხოვრია როგორც ერსა,*
*ბევრსა შავ დღეს მოვსწრებივართ,*
*მაგრამ ბევრსა ბედნიერსა,*

*იმღერიან, კიდევ ვიმღერთ ჩვენს ტკბილ მრავალჟამიერსა.*
*ქართველთ სისხლით შეღებილი დღესაც*
*მტკვარი არის მღვრია,*
*ქართველ დედის გაზრდილ შვილებს*
*მტრების სისხლი დაუღვრიათ,*
*იმღერიან, ისევ ვიმღერთ ჩვენს ტკბილ მრავალჟამიერსა.*

ეს პატარა ლექსი დიდმა ქართველმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ 1918 წლის გაზაფხულზე დაწერა და იგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მიუძღვნა. ახალგაზრდა, 31 წლის აკაკი შანიძეს მიაჩნდა, რომ იგი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნის ტექსტი, რომლის მუსიკაც ქართული ხალხური სიმღერის „ალიფაშას“ მოტივებზე უნდა შექმნილიყო. მაშინ ეს იდეა არ განხორციელებულა, მაგრამ 70 წლის შემდეგ ცნობილმა ლოტბარმა ბენია მიქაძემ აკაკი შანიძის ლექსზე შექმნა სიმღერა, რომელსაც თითქმის მთელ საქართველოში მღერიან. 1988 წელს ეს სიმღერა სამტრედიელ ხანდაზმულთა ანსამბლის „სანავარდოს“ შესრულებით ფირმა „მელოდიამ“ ფირფიტაზე ჩაწერა და დიდი ტირაჟით გაავრცელა. სიმღერას, რომელსაც პირობითად „გვიმღერია“ ეწოდება, ასრულებენ ბენია მიქაძე, ალექსანდრე ერქვანიძე, ნიკოლოზ აბულაძე და იური გელოვანი.

სიმღერის ტექსტის ავტორი, ბატონი აკაკი შანიძე აქ არ იხსენიება. მათ, რომ ჭეშმარიტება სცოდნოდათ, მის სახელს აუცილებლად მოიხსენიებდნენ, მით უმეტეს, რომ საბჭოთა ადმინისტრაციული დაყოფით ბატონ აკაკი შანიძის მშობლიური სოფელი ნოღა, გურიას — ჩოხატაურის რაიონს ჩამოართვეს და სამტრედიის რაიონს მიაკუთვნეს.

**დღესდღეობით ეს სიმღერა ისეა გახალხურებული, რომ მას ყველა ერთ-ერთ მრავალჟამიერად აღიქვამს. ეს ხომ თავისთავად ამ ტექსტისა და სიმღერის უკვდავებას ნიშნავს.**

**დურმიშხან ცინცაძე**

◎ ელამი სარკე

# რეფორმატორი

**გუშინ** სახლში უნივერსიტეტელმა მეგობარმა შემომიარა. გამიხარდა, აღარ ვიცოდი როგორ მესიამოვნებინა. თავიდან სტუმარი ცოტა შებორკილად გრძნობდა თავს, მაგრამ რამდენიმე ჭიქა საფერავის შემდეგ სალამურივით ალიკლიკდა:

— ჩემო ოტია, რა დაგიმალო, ადრე ლომაიას მეც შენსავით ვაგინებდი, მაგრამ ახლა მის მზესა ვფიცულობ.

— განა ასე რით მოინადირა ბატონმა მინისტრმა შენი გული? — ვუთხარი და ეჭვნარევი ღიმილით შევაცქერდი.

— ტყუილად გეღიმება, — თითქოს გამიწყრასავით, — რაც მართალია მართალია, სწორუპოვარი რეფორმატორი გამოდგა.

— პრეზიდენტზე მეტი, კაცო?

— გაკვირვება ვერ დავმალე.

— პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, უფრო დიდი დემოკრატია, მაგრამ რეფორმატორობაში ამას ვერავინ შეედრება.



— რა ვიცი, სხვები სხვანაირად ლაპარაკობენ.

— სხვები რად გინდა, აგერა ვარ მაგალითი. გახსოვს, რა ვიყავი რეფორმამდე?

— რა იყავი?

— ერთი საცოდავი მეცნიერების კანდიდატი და კიდევ უფრო საცოდავი დოცენტი.

— ახლა ვინა ხარ?

— პროფესორი, ძმაო, თანაც სრული პროფესორი! გესმის ეს რას ნიშნავს?

— სიმართლე გითხრა, მთლად არა. გამოდის, რომ არასრული, ესე იგი, ნაკლული პროფესორებიც არსებობენ?

— რატომ ნაკლული, შე კაცო! — შეიცხადა, — ნაკლული შეიძლება ბოთლი ან ტიკი იყოს, მაგრამ პროფესორი არავითარ შემთხვევაში.

— აბა რა ჰქვიათ სრულის საპირისპირო პროფესორებს?

— ასოცირებული პროფესორი.

— ასოცირებული? — დავიჭყანე, — იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეგენი პროფესორები კი არა, პროფესორობასთან ასოცირებულები არიან. ასე არ გამოდის?

— რეფორმა, ჩემო ძმაო, შთაბეჭდილებებს ვერ დაეყრდნობა. მისი ღირსება სწორედ ამაშია — იტყვის და ყველაფერი დამთავრებულია.

— ვინ იტყვის, ლომაია?

— აბა, ვინა? რეფორმა ადამიანი ხომ არ არის, ილაპარაკოს. მის სათქმელს ყოველთვის მინისტრი ამბობს.

— უნივერსიტეტის რექტორმა თუ იცის, თქვენგან რომელია სრული პროფესორი და რომელი კიდევ ასოცირებული?

— თუ დაინტერესდა, გაარკვევს კიდეც, მაგრამ მას ასეთი წვრილმანებისთვის, როგორც წესი, საერთოდ არა სცალია.

— აბა რით არის დაკავებული?

— მთავრობასთან სასიამტკბილო ურთიერთობის გაბმით. ამას თუ ვერ მიაღწია, უნივერსიტეტში ყველაფერი აირევა და ერთ მშვენიერ დღეს თავადაც ზედ გადაყვება.

— გასაგებია, რექტორი, ალბათ, სტუდენტებისთვისაც ვერ იცლის.

— ვერა, რა თქმა უნდა, რომც მოიცალოს, ჩემო კარგო, რეფორმა მას სტუდენტურ საქმეებში ჩარევის უფლებას არ აძლევს.

— აბა ვინ მართავს სტუდენტობას?

— არავინ, თავისით იმართებიან. ძველი დრო კი აღარ არის, სტუდენტი ყურით დაიჭირო. ის დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს მოქალაქეა და როგორც მოეპრიანება, ისე მოიქცევა.

— მასე თუ მიუშვი, შე კაცო, ხომ შეიძლება, ლექციებზე საერთოდ აღარც მოვიდნენ?

— ეგ დღეს ჩვეულებრივი ამბავია, რამდენჯერ მომხდარა, შევსულვარ აუდიტორიაში და იქ არავინ დამხვედრია.

— ასეთ შემთხვევაში ლექტორები როგორ იქცევით?

— თავს ვიქცევთ, შევდივართ საპროფესოროში და ტელესერიალებს ვუყურებთ.

— სრული და ასოცირებული პროფესორები ერთად, კაცო?

— აბა რა ვქნათ, სერიალების საყურებლად ცალ-ცალკე ოთახებს ხომ არ გამოგვიყოფენ.

— თავად სტუდენტები ამდროს სად დადიან, არ გაინტერესებთ?

— რას გაიგებ, ზოგი კინოშია, ზოგი — აქციაზე, ზოგიც სხვა ფაკულტეტზე ისმენს ლექციებს.

— სხვა ფაკულტეტზე?

— ჰო, რა გიკვირს, თავიდან სტუდენტი რა სპეციალობაზეც შემოვიდა, მერე აღარ მოეწონა და სხვა ფაკულტეტზე მოისურვა ლექციების მოსმენა. ამაში ცუდს რას ხედავ?

— იქნებ არც ის მეორე მოეწონოს?

— მაშინ მესამეს მოსინჯავს, შემდეგ — მეოთხეს...

— მერე რექტორი თანახმაა, რომ სტუდენტებმა ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე ასე უპრაგონოდ ირბინონ?

— ხომ გითხარი, რექტორი სტუდენტურ საქმეებში არ ერევა და რომც მოიწადინოს, ვერც ჩაერევა.

— კეთილი, მაგრამ ამდენი სირბილის შემდეგ სტუდენტი გამოცდებს რომელ ფაკულტეტზე აბარებს, სადაც პირველად შევიდა, თუ სადაც ბოლოს აღმოჩნდა?

— ეგეც მისი გადასაწყვეტია. თუ დაეზარა, შეუძლია არც ერთგან არ ჩააბაროს. ამ შემთხვევაში მთავარია რეფორმა და არა სწავლა და გამოცდები. რეფორმა კი ყოველთვის სტუდენტთა ინტერესების მხარეზეა.

— აგაშენათ ღმერთმა, ეს რა რეფორმა გამოგიგონიათ, — მოვუწონე და ჭიქები მათრობელა სითხით შევავსე.

— რა სადღეგრძელოს მთავაზობ? — შემაცქერდა ცნობისმოყვარედ.

— რეფორმას გაუმარჯოს, ძმაო, რეფორმას! ამაზე უკეთესს რას შემოგთავაზებ, ვთქვი და სასმისი სულმოუთქმელად გამოვცალე.

**ოტია ჩართოლანი**

◎ დღეგრძელობის კვირეული

**„რომ არ დავბერდეთ“ — ამ დევიზით თბილისში უკვე მეორედ იმართება დღეგრძელობის კვირეული. მისი თაოსანია არაკომერციული საერთაშორისო ასოციაცია „930“, ეს რიცხვი დასაბამს ადამის სიცოცხლის ხანგრძლივობიდან იღებს, ჩვენს შორის უპირველესმა ხომ ამდენ ხანს იცოცხლა. ამიტომ ასეთი დასახელება იმ ასოციაციისთვის, რომელიც ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ზრუნავს, სწორედაც რომ ლოგიკურია.**

# რომ არ დავბერდეთ,

## ანუ სიბერე - ჭირთა სიბევრე

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ემსახურება ასოციაციის ეგიდით წელიწადში ოთხჯერ დაგეგმილი კვირეულები. ჩვენს ქვეყანაში პირველი — „საგაზაფხულო კვირეული“ მარტში მოეწყო. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მსგავს ღონისძიებას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება.

პროექტი ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და პირველი ლედის სანდრა რულოვსის თანადგომით.

დღეგრძელობის ახლანდელი საზაფხულო კვირეულის პროგრამა ფრიად მრავალფეროვანია. იგი მოიცავს აქციებს, საქველმოქმედო კონცერტებს, საერთაშორისო დიალოგს თემაზე „მედიკოსები და თეოლოგები კვების შესახებ“.

კვირეული ველოტურით გაიხსნა. 20-ზე მეტმა ველომრბოლმა მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენის ჯუმბერ ლეჟავას მეთაურობით საგანგებოდ ამ დღისთვის დამზადებული მაისურები მოირგეს და თითქმის მთელი თბილისი მოიარეს. ველოტურის მიზანი, ცხადია, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება იყო. უარი ვთქვათ ნარკოტიკებსა და თამბაქოზე, მივსდიოთ სპორტს, თუნდაც ველოსპორტს.

„მიხარია, რომ ასეთი აქცია გავმართეთ, ეს საჭირო და აუცილებელია, რათა მომავალ თაობას კარგი მაგალითი ვუჩვენოთ. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ჯანსაღი წესით ცხოვრება, სპორტული აქტიურობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე თამბაქო და ნარკოტიკი. თუ მოზარდები ამას გააცნობიერებენ და სპორტში უფრო აქტიურად ჩაებმებიან, მჯერა, რომ ძალადობაც მოიკლებს, — აღნიშნა ჯუმბერ ლეჟავამ.

ასოციაციამ უკვე დაიწყო მუშაობა სოციალური პროგრამის „ერთად ვაშენოთ სოფელი“ ხორცშესხმაზე. იგი ხორციელდება მზრუნველობამოკლებული მოხუცებისა და ბავშვების, აგრეთვე უნარშეზღუდული ბავშვებისა და მათი მშობლების საკეთილდღეოდ. ამ პროექტს, ცხადია, საზოგადოებრიობის მხარდაჭერა სჭირდება. ქართველმა ექიმებმა გადაწყვიტეს თავიანთი წვლილი გაეღოთ ამ საქმეში და ამ მიზნით საქველმოქმედო კონცერტი გამართეს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. ამ დღეს სცენაზე ამღერდნენ ცნობილი ექიმები: მედეა კარტოზია, აჩიკო მეფარიძე, ლაშა ღლონტი, გოგიტა გეგელაშვილი, ირაკლი ჭელიშვილი, ნანა ლეჩუაშვილი, ჯაჯანაძეების მუსიკალური ოჯახი, სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფოლკლორული ანსამბლი... საკუთარი ლექსები აახმიანეს ნანა ცინცაძემ და ლადო კახაძემ.

საზაფხულო კვირეული გრძელდება. მისი პროგრამა კვლავაც მრავალ საინტერესო საღამოებს გვპირდება.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ ინფორმაცია

## უფლისციხელები შველას ითხოვენ

**გორის რაიონის სოფელ უფლისციხის მოსახლეობა კვლავ ეპიდემიის საფრთხის წინაშეა. ეპიდემიის საშიშროებას სოფელში არსებული მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა ქმნის.**

ზაფხულის დადგომასთან ერთად და გადაუღებელი წვიმების შედეგად ფეკალური მასა წყლით სავსე საკანალიზაციო ჭებიდან კვლავ ამოდის და მოსახლეობის ეზოებსა და ჭებში ჩადის.

სოფელ უფლისციხეში 10 კომუნალური საცხოვრებელი კორპუსი მდებარეობს, რომლებსაც ერთიანი საკანალიზაციო სისტემა გააჩნიათ. სისტემა მოშლილია, რომლის შეკეთების საშუალება მოსახლეობას არ გააჩნია.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას შარშან დაპირდნენ, რომ მომდევნო წლისთვის ბიუჯეტიდან ამ პრობლემის მოსაგვარებლად თანხა გამოიყოფოდა, თუმცა წლევანდელ ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ არის გათვალისწინებული.

**ჰუ-ეიჩ-ენი**

## აზერბაიჯანში ღორის ხორცის იმპორტი აიკრძალა

**ღორის ხორცის იმპორტის აკრძალვა საქართველოდან აზერბაიჯანში სულ მცირე 1 წლის განმავლობაში შენარჩუნდება, — იუწყება „ტრენდი“ აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული სამსახურის პრეს-მდივნის იოჩლუ ხანველის ინფორმაციაზე დაყრდნობით.**

ხანველის თქმით, თუ საქართველოს რეგიონებში, სადაც დაავადება „აფრიკული ცხელება“ დაფიქსირდა, კარანტინი გაუქმდება სწორი და უსაფრთხო იქნება იმპორტის აკრძალვა 2008 წლის ივნისამდე შენარჩუნდეს.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

# შპს „საქართველოს რკინიგზა“

## აცხადებს აუქციონს სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების რეალიზაციის მიზნით

*ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ*

სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები – 700 ტონა;

**მდებარეობა** – სადგური ფოთის საწყობი;

სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების საწყისი სარეალიზაციო ფასი – 10500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე). „ბე“-ს თანხა 1000 ლარი, ბიჯი 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს გარეშე).

ბილეთის ფასი – 100 ლარი;

**აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.**

განაცხადების მიღების ადგილი – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-53-20.

განაცხადების მიღების ვადა – განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით. აუქციონის ჩატარების დღემდე 10 საათიდან 17 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10 საათიდან 12 საათამდე.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 11 ივლისს 14 საათზე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები – „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენთიფიკაციო კოდი №202886010.

***აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი***

სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა, არანაკლებ საწყისი ღირებულებისა.

***აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება***

სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს მყიდველი, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ მყიდველს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.

აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს ‘საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.

აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, და ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მყიდველი.

ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის მყიდველის მიერ სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდის დღიდან.

გატანასთან და აწონვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მყიდველი.

***გამოსასყიდი თანხის გადახდის ვადა***

მყიდველი ვალდებულია, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მომსახურე საბანკო დაწესებულებაში (საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით) შეიტანოს ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება. მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

თუ მყიდველი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ მიენიჭება საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.

საკუთრების უფლება სარეალიზაციო ქონებაზე მყიდველს გადაეცემა აღნიშნული ქონების ღირებულების სრულად დაფარვის და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

საბოლოო ანგარიშსწორება მყიდველსა და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული პროდუქციის შესაბამისად.

***აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები***

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს.

„ბე“-ს და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში მონაწილეს „ბე“-ს დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.

**საკონტაქტო ტელ: 56 33 48; 56 53 20.**

*შპს „საქართველოს რკინიგზა“*

---

**ინფორმაცია**

## ირაკლი ბათიაშვილი მამის დაკრძალვას დაესწრო



პოლიტიკური მოძრაობა „წინ, საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, მსჯავრდებული ირაკლი ბათიაშვილი, მამის დაკრძალვას დაესწრო.

მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 საპყრობილედან ბადრაგის თანამშრომლებმა ჭავჭავაძის გამზირზე მის კუთვნილ ბინაში მიიყვანეს.

ირაკლი ბათიაშვილის მამა დიმიტრი ბათიაშვილი, საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

მსჯავრდებულს კომენტარი არ გაუკეთებია.

ინტერპრესნიუსი

---

**გახსენება**

## რევაზ თოლორაია



როგორ მოგვენატრე...

ხშირად გვგონია, კარი გაიღება და შემოხვალ, სიზმრებში გეძებთ...

ცხრა მაისს შენი დაბადების დღე აღვნიშნეთ. გაგახარეთ?

ვიცით, შენი სული, თავს დაგვტრიალებს... ვიცით, შენც გიჭირს უჩვენოდ.

ჩვენს მარადიულ ხილვებში ცოცხლობ... ისევ ისეთი ხარ, თბილი და ალერსიანი, ყურადღებიანი. შენი კეთილი გულის სითბო გვინათებს გზას.

სინათლედ გველღვრება და შენი გზით სიარულს გვავალებს.

ვეთაყვანებით შენს სულს, ჩვენთვის დაუვიწყებელს. შენს მარადიულ სამყოფელში დაბრძანების წლის თავზე, 22 ივნისს, შევიკრიბებით... და შენი ხსოვნის სადიდებელს ვიტყვით.

**შენი, მარად ნათელში ყოფნის მსურველები შენი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.**

---

სს ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ იზა ბოდოკიას დედის

**ქეთევან სინჯიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

**კითხვა:** რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც შესაბამისი შრომის სტაჟი არ გააჩნდათ, მაგრამ იყვნენ ხანდაზმულები (მამაკაცები – 70, ხოლო ქალები – 65 წლის), ენიშნებოდათ არა სახელმწიფო, არამედ სოციალური პენსია, გვაინტერესებს, არსებობს ამჟამად სოციალური პენსია?

**ქეთო არსენიშვილი**

**პასუხი:** ხანდაზმულობის ასაკში შრომის სტაჟის არმქონე, არამომუშავე პირებისთვის სოციალური პენსია აღარ ინიშნება და აღარც არის საჭირო, ვინაიდან 2007 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კანონით, ქალებს 65 წლსი ასაკში, ერთი დღეც რომ არ ჰქონდეთ ნამუშევარი, მაინც აქვთ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება, თუ სახელმწიფო სექტორში არ მუშაობენ.



• • •

**კითხვა:** ვარ 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულის დედა. სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს მიერ ცნობილი ვარ შრომისუუნაროდ. გთხოვთ, მაცნობოთ, რა რაოდენობის თანხა მეკუთვნის გადასახადების დასაფარავად?

**პ. ბაზუტაშვილი**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, გეკუთვნით საყოფაცხოვრებო სუბსიდია – ყოველთვიურად 44 ლარის ოდენობით.

• • •

**კითხვა:** გასულ წელს შვებულებით ვერ ვისარგებლე. ადმინისტრაციასთან შეთანხმებით შარშანდელი შვებულება წელს გადმომიტანეს. შეიძლება წელსაც არ გამიშვან შვებულებაში იმ მოტივით, რომ აუცილებლად სჭირდებათ წლის განმავლობაში ჩემი ადგილზე ყოფნა (სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე). აქვთ ამის უფლება?

**ლალი გოცირიძე**

**პასუხი:** არა, მოქმედი კანონით აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

№ 116. პარასკევი, 22 ივნისი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● შეყრილიყვნენ ესენი ერთად, რომ ერთ-ერთი „ჩასარეცხისთვის", ქორეოგრაფ რეზო ჭანიშვილისთვის 70 წლისთავი მიელოცათ და თან მისი უნიკალური წიგნის — „ქართული ცეკვის სადიდებლის" გამოსვლა დაელოცათ, რაც უმაღლეს დონეზე გააკეთეს კიდეც ამ „ჩასარეცხებმა"



**◉ სულიერება**

## ღირსი იოანე შავთელ-გაენათელი

„გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანის" ავტორი 22 ივნისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს იოანე შავთელს, რომელიც იყო საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, ფილოსოფოსი და რიტორი XII-XIII საუკუნეებში. ის „ქართლის ცხოვრებაში" მოიხსენიება როგორც „ლექსთა გამომთქმელი და მოღვაწებათა შინა განთქმული". ის თამარ მეფის თანამედროვე იყო.

... ღირსმა იოანე შავთელ-გაენათელმა უმაღლესი განათლება გელათის მონასტერთან არსებულ აკადემიაში მიიღო, სადაც შეისწავლა წმიდა მამათა თხზულებები, ანტიკური და არაბული ისტორია, ფილოსოფია, შემდეგ ბერად აღიკვეცა და დიდხანს მიღვაწეობდა ვარძიის მონასტერში.



იოანე შავთელ-გაენათელის შემოქმედებიდან ჩვენამდე მიღწეულია ცნობილი ოდა „აბდულ-მესია" (ქრისტეს, მესიის მონა).

... ცნობილია ისიც, რომ წმიდა იოანე შავთელმა ბასიანის ბრძოლაში გამარჯვების სამადლობელად დაწერა შესანიშნავი ოდა „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი".

ღირსი იოანე გარდაცვალებისთანავე შერაცხილ იქნა წმიდანთა დასში.

**გიული ლიპარტია**


**თბილისის № 13 პოლიკლინიკის ჰომეოპათიური განყოფილება**

მაღალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტები თ. ალაშვილი, თ. ჭანტურია, ი. ზუბაშვილი

მკურნალობენ: ალერგიულ, აუტოიმუნურ და ანთებით დაავადებებს, თრომბოციტოპენიას, C-ჰეპატიტს, ალკოჰოლურ ციროზს, პროსტატის ანთებას და სხვა პათოლოგიებს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი 28/ ა. ჭავჭავაძის ქ. № 2.

ტელეფონი: 98-64-86; მობილური: 8-99-55-99-61.


**◉ პატივგება**

ამდენი მკითხველი ერთად დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არასდროს მოსულა. დღეს კი მათი თავყრილობა კულტურისა და განათლების ღვაწლმოსილი მუშაკის ლია ფიროსმანაშვილის პატივგების მიზნით მოეწყო.

## გმადლობთ, ლია ფიროსმანაშვილო!

ქალბატონი ლია ფიროსმანაშვილი 40 წელიწადი ემსახურა წიგნის მოყვარულებს. მისი ხელმძღვანელობით ბიბლიოთეკამ ათასობით მკითხველი მიიზიდა და მდიდარი წიგნის ფონდიც შექმნა. ბიბლიოთეკაში 252.758 ძვირფასი წიგნია.

წლებს თავისი მიაქვს და ლია ფიროსმანაშვილმაც გადაწყვიტა დამსახურებული დასვენება. ბიბლიოთეკის ახლადდანიშნულმა დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა ყველაფერი ილონა საიმისოდ, რომ ბიბლიოთეკასთან გამოთხოვება ქალბატონ ლიას დაუვიწყარ მოგონებად დარჩენოდა.

სამკითხველო დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა. გამორჩეული მადლიერებით მოიხსენიეს მამა ნიკოლოზი, რომელიც ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარია და მისი მრევლიც მას ბაძავს. რელიგიის მასწავლებელმა გიორგი ნატროშვილმა ბიბლიოთეკაში მართლმადიდებლური განყოფილება გახსნა და ახალგაზრდობას ქრისტიანული რწმენის ერთგულებას უნერგავს.

დღეს ინფორმაციის მიღების მრავალი საშუალება არსებობს, მაგრამ წიგნს და მის სიბრძნეს ვერც ტელევიზია შეცვლის და ვერც კომპიუტერი.

ასე სწამთ დედოფლისწყაროს ბიბლიოთეკის მესვეურთ, ასე სწამდა ლია ფიროსმანაშვილსაც.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ" კორ.**

**◉ მილოცვა**

ჩვენს კოლეგას და ფოტორეპორტიორს ირაკლი ჭყონიას ვულოცავთ საიუბილეო თარიღს — 50 წლის შესრულებას.

ღმერთმა ბედნიერი და ჯანმრთელი გამყოფოს, ჩვენო ირაკლი, გისურვებთ შემოქმედებით წინსვლას.

**მეგობრები**

**◉ ინფორმაცია**

### მოსკოვში საქართველოს მოქალაქე დაჭრეს

მოსკოვში საქართველოს მოქალაქე ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრეს. როგორც მოსკოვის პროკურატურაში განაცხადეს, 1974 წელს აჭარაში დაბადებულ გურამ სალინაძეს ჭრილობა ორმა უცნობმა პირმა მიაყენა. დაშავებული ამ დროისთვის სხვადასხვა სახის ჭრილობებით საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ბოროტმოქმედებმა მას მაკაროვის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი სადარბაზოში შესვლისას გაუხსნეს.

**ΧΟ-ΕΘΒ-ΕΘΟ**

**◉ ირონია უძახე შენ!**

## „ჩასარეცხები" სცენაზე გამოდიან...

დედა, რა იყო ეს!... როგორ მოიყარა ასე ერთად თავი ამდენმა „ჩასარეცხმა"! ცალი თვალი მაინც დაგეკრათ, ბატონო პრეზიდენტო, გადაჭედილი დარბაზისთვის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში, ანდა, თქვენი ამალიდან მაინც გამოგეგზავნათ ვინმე! ნახავდით და, რას ნახავდით: დარბაზში ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნამდვილი „ჩასარეცხები" ისხდნენ. — ეს, მარიამ ლორთქიფანიძეო, ნათელა ვასაძეო, ნოდარ ლომოურიო, ანზორ ერქომაიშვილიო, თემურ ქევხიშვილიო, ბადრი თოიძეო, გომარ სიხარულიძეო, გივი სიხარულიძეო, ომარ ჩიტაიაო, ომარ მხეიძეო, ზინაიდა კვერენჩხილაძეო, გოგი ქავთარაძეო, ჯანსუღ ჩარკვიანიო, ფრიდონ ხალვაშიო, ემზარ კვიტაიშვილიო, თემო გოცაძეო... ზოგი იქნებ, გამომრჩა, თვალი ვერ მოვკარი, ალბათ, უკვე „ჩარეცხილებს" და ჩატანილებს.

შეყრილიყვნენ ესენი ერთად, რომ ერთ-ერთი „ჩასარეცხისთვის", ქორეოგრაფ რეზო ჭანიშვილისთვის 70 წლისთავი მიელოცათ და თან მისი უნიკალური წიგნის — „ქართული ცეკვის სადიდებლის" გამოსვლა დაელოცათ, რაც უმაღლეს დონეზე გააკეთეს კიდეც ამ „ჩასარეცხებმა".

ისე, ახლა რომ ვფიქრობ, მაინც კარგი გააკეთეთ, რომ არ მობრძანდით ამ საღამოზე, ბატონო პრეზიდენტო: ეს „ჩასარეცხები" ისე გათავხედდნენ, რომ, ბოლოს, „მალე შეხვედრამდე" უსურვეს ერთმანეთს, ხუთი წლის შემდეგ ახალი წიგნი მოგველოცოს შენთვის, ჩვენო რეზოო, მიესიყვარულნენ ჭანიშვილს. წარმოგიდგენიათ ბატონო პრეზიდენტო?! კიდევ ხუთი წელიწადი უნდა უყუროთ, თქვენი ჭირიმე, ამ „ჩასარეცხებს?!"

ისე, გული მაგარი აქვთ, რომ იცოდეთ!

**ჩასარეცხი —**
**ვილენ მარდალეიშვილი**

**◉ ანეკდოტები**

მილიარდერს ასაფლავებენ. სამგლოვიარო პროცესიის ერთი საკმაოდ ღარიბულად ჩაცმული წევრი ქალი ცრემლად იღვრება და თმებს იგლეჯს.

— ასე ძალიან იმიტომ განიცდით, რომ გარდაცვლილი ალბათ თქვენი ახლო ნათესავი იყო, არა?

— არ იყო და, იმიტომაც ვტირი.

• • •

სვანი ზოომაღაზიაში კუს ათვალიერებს.

— რა ღირს ეს არსება? — ეკითხება გამყიდველს.

— 50 ლარი.

— უფუტლიაროდ?

• • •

— სითხე ადუღებისას ორთქლდება უფრო სწრაფად თუ გაციებისას? — ეკითხება მასწავლებელი მიხოს.



— სითხეს გააჩნია, მასწ.

— არაფერიც, ყველა სითხეს ერთნაირი ფიზიკური თვისებები აქვს.

— დედაჩემსაც მასე ეგონა, მაგრამ ხანგრძლივი დაკვირვება-ექსპერიმენტებით დარწმუნდა, რომ ზაფხულობით მაცივარში შენახული არაყი საშუალოდ სამჯერ უფრო მეტად ორთქლდება, ვიდრე ფანჯრის რაფაზე შემოდგმული.

• • •

— მიხო, შვებულებისას რას აკეთებდი?

— არ დაიჯერებ და, არაფერს.

• • •

პირველყოფილმა მამაკაცებმა ლაპარაკი მას შემდეგ ისწავლეს, რაც ქალების ხელში ჩაგდება ძალის კი არა, დაყოლიების მეთოდის გამოყენებით გადაწყვიტეს.

**◉ კადრი**



თედო ნიკოლაიშვილის ფოტო


**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში".
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1" ძიზიძის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაზიკაშვილის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეკვეთით მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.